ზურაბ კერესელიძე

მზის აქტივობის ციკლები,იონოსფერო, ქართული ეთნოსი და ლ.გუმილევის ეთნოგენეზის თეორიის კრიტიკული ანალიზი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გეოფიზიკის ინსტიტუტი
z_kereselidze@yahoo.com

სარჩევი

ანოტაცია 1
ნაწილი პირველი. ლევ გუმილიოვის შემოქმედების
იდეოლოგიური ბაზისი.....3
ნაწილი მეორე.ეთნოსის მცნება და მისი განვითარების ფაზები
გუმილიოვის მიხედვით.....8
ნაწილი მესამე. „პასიონარული“ ბიძგი ისტორიულ მაგალითებში 13
ნაწილი მეოთხე. „პასიონარული“ ბიძგი და ეთნოგენეზის ფაზები
საქართველოში.....15
ნაწილი მეხუთე. ეთნიკური განვითარების ქართული გზის სპეციფიკა 28
ნაწილი მეექვსე. ყოფაქცევის სტერეოტიპი- ეთნოგენეზის პროცესის
მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი 34
დასკვნა.....36
ბოლოსიტყვაობა.....37
ნაწილი მეშვიდე. გეოფიზიკური დამატება (მაგნიტოსფერო, იონისფერო, გენეტიკური
მუტაცია და „პასიონარობა“, მზის აქტივობის ციკლები 39
ზოგიერთი ლიტერატურული წყარო და ეთნოგენეზის პროცესის
ორიგინალური გრაფიკი.....47

ანოტაცია. *ათასწლეულების განმავლობაში ადამიანი ეძებდა კოსმოსთან და მის მთავარ აგენტთან, მზესთან, კავშირს. ძველი შუმერის, ეგვიპტის და მაიას ტომების ქურუმებმა ჩამოაყალიბეს კოსმოლოგიური თეორიები, რომელთა სიღრმე გასცდა რელიგიური მოძღვრების დანიშნულებას და ბიძგი მისცა ინტელექტის დომინანტს გაუცნობიერებელ არსებობაზე. ისტორიული ეპოქის დასაწყისიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ფილოსოფიური იდეის მთავარი მატარებლები ძირითადად იყვნენ ასტროლოგები. ფაქტია, რომ დღესაც, ინტელექტის ზეიმის ეპოქაში, არიან ადამიანები, რომლებიც გვევლინებიან კაცობრიობისა და კოსმოსის მისტიკური კავშირის იდეის პოპულარიზატორებად. თუმცა, ყოველთვის იყვნენ ობიექტური მოაზროვნეები და მკვლევარი-მეცნიერები, რომელთა მიზანი იყო რეალური მატერიალური კავშირის წარმოჩენა ორგანულ სამყაროსა და კოსმოსს შორის.*

არსებობს ობიექტური მიზეზები, რომელთა არსებობის გამო შეუძლებელია ცალსახად განვსაზღვროთ არამიწიერი ფაქტორების გავლენა დედამიწაზე მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე. ამიტომ, ზოგი, მკაცრი მეცნიერული სტანდარტების მიმდევარი, ბუნებისმეტყველი სკეპტიკურ პოზიციას ირჩევს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც უყვართ იაფი პოპულარობა, რისთვისაც ცდილობენ უტოპიური თეორიების განვითარებას. ზოგიერთის წარმოდგენით, მსგავსი თეორიების რიცხვს

მიეკუთვნება ლევ გუმილიოვის ჰიპოთეზა „პასიონარობის“ ფაქტორის შესახებ. ზოგიერთი კრიტიკოსის შეხედულებით, გუმილიოვის მთავარი ნაშრომი “ეთნოგენეზი და ბიოსფერო” წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ლოგიკის თვალსაზრისით ერთმანეთთან ზედაპირულად დაკავშირებული ისტორიული ფაქტების და გლობალური ბუნებრივი მოვლენების გადაბმის წარუმატებელ ცდას. ამასთან, მიჩნეულია, რომ გუმილიოვმა მოახდინა სხვათა მიერ ადრე გამოთქმული იდეების შეუნიღბავი კომპილაცია. კერძოდ, კრიტიკოსების მთავარი არგუმენტი არის მოსაზრება, რომ გუმილიოვმა მოახდინა ჰელიომედიცინის ფუძემდებლის, ალექსანდრე ჩიჟევსკის, ჰიპოთეზის ჰიპერტროფირება. 1915 წელს ჩიჟევსკიმ მოსკოვის არქეოლოგიის ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება “მზის პერიოდული გავლენა დედამიწის ბიოსფეროზე”, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ქოლერის ეპიდემიები ჩნდებოდა მზის ლაქების რიცხვის მაქსიმუმების, ხოლო გრიპის – მინიმუმების დროს. ასეთი სტატისტიკური კავშირები შემდეგში მეტ-ნაკლებად დადასტურდა აგრეთვე ზოგიერთ ბიოლოგიურ მოვლენაში, მაგალითად, კალიებისა და ვირთაგვების ეპიზოტიებში. მაშინ ჩიჟევსკიმ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი მსოფმხედველობა მზის, როგორც დედამიწისათვის უმთავრესი კოსმოსური ობიექტის მიმართ: “ჩვენ სრული უფლება გვაქვს განვიხილოთ ავადმყოფი ორგანიზმი როგორც სისტემა, გამოყვანილი მდგრადი წონასწორობის მდგომარეობიდან. ასეთი სისტემისათვის საკმარისია მცირე გარეგანი იმპულსი, რათა არამდგრადობა თანდათან, ან უეცრად, გაიზარდოს, რასაც მოჰყვება ორგანიზმის დაღუპვა. ასეთ გარეგან იმპულსებად უნდა მივიჩნიოთ მეტეოროლოგიური და გეოფიზიკური ფაქტორების მკვეთრი ცვლილებები. მათ შორის აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ელექტრული და მაგნიტური ელემენტები, რომლებიც აქამდე ჩვეულებრივ არ განიხილებოდნენ”.

გასული საუკუნის 20-იან წლებში დედამიწის ბიოსფეროს არამიწიერი კავშირების იდეის პროპაგანდა დაიწყო გეოქიმიკოსმა ვლადიმერ ვერნადსკიმ. ის ბიოსფეროს განიხილავდა როგორც არეს, რომელშიც ხდება კოსმოსური ენერგიის ტრანსფორმაცია დედამიწის ენერგიაში ელექტრული, ქიმიური, მექანიკური, სითბური და ნებისმიერი სხვა შესაძლო ფორმით. ვერნადსკიმ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია გეოფიზიკურ და სასიცოცხლო პროცესებზე კოსმოსის გავლენის გამოკვლევა. მან ჩამოაყალიბა თეორია ცოცხალი მატერიის სხვადასხვა ფორმებზე კოსმოსური ზემოქმედების მექანიზმის ერთიანობასთან დაკავშირებით. ვერნადსკის მიხედვით, ბიოსფეროზე მომქმედ ფიზიკურ ფაქტორთა შორის უპირველესია გრავიტაციული მიზიდულობა მზის სისტემის შიგნით, შემდეგ დედამიწის ბრუნვა საკუთარი ღერძისა და მზის ირგვლივ. დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური სივრცე ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებას ახდენს რეგულარული მეტეოფაქტორების გავლენით. ატმოსფერულ წნევას, ჰაერის ტემპერატურას და სინოტივეს ემატება აგრეთვე სპორადიული კატასტროფული ბუნებრივი მოვლენები: ქარიშხლები, წყალდიდობები, გვალვები, მიწისძვრები და სხვ. კიდევ უფრო რთულია და სახიფათო კოსმოსის “ნაზი” ზემოქმედება ბიოლოგიურ ობიექტებზე, რომელსაც ახდენენ მზე და სხვა ვარსკვლავები ელექტრომაგნიტური გამოსხივების საშუალებით.

დღეს ცნობილია, რომ მოჭარბებული კოსმოსური რადიაციის დამღუპველი ზემოქმედებისაგან დედამიწის ბიოსფეროს იცავს განსაკუთრებული სტრუქტურა, მაგნიტოსფერო. ამასთან, მცირე დოზით, კოსმოსური რადიაცია წარმოადგენს ორგანული მატერიის არსებობის წყაროს, რომელიც აუცილებელია სიცოცხლის ჩასახვისა და განვითარების მამოძრავებელი ბიოქიმიური პროცესების

*ფუნქციონირებისათვის. მზე ასაზრდოებს სიცოცხლეს ყველა დონეზე, მიკრობებიდან დაწყებული ადამიანის ჩათვლით. ამ თვალსაზრისით გუმილიოვის მიერ შემოტანილი „პასიონარობის“ ჰიპოთეზა ფაქტიურად ჩიჟევსკის **x** ფაქტორის (ცოცხალი მატერიის ჰიპითეტიური მამოძრავებელი) კონკრეტიზაციის ცდას წარმოადგენს. გუმილიოვის მიხედვით, მზის აქტივობის ხანგრძლივ ვადიანი ცვლილება იწვევს ცოცხალ უჯრედში გენომის მუტაციურ ცვლილებებს, რის გამო ადამიანში ვითარდება განსაკუთრებული თვისება, ე.წ. „პასიონარობა“. ეს არის ირაციონალური იმპულსი, რომელიც ინდივიდს ქვეცნობიერად უბიძგებს რაიმე ქმედებისაკენ. ადამიანთა პოპულაციის შიგნით წარმოქმნილი ცალკეული “პასიონარი“ ინდივიდების რაღაცისაკენ დაუოკებელი ლტოლვის ჯამური ეფექტის სიმძლავრე განაპირობებს ეთნოსის წარმოშობას. გუმილიოვის მიხედვით, გენეტიკური მუტაციები დაკავშირებულია დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლოს მდებარე კოსმოსური რადიაციული სარტყელის, იონოსფეროს, ფიზიკური პარამეტრების ხანგრძლივ ვადიან ვარიაციებთან მზის აქტივობის ცვლილების ე.წ. საუკუნეებრივი ციკლის განმავლობაში. ამრიგად, „პასიონარობის“ ჰიპოტეზაში ქვაკუთხედურია კოსმოსის, კერძოდ იონოსფეროს, ფაქტორი. არსებობს ვერსია, რომ იონოსფეროს როლის გამოკვეთაში გუმილიოვს დაეხმარა კოსმოფიზიკოსი კიმ ივანოვი. თუმცა, იყო კიდევ ერთი დისიდენტი მეცნიერი, საერთაშორისო დონის ასტროფიზიკოსი ნიკოლაი კოზირევი, რომელთან ერთად გუმილიოვმა ნორილსკის ბანაკებში რამდენიმე წელი გაატარა. ცნობილია, რომ სწორედ კოზირევის გავლენით გაუჩნდა გუმილიოვს ინტერესი კოსმოსური ენერგიის მიმართ.*

გუმილიოვის ჰუმანიტარი აპოლოგეტების უმრავლესობა თვლის, რომ ფენომენი „პასიონარობა“ მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებულ მიგნებას წარმოადგენს. ადამიანის ამ ჰიპოთეტიური თვისების კოსმოსთან კავშირის დასაბუთების გუმილიოვისებურ მეთოდიკაში ცხადად იკითხება ეთნოგენეზის თეორიის დუალისტური ბუნება. აშკარაა, რომ გუმილიოვის მხრიდან ადგილი აქვს ცდას მოახდინოს ადამიანთა მასის კოლექტიური ქმედების გამომწვევი საბუნებისმეტყველო და ფსიქოლოგიური საწყისების სინთეზი. მაგრამ, საკამათოა, თუ რამდენად ლოგიკურად არის დასაბუთებული გუმილიოვის მიერ მოძებნილი კავშირები. კერძოდ, იქმნება შთანეჭდილება, რომ ეთნოგენეზის თეორია არაერთგვაროვანია, რადგან ის ერთდროულად რთულია და პრიმიტიულიც, ზოგჯერ აშკარად გადაჭარბებულად დეტერმინირებული არც თუ დამაჯერებელი ისტორიული მაგალითებით. ამიტომ, გუმილიოვის ზოგიერთი მიგნება, დებულება ან დასკვნა საკამათოა. განსაკუთრებით ეს ეხება ეთნოგენეზის თეორიის საბუნებისმეტყველო ბაზისს.

დღეს გუმილიოვის მეცნიერული მემკვიდრეობა შოვინისტი „ველიკოდერჟავნიკი“ პოლიტიკოსების ხელში წარმოადგენს რუსული იდეოლოგიის საკმაოდ ქმედით იარაღს. რთული არ არის იმის დანახვა, რომ რუსი „ევრაზიელების“ მემკვიდრე გუმილიოვის და მისი მთავარი კრიტიკოსის, საბჭოთა ბელეტრისტის ჩივილიხინის, განსხვავებული იდეოლოგიური ტონალობის მიუხედავად, არსებობს მათი გამაერთიანებელი ფუნდამენტალური საერთო მნიშვნელი. ეს არის რუსული ეთნოსის, როგორც განსაკუთრებული ეთნიკური ფენომენის, წარმოჩინების სურვილი. გუმილიოვის მიხედვით, რუსული სუპერეთნოსი ჩამოყალიბდა გლობალური ბუნებრივი მოვლენით (მზის აქტივობის ცვლილება საუკუნეობრივი ციკლის განმავლობაში) გამოწვეული ეთნოგენეზის პროცესის („პასიონარული“ ბიძგი) შედეგად. ჩივილიხინის მიხედვით, რუსი ერი წარმოადგენს განსაკუთრებული ფსიქო-

ეთნიკური და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული მრავალრიცხოვანი სლავური ელემენტის და, მისგან გენეტიკური ძირით განსხვავებული, განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, სხვადასხვა პოპულაციური ჯგუფების ისტორიული სიმბიოზის შედეგს. ნებისმიერ შემთხვევაში აგრესიულ რუს ნაციონალისტებს გააჩნიათ რუსეთის დომინაციის გამამართლებელი იდეოლოგიური დოქტრინა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ აუცილებელია გუმილიოვის მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზი. თუმცა, ობიექტური პოზიციიდან დასაშვებია, რომ ეთნოგენეზის თეორიის ჰუმანიტარულ ნაწილში, ანუ მის ისტორიულ-სოციალურ შემადგენელში, შესაძლებელია, რომ ნამდვილად არსებობს რაციონალური მარცვალი. ამიტომ, მოცემულ ნაშრომში გამოთქმული შენიშვნები პირველ რიგში ეხება გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიის კოსმოფიზიკური ბაზისის კრიტიკას.

ნაწილი პირველი. ლევ გუმილიოვის შემოქმედების იდეოლოგიური ბაზისი

განათლებული "ველიკოდერჟავიზმის" პროდუქტი, რუსეთის სახელმწიფოს "ევრაზიულობის" თეორია, ჩაისახა მე-19 საუკუნეში რუსი ნაციონალისტი არისტოკრატების წიაღში და საბოლოდ ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ამ მიმდინარეობის მთავარი იდეოლოგი გახდა თავადი ნიკოლაი ტრუბოცკოი. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა პეტრე პირველის მისამართით: "ჩემთვის მიუღებელია პეტრე, რომელმაც პირველხარისხოვანი რუსები გადააქცია მეორეხარისხოვან ევროპელებად." ამ ლაკონიურ გამონათქვამში იკითხება რუსი ხალხის, როგორც განსაკუთრებული ეთნიკური წარმონაქმნის, დომინაციის იდეა, რომელიც ერთდროულად არის პრეტენზიული და რუსეთის განმაცალკევებელი დასავლური სამყაროსაგან. ტრუბეცკოიმდე თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ევროპელი მოაზროვნეების მთელი პლეადა ანვითარებდა ე.წ. "ევროპოცენტრიზმის" თეორიას. ტრუბეცკოი დაუპირისპირდა ევროპას რუსეთის უნიკალობის იდეით, იმათგან განსხვავებით, ვინც რუსებს მიიჩნევდა ევროპული ცივილიზაცის შემადგენელ, თუმცა ჩამორჩენილ ელემენტად. ერთი შეხედვით, განცხადება პეტრეს მისამართით არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულს,მაგალითად, ებრაელების ნაციონალურ იმპერატივთან შედარებით: "არიან ებრაელები და არიან ყველანი სხვები, გოები." ეს განცხადება შეიძლება არაცალსახად წარმოჩინდეს ვიწრო ნაციონალიზმის კუთხიდან. ამიტომ, გასარკვევია, თუ რა შინაგანი მოტივები ამოძრავებთ იმათ, ვინც ხმარობს ეროვნული განსაკუთრებულობის საკუთარ იმპერატივს. ლიბერალი ნაციონალისტისათვის ეს არის ეთნოსთა შორის საკუთარი ადგილის ძიება ისეთი ფორმით, რომელიც არ შეურაცყოფს სხვა ხალხების ეროვნულ ღირსებას. რეალური ლიბერალი, ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე, ცდილობს კორექტულად წარმოაჩინოს მშობლიური ეთნოსის ნაციონალური მახასიათებლები, რომელთა კონსერვაცია მას აუცილებლად მიაჩნია. ასეთი მენტალური ღირებულების მატარებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ქართველებს უბრალოდ ქართველებად თვლიდა და არ აკუთვნებდა არც ევროპელებს და არც აზიელებს. იგივე შეიძლება ითქვას ზომიერ ევროპელ ნაციონალისტებზე, რომელთა შორის პატრიოტური იდეა ისტორიულად ღირებული იყო ყველა ეთნოსთან მიმართებაში. მაგრამ, განსაკუთრებულობის განცხადება ისეთი ფორმით, როგორიც აქვთ, მაგალითად, სიონისტებს, ან ჰქონდათ ბერძნებს ელინურ ეპოქაში, შემდეგ კი რომაელებს მათი იმპერიის ზენიტში ყოფნის დროს, დაკავშირებულია სხვა ხალხებისადმი ქედმაღლურ დამოკიდებულებასთან და ცივილიზაციის განვითარების პროცესში მათი წვლილის

უარყოფასთან. გავიხსენოთ, რომ ბერძნები და რომაელები სამყაროს ყოფდნენ ორ ნაწილად: ცივილიზაციის არედ, რომელიც ვრცელდებოდა მათი მეტროპოლიების საზღვრებამდე და ბარბაროსების სივრცედ, რომელშიც შედიოდა დანარჩენი დასახლებული ტერიტორია. ებრაელებში მსგავსმა დაყოფამ, ამ ერის განსაკუთრებული ისტორიული ბედის გამო, ტრანსფორმაცია განიცადა ტერიტორიულიდან (აღთქმული ქვეყანა) იდეოლოგიურ პრინციპამდე (გახსოვდეს იერუსალიმი). შესაბამისად, ებრაელებში ბატონობდა აღთქმული ქვეყნის იდეა, რომელიც დევნილობაში მყოფი ერის წარმოსახვაში ხორციელდებოდა იერუსალიმის ტაძარისაკენ მისწრაფებაში. აშკარაა, რომ ეს ისტორიული მაგალითები, მიახლოებითაც კი, არ იძლევიან „ევრაზიულობის“ იმპერატივის შინაარსში ჩაწვდომის საშუალებას.

რას წარმოადგენს “ევრაზიულობის” იდეა და რას ემსახურება ის? რუსული ეთნოსი, უკანასკნელი “ევრაზიელის”, გუმილოვის ტერმინოლოგიით სუპერეთნოსი, განვითარდა განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში და ისეთ ტერიტორიაზე, რომელზედაც შეუძლებელი იყო დომინანტური ეთნიკური ელემენტის ცალსახად გამოყოფა, როგორც, მაგალითად, ძველ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში ან რომის რესპუბლიკაში, სადაც აბორიგენებს ერთგვაროვნობის საფუძველზე დამყარებული ეთნიკური ლიდერის ფუნქცია გააჩნდათ. მათგან განსხვავებით, რუსული ეთნოსი ჩამოყალიბდა გაუთვითცნობიერებული “ბარბაროსული” მასის წიაღში, რომელიც მოიცავდა მრავალფეროვან სლავურ, ფინურ-უგორულ, თურქულ და მონგოლოიდურ ტომებს. უკანასკნელი “ევრაზიელის” თქმით, რუსი ერის დაბადების პირობითი მომენტია მე-14 საუკუნის დასასრული (სიმბოლურად, კულიკოვოს ბრძოლის თარიღი), როცა უკვე კარგად აირია ერთმანეთში, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგარი, დაახლოებით ხუთი ათეული სუბეთნიკური წარმონაქმნი. რუსეთის „ევრაზიულობის“ თეორია შეიქმნა კარამზინისეული ნორმანისტური თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც რუსეთის სახელმწიფოებრივ საწყისს უკავშირებდა აღმოსავლეთ ევროპაში მეცხრე საუკუნეში გერმანული (სკანდინავიური) ელემენტის შემოსვლას. იმ პერიოდში უკვე არსებობდნენ სუსტი სახელმწიფოებრივი ჩანასახები ვრცელ ტერიტორიაზე, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კარპატებიდან ურალის მთებამდე. ნორმანისტების შეხედულებით, რიურიკისა და მისი ძმების მოწვევა ნოვგოროდის მითოლოგიური მმართველის გოსტომისლის მიერ იყო აქტი, რომლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომებად დაქსაქსულ ადამიანთა მასას მიეცა ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურა, განსხვავებული დასავლეთ ევროპულისაგან. ამ თეორიისაგან განსხვავებით, „ევრაზიულობის“ მიმდევრები თვლიდნენ, რომ რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზაცია გაუკეთა არა სკანდინავიურმა ელემენტმა, არამედ თათარ-მონღოლურმა (უფრო ზუსტად-თურქულმა) ურდომ, რომლის მართვის (არა უღლის) ქვეშ აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში. თვალნათლივია რომ, გარკვეული დეტერმინირების შემთხვევაში, „ევრაზიელებისა“ და ნორმანისტების შეხედულებები საგარეო ფაქტორთან დაკავშირებით მხოლოდ საწყისში განსხვავდება ერთმანეთისაგან. დღეს ეს განსხვავება ფაქტიურად წაშლილია. ამის დამადასტურებელი მაგალითია მოდერნიზირებული რუსული „ველიკოდერჟავიზმის“ აპოლოგეტის ალექსანდრ დუგინის იდეოლოგია. საინტერესოა, ზოგიერთი თანამედროვე რუსი შოვინისტი სწორედ დუგინს, და არა გუმილიოვს, თვლის უკანასკნელ „ევრაზიელად“, რაშიც გარკვეული ლოგიკა არსებობს.

გუმილიოვის მთავარი ნაშრომი “ეთნოგენეზი და დედამიწის ბიოსფერო”, რომელშიც ავტორმა განავითარა ჰიპოთეზა ე.წ. „პასიონარობის“ ფაქტორის შესახებ,

ფართო განსჯის საგანი გახდა მას შემდეგ, რაც მან 1979 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში წარადგინა სადოქტორო დისერტაცია ისტორიული გეოგრაფიის მიმართულებით. მანამდე, გუმილიოვს უკვე დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში, რომლის თემა იყო შუა აზიის სტეპებში მომთაბარე ხალხების ყოფა ისტორიულ ხანაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ახალ დისერტაციაში გუმილიოვი წარმოჩინდა არა მხოლოდ როგორც გეოგრაფი, არამედ ისტორიკოსიც, რომელსაც გააჩნდა აღმოსავლეთის მომთაბარე ხალხების ეთნოგრაფიისა და ეთნოფსიქოლოგიის საკმაოდ ღრმა ცოდნა. გუმილიოვის ეს საკმაოდ მოცულობითი ნაშრომი, საეჭვო მომენტების გარდა, ზოგიერთ საინტერესო მიგნებასაც შეიცავდა პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომ, მისი ადრეული ნაშრომების უმრავლესობის მსგავსად, ამ დისერტაციის სულისკვეთება საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. აშკარა იყო, რომ გუმილიოვი ეწინააღმდეგებოდა ბევრი წინა ეპოქის რუსი ისტორიკოსისა და მათი საბჭოთა მიმდევრების ნაშრომებს. ამიტომ, გუმილიოვი, რომელსაც პოპულარობა არასოდეს აკლდა, საყოველთაო აღტაცების ზენიტში აღმოჩნდა ზომიერად ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენტთა შორის და სტუდენტების წრეში. მისი დისერტაცია, რომელიც ძალიან სწრაფად გავრცელდა „სამიზდატის“ სახით, ჯერ პეტერბურგსა და მოსკოვში გახდა გაცხოველებული დისკუსიის საგანი, შემდეგ კი რუსეთის ფაქტიურად ყველა წამყვან უნივერსიტეტში. ამ დროს გუმილიოვის მშობლიური პეტერბურგის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყველა შესაძლო ხერხით ცდილობდა მისი პოპულარობის შემცირებას. კერძოდ, აიკრძალა გუმილიოვის სალექციო კურსი მომთაბარე ხალხების ისტორიაში. მაგრამ, შედეგი დიამეტრალურად საწინააღმდეგო აღმოჩნდა. მალე აბობოქრებულმა სტუდენტებმა მოახერხეს, რომ გუმილიოვს საჯარო ლექციებისათვის უთმობდნენ ყველაზე დიდ აუდიტორიებს. თუმცა, ამ ლექციებზე მოხვედრას მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა, რადგანაც დასწრება ლიმიტირებული იყო როგორც აუდიტორიის ზომებით, ასევე მსურველთა გამოცხრილვის გამო. ამას საკმაოდ მკაცრად აკეთებდა გუმილიოვის მიმდევარი ახალგაზრდა ფანატების პატრული. ამ გზით ხდებოდა იმ არასასურველ პროფესორ-მასწავლებელთა შეზღუდვა, რომლებიც, აშკარად ან კულუარებში, აქტიურად აწარმოებდნენ გუმილიოვის იდეების კრიტიკას. მალე ნათელი გახდა, რომ გუმილიოვის თეორიაზე დაყრდნობით იქმნებოდა ახალი ნაციონალისტური მიმდინარეობა, რომლის მომხრები „ევრაზიულობის“ პრინციპებზე დაყრდნობით ამზადებდნენ საფუძველს პოლიტიკური ხასიათის სპეკულაციებისათვის. ამ მოძრაობის საპასუხოდ კომუნისტურმა ხელისუფლებამ გუმილიოვს შეუტია ისტორიულ-ლიტერატურული პოზიციებიდან, რაშიც პარტიულ იდეოლოგებს, ნებაყოფლობით თუ იძულებით, ეხმარებოდა ზოგიერთი კომუნისტი მეცნიერი და პოპულარული საბჭოთა მწერალი. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარმა სამეცნიერო საბჭომ თავისი ორჭოფული დასკვნით ფაქტიურად ჩაუგდო გუმილიოვს სადოქტორო დისერტაცია ისტორიულ გეოგრაფიაში, რომელიც შემდეგ ოფიციალურად „გააშავა“ უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ (ე.წ.“ვაკი“). გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პირდაპირი დავალება მისცა საკმაოდ ერუდირებულ რუს მწერალ-პუბლიცისტს ვლადიმერ ჩივილიხინს, რათა მას შეექმნა გუმილიოვის საწინააღმდეგო ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომი. ჩივილიხინმა ეს დავალება სულ მოკლე ხანში შეასრულა, როცა წარმოადგინა რომანი-ესე სახელწოდებით “პამიატი” (მეხსიერება). ამ ნაწარმოების პირველი ტომი მიეძღვნა რუსული პატრიოტული სულის განდიდებას ბათუ-ყაენის ურდოს შემოსევის დროს,

ხოლო მეორე ტომი წარმოადგენდა ევრაზიული პრინციპებისა და გუმილიოვის კრიტიკას ტრადიციული რუსული ისტორიოგრაფიის პოზიციიდან. ჩივილიხინსაც, გუმილიოვის მსგავსად, გაუჩნდნენ მიმდევრები, თუმცა ასეთები სტუდენტებში თითქმის არ აღმოჩნდნენ. თუმცა, აქტიური სალონური გარჩევები იმართებოდა ინტელიგენტთა წრეებში, სადაც ტრადიციულად იყო ჩაბუდებული პასიური პროტესტი ე.წ. „სოვდეპიისა“ და კომუნისტური კოსმოპოლიტიზმის მიმართ. რომანის გამოქვეყნებისთანავე ჩივილიხინმა მიიღო სახელმწიფო პრემია და აღფრთოვანებული გამოხმაურებები საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებისაგან, აგრეთვე აკადემიური ელიტისაგან. მთავარი, რაც ჩივილიხინმა გუმილიოვის ეთნოგენეზის კონცეფციაში დაინახა, იყო მისი ვითომდა სლავიანოფობიური, ბურჟუაზიულ-სპეკულატიური არსი. საჯარო დისკუსიები ოქროს ურდოს მრავალსაუკუნოვანი უღელის თემაზე პეტერბურგში განსაკუთრებით გაცხარდა „პერესტროიკის“ გამოცხადებასთან ერთად. ეს ოფიციალურად მოხდა მიხეილ გორბაჩოვის საბჭოთა კავშირის კომპარტიის პირველ მდივნად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში, 1985 წლის 1 მაისს, პეტერბურგის პარტაქტივთან მისი საზეიმო შეხვედრის დროს. მომენტალურად, ქალაქში გამოჩნდნენ მღელვარე სტუდენტები, რომელთა შეკრების ადგილი გახდა ისაკის ტაძრის მიმდებარე ბულვარი. სტუდენტებს მალე შეუერთდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, რომელთა ფორმალური მოტივი იყო ახლომდებარე ამორტიზირებული სასტუმროების, „ასტორიისა“ და „ანგლეტერის“, გადარჩენა დანგრევისაგან. სინამდვილეში, ქალაქმა უკვე კარგა ხანია იცოდა, რომ მათ ადგილზე უნდა აშენებულიყო იგივე სახელწოდების ახალი სასტუმროები. მალე გაჩნდა ანტისაბჭოთა შინაარსის ლოზუნგები, მაგალითად, „ლენინი-რუსი ხალხის ჯალათი“. პირადად ლენინის მიერ უმიზეზოდ რეპრესირებულ, „კეთილშობილი“ სისხლის მქონე, პირთა შორის ერთერთი პირველი დაასახელეს ლევ გუმილიოვის მამა, პოეტი და ეთნოგრაფი ნიკოლაი გუმილიოვი. პარალელურად, მის შვილს ტრიბუნად მისცეს პეტერბურგის რადიო, საიდანაც ის სათანადოდ გაუსწორდა ჩივილიხინს და კიდევ ზოგიერთ სხვა, მისი თეორიის მოწინააღმდეგეს. მანამდე, ცნობილ მეცნიერთა შორის, ჩივილიხინს განსაკუთრებით აქტიურად აუბა მხარი ორმა აკადემიკოსმა, არქეოლოგ-ისტორიკოსებმა, სლავიანოფილებმა ბორის რიბაკოვმა და იური ბრომლეიმ, რომლებიც გუმილიოვს არაკომპეტენტურ ცრუპენტელად მიიჩნევდნენ. პირველ მათგანს, რომელიც რუსი “სტაროვერების“ წიაღიდან იყო გამოსული, გააჩნდა ნამდვილი კლასობრივი სიძულვილი არისტოკრატიული „ევრაზიული“ სკოლის მიმართ. თუმცა, გუმილიოვის მომხრეთა მხრიდან რიბაკოვის ნეგატიური დამოკიდებულება ეთნოგენეზის თეორიის მიმართ აღთქმული იყო, როგორც ელემენტარული შური. მისი სათავე იყო გუმილიოვის მიერ კიევის სამთავროს ისტორიული როლის უარყოფა რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რასაც აქტიურად ქადაგებდა რიბაკოვი. ბრომლეის, გუმილოვის მსგავსად, ჰქონდა ეთნოგენეზის საკუთარი თეორია, რომელიც ეყრდნობოდა დუალისტურ პრინციპებს. ამიტომ, ბრომლეი იყო „პასიონარობის“ თეორიის უმკაცრესი კრიტიკოსი, რაც კარგად ეწერებოდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკურ იდეოლოგიაში. ამ აკადემიკოსების მსგავსად, სლავიანოფილიზმის იქით გუმილიოვის ბევრი კრიტიკოსი არ იხედებოდა. ამიტომ, ჩივილიხინისა და გუმილიოვის სხვა მოწინააღმდეგების ფაქტორმა „პერესტროიკის“ დედაქალაქში არ იმუშავა, რადგანაც პეტერბურგში გუმილიოვის პოპულარობა საკმაოდ ფართოდან მალე საყოველთაო გახდა. ამას ქმედითად შეუწყო ხელი „პერესტროიკის“ საინფორმაციო პროდუქტმა, ალექსანდრე ნევზოროვის „ექვსასმა წამმა“. ძირითადად,

რადიოსა და ტელევიზიის გავლენით მოხდა ნაციონალისტურად განწყობილი საზოგადოების მკვეთრი გახლეჩა გუმილიოვის მომხრეებად და მის მოწინააღმდეგეებად. ამ უკანასკნელებმა, რომელთათვისაც მიუღებელი იყო მოსკოვის, როგორც თათრული (თურქული) საწყისის მქონე დესპოტიის (სახანოს) იდეა, სისტემატური შეკრების ადგილად გამოაცხადეს ე.წ. რუმიანცევის ბაღი. იმათ შორის, ვინც იდეოლოგიურ ბაირაღად აიტაცა ჩივილიხინის წიგნი, გაჩნდა განსაკუთრებით აქტიური წრე აგრესიული შოვინისტის ვასილიევის მეთაურობით. მალე ამ რეაქციონერებმა შეადგინეს ნაციონალისტურ-ველიკოდერჟავული იდეით განმსჭვალული ორგანიზაციის "პამიატ"-ის ბირთვი, რომელმაც, როგორც სჩანს, შემთხვევით არ მიიღო ჩივილიხინის რომანის სახელწოდება. ვასილიევმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ფაშისტური ორიენტაციის მქონე ნაციონალისტებში, რომელთა მრავალრიცხოვანმა მომხრეებმა ჩაატარეს ცნობილი მარში „ნევსკი" პროსპექტზე. ცოტა ხანში ვასილიევი, რომელიც დიდი ინტელექტით არ გამოირჩეოდა, რუსეთს მოევლინა როგორც ახალი რუსული ფაშიზმის იდეოლოგი. საინტერესოა, რომ თავდაპირველად მისი თავდასხმის ობიექტი იყო ყაზანელი თათრების მრავალრიცხოვანი დიასპორა, რომელიც პეტერბურგის მოსახლეობის თითქმის 10%-ს შეადგენდა. შემდგომში ის გადასწვდა ბალტიისპირეთსა და დასავლეთ უკრაინასაც. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ვასილიევი თავის ქადაგებებში ფაქტიურად არ შეხებია საქართველოს, არც ნეგატიურად და არც პოზიტიურად. ობიექტური დამკვირვებლისათვის აშკარა გახდა, რომ არა მხოლოდ ჩივილიხინმა, არამედ თვით გუმილიოვმაც, თავისი „ევრაზიული" პლატფორმით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი "პამიატ"-ის აღმოცენებას და ამ ფაშისტური ორგანიზაციის ფართო პოპულარობას რუსეთის მოსახლეობაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ აუცილებელია გუმილიოვის თეორიის კრიტიკული ანალიზი. ეს საჭიროა სულაც იმიტომ, რომ, ჩივილიხინის ნაშრომის მსგავსად, გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორია რუსი შოვინისტი პოლიტიკოსების ხელში დღეს წარმოადგენს რუსული ველიკოდერჟავული იდეოლოგიის ქმედით იარაღს. მართლაც, რთული არ არის იმის დანახვა, რომ რუსი „ევრაზიელების" მემკვიდრე გუმილიოვის და საბჭოთა ბელეტრისტის ჩივილიხინის ნაშრომების განსხვავებული იდეოლოგიური ტონალობის მიუხედავად, მათ შორის არსებობს ფუნდამენტალური საერთო მნიშვნელი. ორივე ავტორის სულიერ კვინტესენციას წარმოადგენს რუსული ეთნოსის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის წარმოჩინება. გუმილიოვის მიხედვით, რუსული ეთნოსი წარმოადგენს სუპერეთნოსს, რომელიც ჩამოყალიბდა გლობალური ბუნებრივი მოვლენის (მზის აქტივობის გრძელვადიანი ცვლილება) ფონზე მიმდინარე ეთნოგენეზის პროცესის შედეგად. ჩივილიხინის მიხედვით, რუსი ერი წარმოადგენს განსაკუთრებული ფსიქო-ეთნიკური და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული მრავალრიცხოვანი სლავური ელემენტისა და მისგან გენეტიკური ძირით განსხვავებული, უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, სხვადასხვა პოპულაციური ჯგუფების ისტორიული სიმბიოზის შედეგს.

ნაწილი მეორე.ეთნოსის მცნება და მისი განვითარების ფაზები გუმილიოვის მიხედვით

გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიის დედააზრი მდგომარეობს ეთნოსის, როგორც სისტემურ ერთობლიობაზე დაფუძნებული ბუნებრივი პროცესის,

წარმოჩინებაში. პეტერბურგელ ფიზიკოსთა წრეში ითვლება, რომ გუმილიოვს ქმედითი დახმარება აღმოუჩინა კოსმოფიზიკოსმა კიმ ივანოვმა. ეს ადამიანი გუმილიოვის მიმდევრებს ერევათ გეოგრაფ კონსტანტინ ივანოვში, რომელიც გუმილიოვის ასპირანტი იყო. 1960-იან წლებში, მაშინ, როცა გუმილიოვი „პასიონარობაზე“ უკვე აქტიურად მუშაობდა, კონსტანტინ ივანოვი სკოლაში სწავლობდა. გარდა ამისა, მას ნამდვილად არ გააჩნდა ისეთი ღრმა ცოდნა იონოსფეროს ფიზიკაში, რომ გუმილიოვს ესარგებლა მისი კომპეტენტურობაზე მითითებით. ეს ნამდვილად არ აკლდა კიმ ივანოვს, რომელიც დახურული ბუნების პიროვნება იყო. თუმცა, არსებობდა კიდევ ერთი ადამიანი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ასტროფიზიკოსი ნიკოლაი კოზირევი, რომელიც, გუმილიოვის მსგავსად, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მოდიოდა. ცნობილია, რომ ეს ადამიანები დამეგობრდნენ გადასახლებაში, ნორილსკის საკონცენტრაციო ბანაკში. დისიდენტი კოზირევი, რომელიც პოეტ ნიკოლაი გუმილიოვის აპოლოგეტი იყო, დროის ე.წ. „კვანტური“ თეორიის ავტორია და მთვარის ვულკანიზმის აღმომჩენი. გუმილიოვი გაიტაცა კოზირევის წარმოდგენებმა ვარსკვლავური ენერგიის გენერაციაზე და დროის დისკრეტული ბუნებაზე. აქედან მას გაუჩნდა ინტერესი კოსმოფიზიკის მიმართ. ამიტომ, სამართლიანია მოსაზრება, რომ კოზირევის გავლენით მივიდა გუმილიოვი „პასიონარობის“ ჰიპოთეზამდე.

გუმილიოვის ოპონენტებს შორის არსებობდა ვერსია, რომ მზის აქტივობის ცვლილების საუკუნოვანი ციკლების გამოყოფის მეთოდიკა არ იყო საკმარისად სარწმუნო. მართლაც, თუ მე-19 საუკუნის შუაში დადგენილი პირველი საუკუნოვანი ციკლიდან უკან გადათვლიდა, დროში ცთომილების ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, გუმილიოვი მარტივად იპოვნიდა ისეთ ციკლს, რომლის ექსტრემუმი მიესადაგებოდა კონკრეტული ეთნოსის ჩასახვის მომენტს. მაშინ, რა მახასიათებელი გამოარჩევდა მზის აქტივობის საუკუნეობრივი ცვლილების ამ ციკლს ნებისმიერი სხვა ციკლისაგან? ამ კითხვაზე პასუხი წარმოადგენს გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიის ყველაზე სუსტ წერტილს. შეიძლება ითქვას, რომ გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიაში აშკარად სჩანდა პერიოდული ბუნებრივი მოვლენის (ციკლი) წინასწარ შერჩეული ფაზის (ექსტრემუმი) მისადაგება ისტორიული პროცესის სავარაუდო საწყის მომენტთან. მართლაც, ორი, საკუთარი ცთომილების მქონე ფენომენის, ისტორიული ფაქტისა და ბუნებრივი ფიზიკური მოვლენის, დროში ჰიპოთეტიური სინქრონიზაცია ობიექტურად არ შეიძლება ყოფილიყო დამაჯერებელი (იხ.დამატება). ეს იმდენად აშკარა იყო, რომ გუმილიოვი იძულებული გახდა არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც, შეეზღუდა „პასიონარული“ ბიძგის არეალი. ამრიგად, ეთნოგენეზის თეორიაში, კიმ ივანოვის დახმარებით, გაჩნდა კიდევ ერთი დაშვება იონოსფეროს სტრუქტურის არაერთგვაროვნების რეგონალურ ხასიათთან დაკავშირებით. ამრიგად, გლობალური ფენომენი, მზის აქტივობის ხანგრძლივ ვადიანი ცვლილება, გარდაისახა ფაქტიურად ლოკალურ მოვლენაში, რომელიც სავარაუდოდ მოიცავს დედამიწის ზედაპირის გარკვეულ ფართს, ძირითადად ორიენტირებულს მერიდიონალური მიმართულებით.

გუმილიოვის მიხედვით, ადამიანის ეთნიკური კუთვნილება წარმოადგენს ცნობიერების პროდუქტს, რაც აშკარავდება ინდივიდის ცხოვრების წესში. ნებისმიერი ადამიანი არსებობს იმ ეთნოსის შიგნით, რომელსაც ის საკუთარ თავს თვითონ მიაკუთვნებს. აქ ტერიტორიული ფაქტორი სავალდებულოდ არ მონაწილეობს, რაც ნიშნავს, რომ კონკრეტული ეთნოსის კუთვნილ ტერიტორიაზე სხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც შეუძლიათ ცხოვრება. უბრალოდ, სხვა ეთნიკური ჯგუფის

წარმომადგენლები იყოფენ ჩამტევ ლანდშაფტებს ძირითად ეთნოსთან ისე, რომ არ ხდება მათი ინკორპორაცია. ითვლება, რომ შეუძლებელია სხვადასხვა ყოფაქცევის სტერეოტიპის მქონე ადამიანების შეგნებულად, ვინმეს ნებელობითი გადაწყვეტილებით, რომელიმე ერთ ეთნოსში გაერთიანება. ნებისმიერი ეთნოსი წარმოადგენს ცალკეული პიროვნებების ისეთ პოპულაციურ ერთობას, რომელიც მას განასხვავებს ადამიანების სხვა პოპულაციებისაგან. მსგავსად სამოქალაქო მდგომარეობისა ან მოქალაქეობისა, ეთნიკური კუთვნილებაც ინდივიდის ნებაზე არის დამოკიდებული. თუმცა, შეუძლებელია მასიურად, მშვიდობიანი შეთანხმების საფუძველზე, ეთნიკური კუთვნილების ნებაყოფლობითი ცვლილება. ყველა ეთნოსი, რომელიც ცნობილია ისტორიული ეპოქიდან, მეტ-ნაკლებად მდგრადი იყო გარედან ზეწოლის მიმართ, თუმცა იბადებოდა და ქრებოდა დროის რომელიღაც მონაკვეთში. არ არსებობს ისეთი ნიშანი, რომელიც შეიძლება უნივერსალური იყოს ყველა ცნობილი ეთნოსისათვის. საერთო ტერიტორია, ენა, წარმოშობა, ისტორიული ბედი, მატერიალური კულტურა, ეკონომიკა და იდეოლოგია მხოლოდ ზოგჯერ შეიძლება იყოს მიჩნეული ეთნოსის არსებობის ერთერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. ერთადერთი რამ, რაც უნივერსალურია, არის იმპერატივი, რომელსაც ეთანხმება ეთნოსის ყველა წევრი: "ჩვენ ასეთები ვართ, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ჩვენგან განსხვავებულია". გუმილიოვის მიერ შემოტანილი ეს განმარტება ადასტურებს ევროპელი განმანათლებლების მიერ აღიარებულ დებულებას, რომ ერი (ეთნოსი) აუცილებლად წარმოადგენს ერთნაირი ყოფაქცევის სტერეოტიპის მქონე ადამიანების ერთობლიობას. ამრიგად, ეთნიკური ერთობის საფუძველის ასეთი დეფინიცია, რომელიც, გუმილიოვის აზრით, წარმოადგენს რომელიღაც ფიზიკური თუ ბიოლოგიური რეალობის ანარეკლს, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, გამოიყენებოდა ეთნოგრაფების მიერ. ამიტომ, გასაკვირია, რომ სწორედ ეს მარტივი ლოგიკური დეფინიცია აღმოჩნდა გუმილიოვის კვლევის მთავარი საგანი. მართლაც, ნაშრომში "ეთნოგენეზი და დედამიწის ბიოსფერო" მოცემულია წინა ეპოქის მეცნიერთა შეხედულებების ზედაპირული, თუმცა, ლიტერატურული თვალსაზრისით, საკმაოდ მიმზიდველი ანალიზი. მიუხედავად ამისა, ეს მონოგრაფია წარმოადგენს გუმილიოვის მრავალწლიანი კვლევის შედეგების საკმაოდ ტენდენციურ განზოგადოებას. ამასთან, გუმილიოვის მეთოდიკური ხერხი, რომელიც მდგომარეობს ისტორიული გეოგრაფიისა და გეოფიზიკის (კოსმოფიზიკის) საფუძველზე ეთნოგენეზის პროცესის საბუნებისმეტყველო ბაზისის აგებაში, აშკარად კომპილაციურია. კერძოდ, „ევრაზიულობის" თეორიის რაკუსში განხილული ისტორიული მოვლენები და მათ ფონზე განვითარებული პოლიტიკური, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური, ძვრების ანალიზი ცალმხრივია და ხშირად მოკლებულია დამაჯერებლობას. მიუხედავად ამისა, ზოგადად იგრძნობა გუმილიოვის აზრის ინდივიდუალურობა ეთნოსებს შორის პრინციპიალური განმასხვავებელი ნიშნების ისტორიული მაგალითების საფუძველზე განხილვის დროს.

გუმილიოვი ცდილობს სინთეზურად მიუდგეს ეთნოლოგიას. ისტორიული მოვლენების კრიტიკული ანალიზის მეთოდი ახალი არ არის. ის გუმილიოვამდეც იყო გამოყენებული სხვადასხვა ეპოქის ევროპელი და აზიელი მოაზროვნეების კაცობრიობის არსობის ფილოსოფიურ პრობლემებთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ გუმილოვი, როგორც უაღრესად განათლებული ადამიანი, არ ისაზღვრებოდა მარტო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროთი. რიგ შემთხვევებში მან საკმარისად კარგად მოახერხა აღიარებული პიროვნებების ინტელექტუალური ძიების შედეგების გამოყენება საკუთარი თეორიის გასამყარებლად. ამ საქმეში მას, ზოგად

განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი განსაკუთრებულმა ლიტერატურულმა ნიჭმა, რომელიც მას გენეტიკურად დაჰყვა მშობლებისაგან (გუმილევის დედა, მამის მსგავსად, იყო გამოჩენილი პოეტი-დისიდენტი ანა ახმატოვა). *სწორედ კალმის მოქნილობამ და ზეპირმეტყველების იშვიათი უნარმა გახადა პოპულარული გუმილიოვი ფართო მასებში. როგორც ავღნიშნეთ, „პერესტროიკის“ ბოლო წლებში, თითქმის ყოველდღიურად, პეტერბურგის საქალაქო რადიო გადმოსცემდა მის ლექციებს, რასაც ისმენდა უზარმაზარი აუდიტორია. მაგალითად, განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია ლექციამ, რომელშიც გუმილიოვმა ანტინორმანისტული თეორიის პოზიციიდან განიხილა მოსკოვის დიდი სათავადოს შექმნა, მისი შემდგომი გაძლიერება და როლი ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს წარმოქმნაში. „ევრაზიელების“ იდეიდან გამომდინარე, მან საკმაოდ სარწმუნოდ აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ჩინგიზ-ხანის მიერ შექმნილი მომთაბარეთა ქიმერული სუპერ სახელმწიფოს ასევე ქიმერულ მემკვიდრეს. ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სწორედ ჩინგიზის სახელმწიფოს ნამსხვრევი, „ოქროს ურდო“, აღმოჩნდა ის წყარო, რომელმაც „პასიონარული“ გენეტიკური მუხტი და ახალი ორგანიზაციული საწყისი მისცა მოსკოვს, რომელიც თავისი არსით გახდა ტიპიური აღმოსავლური სახანო. ეს მოხდა მოსკოველი დიდი თავადების სამფლობელოში „პასიონარული“ თურქული, აგრეთვე, ნაწილობრივ, მონღოლური და ლიტვური ეთნიკური ელემენტის ინკორპორირების ხარჯზე.* ამ მაგალითიდან ცხადად სჩანს ეთნოგენეზის თეორიის მთავარი ხარვეზი, რომელიც ობიექტურად დააფიქსირეს გუმილიოვის მოწინააღმდეგეებმა და რომლის უარყოფაც არ შეუძლიათ მის მხურვალე დამცველებს. აშკარად სუსტი წერტილია „პასიონარობის” ჰიპოთეზა, რომლის საშუალებით გუმილოვი ცდილობს ეთნოგენეზის თეორიაში ააგოს ხიდი ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებს შორის. ამისათვის გუმილიოვმა გამოიყენა მუდმივ მომქმედი კოსმოსური ფაქტორი, მზე, რომელიც სიცოცხლის არსებობის მთავარი ბუნებრივი მიზეზია. ამ თვალსაზრისით მზის განსაკუთრებული როლის დეკლარაციაში ორიგინალური არაფერია. ეს ფაქტი უხსოვარი დროიდან ყველასათვის იყო ცნობილი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, მისი აქტივობის ერთერთი ინდიკატორი, წარმოადგენს დედამიწის ბიოსფეროს ენერგიით უზრუნველყოფის უმთავრეს წყაროს. კოსმოსური რადიაციის გარეშე დედამიწაზე ვერ წარმოიქმნებოდა ორგანული მატერია, რომლის განვითარების დაგვირგვინებას წარმოადგენს ადამიანი. მე-20 საუკუნის შუა წლებში უკვე იყო ცნობილი ცოცხალ უჯრედში გენური მუტაციებისა და ელექტრომაგნიტური გამოსხივების (რადიაციის) კორელაციური კავშირის შესახებ. კერძოდ, ცნობილი იყო გამჭოლი რადიაციის ადამიანებზე მოქმედების ტრაგიკული შედეგები (ხიროსიმა, ნაგასაკი, სემიპალატინსკის პოლიგონი და სხვ.) თუმცა, ღია ინფორმაცია ადამიანის გონებაზე ან მის ქვეცნობიერ ქმედებებზე რადიაციის გავლენის შესახებ ფაქტიურად არ გავრცელებულა. ცნობილი იყო მხოლოდ ფიზიკური ხარვეზების მქონე ბავშვების შესახებ, რაც დასხივებულ მშობლებში განვითარებული გენეტიკური მუტაციების შედეგი იყო. ამიტომ, არ შეიძლება იმ სკეპტიკოსების აზრის უაპელაციოდ უარყოფა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიას აკლია ორიგინალობა და მეცნიერული დამაჯერებლობა. უბრალოდ, კომპილატორის, უფრო ზუსტად სინთეზატორის, ნიჭით დაჯილდოებულმა, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანმა, კოსმოსური ერის დასაწყისამდე იცოდა, რომ არსებობს მზის რადიაციული გამოსხივება და მისი ზედაპირიდან, ე.წ. ფოტოსფეროდან, ამოფრქვეული მეტად გაიშვიათებული

კორპუსკულარული ნაკადი, მზის ქარი. აღმოჩნდა, რომ ეს სუბსტანცია, მოქმედებს რა წნევით დიპოლური სტრუქტურის მქონე დედამიწის მაგნიტურ ველზე, ზღუდავს მას. ამ ეფექტის გამო დედამიწის ირგვლივ საპლანეტათაშორისო სივრცეში არსებობს ასიმეტრიული ფორმის მქონე გიგანტური კავერნა, მაგნიტოსფერო. ეს წარმონაქმნი განიცდის სისტემატურ შეშფოთებას, ანუ ფორმის ცვლილებას, მზის ქართან და მის მიერ ტრანსპორტირებულ, ე.წ. „ჩაყინულ“ მაგნიტურ ველთან (საპლანეტათშორისო მაგნიტური ველი) ურთიერქმედების გამო. მაგნიტოსფეროს სასაზღვრო ფენაში, მაგნიტოპაუზაზე, დამცავი მაგნიტური ჯებირის წარმოქმნის გამო, მზის ქარის პლაზმის მხოლოდ მცირე რაოდენობა აღწევს გეომაგნიტური კავერნის შიგნით, ხოლო კორპუსკულარული ნაკადის ძირითადი მასა მონაწილეობს მაგნიტოსფეროს გარსდენაში. მაგნიტოსფეროს შიდა არეში გამოიყოფა რამდენიმე მსხვილი სტრუქტურული წარმონაქმნი:ფოკალური ზონა, შესასვლელი და დაბალგანედოვანი შიდა სასაზღვრო ფენები, პლაზმოსფერო, პლაზმური მანტია, აგრეთვე პლაზმური ფენა და ე.წ. ნეიტრალური ფენა მაგნიტოსფეროს კუდში, რომელიც ყალიბდება მზის საწინააღმდეგო მიმართულებით. ყველა ამ სტრუქტურას განსჭვალავს მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც ტალღური ენერგიით კვებავს მაგნიტოსფეროს შიგნით მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს. მთავარი პლაზმური რეზერვუარია პლაზმოსფერო, გიგანტური რადიაციული სარტყელი. მისი შემადგენელი ნაწილია იონოსფერო, რომელიც წარმოადგენს სუსტად იონიზირებულ პლაზმურ შრეს, ანუ დედამიწის უახლოეს რადიაციულ სარტყელს. იონოსფერო ერთდროულად არის მზის მოჭარბებული რადიაციისაგან დედამიწის დამცავი ფარი და ბიოსფეროს ენერგომომარაგების მთავარი არხი. ეს ნიშნავს, რომ იონოსფეროს არსებობა ფაქტიურად განაპირობებს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას (იხ. დამატება).

„პასიონარობის“ ჰიპოთეზა. ტერმინი „პასიონარობა“ შემოტანილია გუმილიოვის მიერ და გულისხმობს ინდივიდის უნარს, ქვეცნობიერად, სრული თავგანწირვით, ინსტიქტის დონეზე, ემსახუროს რაღაც იდეას. ზოგ შემთხვევაში „პასიონარი“ ადამიანი გვევლინება როგორც ალტრუისტი (მაგ. მხურვალე პატრიოტი, ან კეთილშობილი რაინდი), ან განდიდების მანიით შეპყრობილი ეგოისტი (მაგ. თავზე ხელაღებული ავანტიურისტი, კონკისტადორი ან მოხეტიალე ჯარისკაცი). როგორც ვიცით, გუმილიოვის ჰიპოთეზით, „პასიონარი“ ინდივიდების რაოდენობის ზვავისებურ ზრდას („პასიონარული“ ბიძგი) ადამიანების რომელიმე პოპულაციაში იწვევს მზის აქტივობის ხანგრძლივ ვადიანი (საუკუნეობრივი) ცვლილებით გამოწვეული გენეტიკური მუტაცია. მზის აქტივობა და მასთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური სივრცის ფიზიკის საგანს (იხ.დამატება).

გუმილიოვის თანახმად, დროის რაღაც მონაკვეთში, დედამიწის რომელიმე კონკრეტულ რეგიონში (ან რეგიონებში) მცხოვრებთა შორის ჩნდება ადამიანების ჯგუფი, რომელიც მზის რადიაციული გამოსხივების სპექტრის გრძელვადიანი პერიოდული ცვლილების ფონზე სპონტანურად ხდება ახალი ეთნოსის ჩანასახი. სათანადო ბუნებრივი და სოციალური პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია განსაკუთრებული ინდივიდების ჯგუფის ტრანსფორმაცია ეთნიკურ ბირთვში. ეს ადამიანები თავისი პოპულაციის შიგნით ყოფაქცევის სტერეოტიპით სხვებისაგან განსხვავდებიან. მაგრამ, ამ მცირე ჯგუფიდან ერთნაირი ადამიანების დიდ ერთობლიობად ჩამოყალიბებამდე, ანუ ეთნიკური ჩანასახის მდგომარეობიდან სრულფასოვანი ეთნოსის დაბადებამდე, ადამიანების პოპულაციამ, მსგავსად ცოცხალი

არსებისა, უნდა გაიაროს ევოლუციური განვითარების პროცესი, რომელიც შედგება რამდენიმე ფაზისაგან:

1. **აღმავლობის ფაზა**-„პასიონარული“ ინდივიდების რიცხვის სწრაფი ზრდა პოპულაციის შიგნით ბუნებრივი გამრავლების, ან ადამიანების ცალკეულ ჯგუფებში (კონსორციები) „პასიონარების“ ინკორპორირების გზით;

2. **პასიონარული გადახურების, ანუ აკმატიკური, ფაზა**- პერიოდი, როცა პოპულაციაში „პასიონარების“ რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს და კონსორციები გარდაიქმნებიან კონვიქსიებში (სუბეთნიკური ჩანასახები). კონვიქსიების გაერთიანება წარმოადგენს ეთნოსის საფუძველს.

3. **გარდატეხის ფაზა**-პასიონართა რიცხვის მკვეთრი შემცირება და მათი შევიწროვება სუბპასიონარების (მყარი ორიენტირების არმქონე დეკლასირებული ელემენტები) მხრიდან;

4. **ინერციული ფაზა**- კატაკლიზმური მოვლენების პროცესში გადარჩენილი „პასიონარების“ რაოდენობის ნელი შემცირება;

5. **ობსკურაციის ფაზა**-„პასიონარების“ სრული ჩანაცვლება სუბპასიონარებით, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს ან ღუპავს ეთნოსს. ზოგჯერ ეს პროცესი ვერ ასწრებს ეთნოსის დაღუპვას იმ მომენტამდე, ვიდრე შემოიჭრება უცხო დამპყრობი. ხშირ შემთხვევაში ეთნიკური განვითარების პროცესის ეს ფინალური ფაზა სრულდება მემორიალური ფაზით, ანუ როცა გადარჩენილი პოპულაციის შემადგენელ ინდივიდებში სრულიად წაშლილია ეთნიკური მეხსიერება.

ნაწილი მესამე. „პასიონარული“ ბიძგი ისტორიულ მაგალითებში

აღმავლობის ფაზა. ახალი ეთნოსის ბირთვის ფორმირებას ჩვეულებრივ წინ უსწრებს ფარული საინკუბაციო პერიოდი, რომელიც საშუალოდ 100-150 წელი გრძელდება. ამ დროს არ ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები და სავალდებულო არ არის, რომ დაიწყოს ახალი ეთნოსის ფორმირება. ამრიგად, ინკუბაცია არის ეთნიკური აღმავლობის ფაზის საწყისი ეტაპი, რომელიც მთავრდება მყარი ეთნიკური ბირთვის ჩასახვით. ეს პროცესი შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეწყდეს გარეშე ძალის ჩარევის გამო. ეთნოსის საინკუბაციო პერიოდში, მისი ბირთვის ჩასახვის პროცესში, ერთი ან რამდენიმე თაობის განმავლობაში, პოპულაციაში ჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც აღარ ეგუებიან იმ შეზღუდვებს, რომლებსაც ემორჩილებოდნენ მათი უახლოესი წინაპრები. ასეთი პირების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ადამიანთა საერთო რაოდენობაზე. ამიტომ, ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში ისინი უმეტესად იღუპებიან, რადგან კოლექტივი (ოჯახი, ანუ კონსორცია) აქტიურად ეწინააღმდეგება უცნაური თვისებების მქონე პირების ქმედებებს. მაგრამ, დროთა განმავლობაში, უცნაური ქცევის მქონე ადამიანთა რიცხვი იმდენად მატულობს, რომ მათი რაოდენობა საკმარისი ხდება, რათა ისინი გაერთიანდნენ ქმედითუნარიან ჯგუფებში და საკუთარი ნება მოახვიონ ადამინების მასას. ასეთი გზით ხდება დროის რომელიღაც მომენტში ისტორიულ არენაზე არასტანდარტული თვისებების მქონე ადამინების ჯგუფის გამოჩენა, რომელიც, ეთნოლოგიური ტერმინოლოგიით, წარმოადგენს მინიმალური ზომების მქონე, მაგრამ უკვე მიზანმიმართული, ახალი კონსორციების გაერთიანებას, ე.წ. კონვიქსიას. თუ კონვიქსია (სუბეთნოსი) არ დაიღუპა გარშემო მყოფებთან შეტაკებებისას, ის სწრაფად განვითარდება და ჩმოაყალიბებს საკუთარ ეთნიკურ სახეს და თვითშეგნებას. ამ

პროცესში კონვიქსია იღებს შესაფერის სოციალურ ფორმას და ჩნდება ფართო ისტორიულ ასპარეზზე, რადგანაც, როგორც წესი, იწყებს ტერიტორიულ ექსპანსიას. ასეთი ახალი ეთნიკურ-სოციალური სისტემის ფორმირება, რომელიც თავიდან გარეგანი დამკვირვებლისათვის შეუმჩნეველია, წარმოადგენს გუმილიოვის მიერ ჰიპითეტიურად შემოტანილი ეთნიკური ჩამოყალიბების ინკუბაციური პერიოდის დასასრულს. ამის შემდეგ უკვე ხდება ეთნიკური აღმავლობის ფაზის აშკარად წარმოჩინება. გუმილიოვს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ ინკუბაციური პერიოდის არსებობის სამართლიანობას. კლასიკურია, მაგალითად, ქრისტიანული თემის ჩასახვა ელინური, ძველებრაული და სირიული ეთნოსების წიაღში. გარკვეული ხნის განმავლობაში თითქმის შეუმჩნევლად გაჩნდა ადამიანების მასა, რომელიც საკუთარ თავს აპირისპირებდა ყველა დანარჩენთან ისე, რომ არ გააჩნდა ახალი, ყველასაგან განსხვავებული ყოფაქცევის სტერეოტიპი. ამიტომ, პირველი ქრისტიანების ჯგუფი წარმოადგენდა ერთდროულად ახლობელსაც და უცხოსაც საკუთარი ხალხის მიმართ. ქრონოლოგიურად, ახალ თემს იდეოლოგიური საწყისი მისცა პავლე მოციქულმა, რომლის ქადაგებამ გააერთიანა სხვადასხვა ეთნიკური სუბსტრატებისაგან ჯერ კიდევ გამოუყოფელი მცირე კოლექტივები. მეორე საუკუნეში, იუსტინიანე ფილოსოფოსის მოქმედების შედეგად, ქრისტიანები ჩამოყალიბდნენ თავისებურ სუბეთნოსად, რომელშიც გაერთიანდა იუდაიზმისაგან და კერპთაყვანისმცემლობისაგან უკვე მკვეთრად გამიჯნული ახალი კონსორციები. გარკვეული ხნის შემდეგ ქრისტიანებმა უზრუნველყვეს იმპერატორ კონსტანტინეს გამარჯვება და, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ახალმა ეთნოსმა მიიღო თვითსახელწოდება, ბიზანტიელი ქრისტიანები. ამ ქვაკუთხედურმა მოვლენამ მოკლე დროში საფუძველი დაუდო უზარმაზარ სუპერ ეთნოსს, რომელსაც გუმილიოვმა პირობითად უწოდა ბიზანტიური. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ეთნიკური აღმავლობის ფაზა, რომელსაც გუმილიოვის მიერ მოყვანილ სხვა მაგალითებთან აერთიანებს იმპერატივი: “ იყავი ის, ვინც შენ უნდა იყო”, ფაქტიურად დასრულდა. ყველა ეთნოსისათვის ასეთი იმპერატივი ნიშნავს, რომ ინდივიდმა, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნდა შეასრულოს კონკრეტული საზოგადოებრივი მოვალეობა: თუ მეომარი ხარ- იომე, თუ ხარ გლეხი-დაამუშავე მიწა. ეს იმპერატივი ეთნოსის ინკუბაციურ პერიოდში ცხადად არ სჩანს, მაგრამ ქვეცნობიერ დონეზე მოქმედებს უცნაური ყოფაქცევის მქონე „პასიონარულ“ ელემენტებს შორის. შემდგომში ის თანდათან ძლიერდება და დომინანტური ხდება აღმავლობის ფაზის ბოლო ეტაპზე. ამ დროს უკვე მოსახლეობის წამყვან ჯგუფად ჩამოყალიბებული, ახალი ტიპის ენერგიული ადამიანების, ერთობლიობა ბიძგს აძლევს საწყის პოპულაციას ეთნიკური განვითარებისაკენ, ანუ მატერიალური და სულიერი ფასეულობების დაგროვებისაკენ. ახალი ეთნიკური მთლიანობის თითოეული აქტიური მშენებელი თავს გრძნობს წინაპრების ისტორიული საქმის გამგრძელებლად და, თავის მხრივ, მათ ნამოქმედარს რაღაცას უმატებს. ასე გაჩნდა აღიარებული გმირის და მის ირგვლივ მყოფი სხვა უსახელო გმირების კულტი, რომელთათვისაც სამშობლო უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენდა. ისინი, სპარტანელი ლეონიდესა და ფრანკი როლანდის მსგავსად, სამარადჟამოდ აღბეჭდეს სიმღერებსა და პოემებში, როგორც განსაკუთრებული ადამიანები, რომელთათვისაც უცხოა პირადი ინტერესი. ამ ნაწარმოებებში ისე მოჩანს, თითქოს გმირებს თავიანთი საქმე საკუთარ თავზე მეტად უყვართ, რაც შეუძლიათ მხოლოდ განსაკუთრებული ფსიქო-ნერვული წყობის მქონე ადამინებს, ანუ, გუმილიოვის დეფინიციით, „პასიონარ“ სუბიექტებს. მთავარი შედეგი, რაც

დამახასიათებელია აღმავლობის ფაზაში მყოფი ეთნოსისათვის, არის გარეგანი ექსპანსიის გზით სასიცოცხლო ტერიტორიის გაფართოება, რაც საზოგადოებრივი სისტემის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ნაწილი მეოთხე. „პასიონარული“ ბიძგი და ეთნოგენეზის ფაზები საქართველოში

გუმილიოვი ცდილობდა თავისი თეორიის დასაბუთებას სხვადასხვა ეთნოსების ისტორიულ მაგალითზე. მისი მეთოდიკის მიხედვით გამოვიდა, რომ ეთნოგენეზის ყველა ფაზა, თავიდან ბოლომდე, ისტორიულ ეპოქაში გაიარა და დაასრულა დაახლოებით 35-მა ეთნოსმა და სუპერეთნოსმა. რამდენიმე სუპერეთნოსი, მაგალითად, რუსული და ჩრდილო ამერიკული, დღეს განვითარების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ახალგაზრდად შეიძლება ჩავთვალოთ. კერძოდ, რუსები „პასიონარული“ გადახურების ფაზაში არიან, ხოლო ამერიკელები- აღმავლობის ფაზაში. ***გასაკვირია, მაგრამ გუმილიოვის მიერ მოყვანილ მაგალითებს შორის არ არის ქართული ეთნოსი, რომელიც მის მიერ ჩამოყალიბებული ყველა ნიშნის მიხედვით ერთერთია იმ ეთნოსებს შორის, ვინც შესძლო განვითარების ყველა ფაზის გავლა, ანუ საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. საკმაოდ მარტივია ვაჩვენოთ, რომ ეს მოხდა ზუსტად იმ ისტორიულ დროით ინტერვალში, რომელიც გუმილიოვმა განსაზღვრა, როგორც ეთნიკური არსებობის ვადა.*** თავდაპირველად, გუმილიოვი ასეთ ინტერვალად მიიჩნევდა /10 ± 2/ საუკუნეს, რომელიც შემდგომში დააზუსტა და დაადგინა, როგორც /12 ± 4/ საუკუნე. ასეთი დეფინიცია ზოგიერთი ოპონენტის აზრით საკამათოა. მიუხედავად ამისა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეთნოსის არსებობის ვადის განსაზღვრა წარმოადგენს გუმილიოვის თეორიის როგორც ერთერთ ქვაკუთხედურ მიგნებას, ასევე სუსტ წერტილს, რომელიც კრიტიკულად უნდა იყოს განხილული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ ისტორიული დროის რომელი მომენტი შეიძლება ჩაითვალოს ქართული სუბეთნიკური ჯგუფების ერთიანობის ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩამოყალიბების, ანუ პირველი, ეთნიკური აღმავლობის ფაზის, ნიშანსვეტად. უნდა ავღნიშნოთ, რომ არცერთი ეთნოსის წარმოქმნა არ ხდება ცარიელ ადგილზე. როგორც უკვე ვიცით, თავდაპირველად არსებობენ გარკვეული ეთნიკური ნიშნების მატარებელი სუბსტრატები, რომელთა შიგნითაც ისახება ახალი ეთნიკური ერთობა. ქართველებთან მიმართებაში ასეთი ეთნიკური სუბსტრატების, კონსორციებისა და კონვიქსიების, არსებობა სრულიად ცხადია. ისტორიული ცნობები პროტო ქართული ტომების შესახებ საკმარისად მოიპოვება მინიმუმ ძველი წელთაღრიცხვის მეორე და პირველი ათასწლეულების მიჯნიდან. საგულისხმოა, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში არსებობს ძველი კოლხეთის შესახებ, მკაცრი განხილვისას შეიძლება არ მივიჩნიოთ საიმედო ისტორიულ საბუთად. უფრო სანდოა ურარტუსა და ასირიის ქრონიკებში შემონახული ინფორმაცია კავკასიის ქედის სამხრეთით მცხოვრები ტომების შესახებ, რომელთაც, როგორც სჩანს, უკვე ჰქონოდათ სახელმწიფოებრიობის ჩანასახები. რაღაცა მიზეზების გამო შემდგომი ათასწლეულის განმავლობაში ამ ტომების შიგნით ვერ მოხდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, რაც დომინანტური ეთნოსის გარეშე გამორიცხულია. თუმცა ვიცით, რომ არსებობდა ამის ცდა იბერიის მეფე ფარნავაზისა და ეგრისის მმართველის ქუჯის მხრიდან. ამ დროიდან უკვე ჩამოყალიბდა სუბეთნოსების ნიშნების მქონე მრავალრიცხოვანი პოპულაციები დღევანდელი მეგრელების, სვანების, მესხების,

კახელებისა და ქართლელების ისტორიული წინაპრების სახით. აქ უკვე ვაწყდებით გარკვეულ წინააღმდეგობას გუმილიოვთან, რომელიც სუბეთნოსების წარმოქნას მეტწილად ეთნიკური აღმავლობის ფაზის შედეგად მიიჩნევდა. აშკარაა, რომ ისტორიული მეგრელები, ანუ ლაზები და ჭანები, ისევე როგორც ძველი სვანები და აღმოსავლეთ საქართველოს ბინადარი ქართები, ძალიან დიდი ხნის წინ გასცდნენ კონსორციების საზღვრებს და მასიურად ატარებდნენ კონვიქსიებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ყოფაქცევის სტერეოტიპის ნიშნებს. ამიტომ, უნდა დავუშვათ, რომ პოპულაციური ფონი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ბევრი სხვა ეთნოსისათვის. გუმილიოვის მიხედვით, აღმავლობის ფაზის მთავარი ნიშანია ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც აერთიანებს სუბეთნოსებს ერთიან ეთნოსად. ასეთ მომენტად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს გაერთიანება დავით კურაპალატის მიერ X საუკუნის ბოლოს, რაც ფორმალურად ითვლება ბაგრატიონების სამეფო დინასტიის საწყისად. ბუნებრივია, რომ ამ ისტორიულ მოვლენას წინ უსწრებდა აღმავლობის ფაზის საწყისი, ინკუბაციური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომზადდა საქართველოს გაერთიანებისათვის აუცილებელი პირობები, კერძოდ, გაჩნდნენ „პასიონარები“. ინკუბაციურ პერიოდში, რომელიც, როგორც სჩანს, საქართველოში ერთი-ორი საუკუნე გრძელდებოდა, მართლაც იყვნენ განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნებები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან: გუარამ მამფალი, აშოტ კურაპალატი და თვით დავით კურაპალატი. ალბათ, „პასიონარობის“ თვალსაზრისით, ფაქტიურად ბაგრატიონთა გვარის ამ გამორჩეული პირების თანაზომადნი იყვნენ თორნიკე ერისთავი და იოანე საბანისძე. ყოველ შემთხვევაში, თუ ინკუბაციური პერიოდის კონცეფციას მივიღებთ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაარსების წინა პერიოდში ქართველების წიაღში გამორჩეული ინდივიდების რაოდენობა არც თუ ცოტა იყო. ამრიგად, შეგვიძლია მივიჩნიოდ, რომ საქართველოში ინკუბაციური ფაზა დამთავრდა ბაგრატ მესამის, როგორც გაერთიანებული საქართველოს მეფის, ტახტზე ასვლით. შემდგომში, ყველა ნიშნით, აღმავლობის ფაზა გაგრძელდა და ფორმალურად დასრულდა დავით აღმაშენებელის მიერ უძლიერესი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. საქართველოს ეთნიკური განვითარების პროცესის ანალიზი გაგრძელებული იქნება სხვა ფაზების განხილვის დროს. ჯერჯერობით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ეთნოსის მაგალითზე გუმილიოვის თეორიის საწყისი პრინციპი საკმაოდ ცხადად მოქმედებდა.

აკმატიკური ფაზა. ამ ფაზაში განსაკუთრებულ დონეს აღწევს უკვე მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკური თავისებურების მატარებელი „პასიონარული“ ინდივიდების აქტიურობა საქმიანობის ყველა სფეროში. ამ ადამიანების რაოდენობა იმდენად იზრდება, რომ ისინი ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან, რაც ზოგჯერ შიდა ომის მიზეზი ხდება. ამის გამო ირღვევა ეთნოსის სტრუქტურული ელემენტების ურთიერთ დაქვემდებარება და იცვლება ეთნიკური ქმედების იმპერატივი. თითოეულ ინდივიდს უნდა, რომ ყველასაგან განსხვავებული, სრულიად თვითმყოფადი იყოს. ამით ის, ნებსით თუ უნებლიედ, ანგრევს უკვე არსებულ ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მზად არის ეთნოსის ინტერესი ანაცვალოს საკუთარ მიზნებს. ბუნებრივია, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც ხშირად მასშტაბურ სამოქალაქო ომებში გადადის. გუმილიოვის მიხედვით, სამოქალაქო ომი იწვევს ეთნოსის შემადგენელი მასის დუღილს, რის გამო გლეხები სწყდებიან მიწას, მასიურად მიემართებიან

ქალაქებისაკენ ან უერთდებიან ადგილობრივ ბოგანოთა ჯგუფებს. ამის შედეგად ძლიერდება პარაზიტული ფენა და იქმნება საფუძველი სოციალური კატაკლიზმებისათვის. გლეხების ის ნაწილი, რომელიც მიწაზე რჩება, ჯანყდება მიწათმფლობელების წინააღმდეგ და იწყებს მათი ქონების დარბევას, რასაც მოჰყვება საპასუხო რეაქცია, რომელიც ისევ დაკავშირებულია სისხლისღვრასთან. ასეთ ვითარებაში საფუძველი ერყევა ეკლესიას, რადგანაც მისი საყრდენი მსხვილი ფეოდალები და საშუალო მეპატრონეები სრულიად უმართავნი ხდებიან, ემორჩილებიან რა მხოლოდ ხმლის დისციპლინას. მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრი იყო შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში. გავიხსენოთ თუნდაც წითელი და თეთრი ვარდების პარტიების დაპირისპირება ინგლისში, რომელიც შემდგომ გადმოედო საფრანგეთსაც. ევროპაში ასეთი სოციალური მოვლენის ზოგადი მახასიათებელი იყო პოლიტიკური ცვლილებების მაღალი ტემპი. ამიტომ, ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა ახალი პოლიტიკური და რელიგიური წყალგამყოფები ადამიანებს შორის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ისედაც ზღვარს გადასულ დაპირისპირებას. ამასთან ერთად, აკმატიკურ ფაზაში მყოფი ეთნოსების შიგნით მიმდინარე პროცესები მეტად ჭრელი და მრავალფეროვანი იყო თავიანთი ხასიათით. ამიტომ, დავუბრუნდეთ რევოლუციური ელემენტების როლს სოციალურ კატაკლიზმებში, რადგანაც მათ საწყისი ბიძგს აძლევდა „პასიონარული“ თვისებების მატარებელი გენეტიკური მუტანტების რაოდენობის კრიტიკულ დონემდე გაზრდა. გუმილიოვის მტკიცებით, საკმარისია ქვეყნის მოსახლეობის 10% „პასიონარული“ გახდეს, რომ შეიქმნას რევოლუციური სიტუაცია.

„პასიონართა“ რიცხვის კრიტიკული ზრდის შესაბამის მომენტს გუმილიოვმა მოუძებნა სპეციალური დეფინიცია, „პასიონარული“ გადახურების მომენტი. მაგრამ, ცნობილია, რომ გადახურებას აუცილებლად მოსდევს მისი რელაქსაცია (ჩაქრობა). ეს პროცესი, სხვადასხვა საწყისი პირობებისა და ლოკალური ფონური მდგომარეობის გამო, ყველა ეთნოსში ერთნაირი სიჩქარით არ მიმდინარეობს. „პასიონარული“ ელემენტების დაღუპვასთან ერთად, თანდათან იზრდება ე.წ. ჰარმონიულ პირთა რაოდენობა ეთნოსის შიგნით, რომლებიც ნელ-ნელა იძენენ საკუთარ ფუნქციას, რადგანაც გვევლინებიან განსაკუთრებული როლის შემსრულებელ პირებად ეთნოსის შიგნით მიმდინარე პროცესებში. *ფაქტიურად, აკმატიკურ ფაზაში იკვეთება გარდატეხის მომენტი, რომლის მათემატიკური ანალოგია არის დროის ფუნქცია ერთი გამოკვეთილი ექსტრემუმით. შეიძლება დავამატოთ, რომ ამ მომენტში განსხვავებული წინაპირობების არსებობა, ლორენცის „უცნაური ატრაქტორის“ მცნების მოშველიებით (იაკობ სინაის შემთხვევითი პროცესების თეორია), განსაზღვრავს ეთნოსების შემდგომი განვითარების სპეციფიკას (გუმილიოვის მიხედვით, ე.წ.ისტორიული ზიგზაგები). ივანოვისათვის (ე.ი. გუმილიოვისათვისაც) ცნობილი იყო, რომ ექსტრემუმში ფუნქციის წარმოებული ნულის ტოლია, ხოლო მეორე წარმოებულის ნიშანი განსაზღვრავს ფუნქციის მდგრადობას. რადგან აკმატიკური ფაზა ჩვეულებრივ არც თუ მდორედ გადადის ინერციულ ფაზაში, ბუნებრივია, რომ ამ მომენტში ეთნიკური პროცესის ექსტრემუმი უნდა ატარებდეს მაქსიმუმის ფორმას. მექანიკასთან ანალოგიით, ეს ნიშნავს, რომ ეთნოსის გარდატეხის მომენტი არამდგრად, თუმცა წონასწორულ, მდგომარეობას შეესაბამება (იხ.დამატება).* ანალოგია ექსტრემუმის მქონე მათემატიკურ ფუნქციასთან, რომელიც გუმილიოვს სიცხადისათვის აქვს გამოყენებული, საკმარისად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ეს ხერხი იძლევა ეთნიკური განვითარების ფაზების მარტივ გრაფიკულ ვიზუალიზაციას. რადგანაც გარდატეხის ფაზაში ეთნოსი საკმაოდ დასუსტებულია, არსებობს მისი

სრული განადგურების მაღალი ალბათობა. არამდგრადი წონასწორული მდგომარეობის დარღვევამ, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა შინაგნი და გარეგანი ფაქტორებით, შეიძლება რადიკალურად იმოქმედოს ეთნიკური განვითარების პროცესზე. ამ ფაზას ახასიათებს ახალი იმპერატივი, რომელიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ზუსტად ეთანადება ეთნოსის შიგნით მასიურად გაბატონებულ განწყობას: "ჩვენ დავიღალეთ დიდი პიროვნებებისაგან".

გარდატეხის ფაზა. აკმატიკური მდგომარეობიდან ეთნოსის გამოსვლის ორი გზა არსებობს: ეთნოსის ლიკვიდაცია ომის ან ასიმილაციის გზით (თვითლიკვიდაცია); გადასვლა გარდატეხის ფაზაში. პირველი ვარიანტის მაგალითია თათარ-მონღოლების ურდოს შიგნით წარმოქმნილი ეთნიკური ჩანასახი, რომელშიც დომინანტური აღმოჩნდა თურქული ელემენტი. მისი ნიველირება მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა სუბეთნიკურ წარმონაქმნებთან მასიური ასიმილაციის შემდეგ. თუმცა, ოქროს ურდოს ცალკეული ნამსხვრევები საკმაო ხანს არსებობდნენ ახალი რუსული ეთნოსის შიგნით რამდენიმე სახანოს სახით (ყაზანისა და ასტრახანის სახანოები, აგრეთვე ნიღაელთა ურდო). ამიტომ, შესაძლოა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ახალი, გუმილიოვის ტერმინოლოგიით რუსული, სუპერეთნოსის აღმავლობის ფაზის პირველი პერიოდი წარმოვიდგინოთ, როგორც ოქროს ურდოს გარდატეხის ფაზის პროდუქტი. ყოველ შემთხვევაში, გუმილიოვი ამას ამტკიცებს, თუმცა მისი ოპონენტი ჩივილიხინი და "პამიატ"-ის იდეოლოგები ასეთ თეზას კატეგორიულად უარყოფენ. გუმილიოვს მიაჩნია, რომ გარდატეხის ფაზაში „პასიონარული" ენერგია მხოლოდ იფანტება, რადგანაც ეთნოსის შიგნით იზრდება ჰარმონიული და სუბპასიონარული პირების რიცხვი. ეს უკანასკნელნი, გუმილიოვის შეხედულებებით, წარმოადგენენ სამოქალაქო ომის დროს აუცილებელი დაქირავებული შემსრულებლებისა და ეგოისტი მაროდიორების მასას. რამდენად ჰქონდა ამას ადგილი ოქროს ურდოს შიგნით, ძნელი სათქმელია. თუმცა, შიდა აშლილობა ამ გიგანტურ წარმონაქმნს ბათუ ყაენის შემდეგ ყოველთვის ახასიათებდა, თუმცა მან მაინც საუკუნეები გაძლო პერმანენტული შფოთისა და სისხლიანი დაპირისპირების პირობებში. გამოდის, რომ ოქროს ურდოს მაგალითი სპეციფიკურია და თითქოს მოსკოვის დიდი სამთავრო მართლაც წარმოადგენს მისი ეთნიკური განვითარების გაგრძელებას, რომელიც უზრუნველყვეს მიგრირებულმა „პასიონარებმა". თუ იგივე ფაზაში მყოფი ევროპული ეთნოსების მაგალითს მივმართავთ, დავინახავთ, რომ იქ მცირდებოდა ან ისპობოდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების მცდელობები პოლიტიკაში, ეკონომიკასა და მეცნიერებაში. მათ შორის ბევრს აცხადებენ ფანატიკოსად და სატანის მსახურად (ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი და სხვანი) ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს იწვევდა ეთნოსის დასუსტებას, რადგან აღარ არსებობდა ურთიერთ მხარდაჭერა და ახლობელის გატანა. ამიტომ, გარდატეხის ფაზა მართლაც სახიფათოა ეთნოსისათვის, თუ კი მას დაუპირისპირდებიან „პასიონარული" მოწინააღმდეგეები, თუნდაც მათი რიცხვი მცირე იყოს. სწორედ ეს მოხდა ევროპაში შუა და ახალი საუკუნეების მიჯნაზე, როცა ბევრ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომებმა გაანადგურა ჰარმონიული პირები, ანუ ისეთი ადამიანები, რომლებიც ბუნებით კანონმორჩილნი და შრომის მოყვარეები იყვნენ. სამაგიეროდ, სუბპასიონარული ელემენტების ზრდამ ჩამოაყალიბა ახალი, გუმილიოვის განმარტებით, მოხეტიალე ჯარისკაცთა კასტა, რომლის მიმართვა ნეგატიური ქმედებებისაკენ მარტივად შეეძლოთ ცალკეულ „პასიონარ" ინდივიდებს. ამის შედეგი განსაკუთრებით სავალალო აღმოჩნდა, რადგანაც საყოველთაო სახეს იღებს პატიოსანი ადამიანების დევნა და

დაღუპვა უსინდისოთა მხრიდან, რომლებიც კადრულობდნენ ცრუ მოწმეობასა და დაბეზღებას. მსგავსი ქმედების გამამართლებელი მიზეზი უსინდისოთა ბუნებაში ყველგან და ყოველთვის არსებობდა, რადგანაც მორალური ნორმების დეგრადაცია ბუნებრივად იწვევს არაკეთილსინდისიერი დეგენერატების რიცხვის ანომალურ ზრდას. მათთვის შური და ამორალური ქმედება ყოფაქცევის წესს წარმოადგენდა ყველა ეპოქაში. ეთნოგენეზის ამ ფაზას გუმილიოვმა ერთობ შესაფერისი იმპერატივი გამოუნახა: "მოგვეცით ცხოვრების საშუალება, თქვე საზიზღრებო".

საქართველოსთან მიმართებაში აკმატიკური ფაზა საკმაოდ კარგად არის გამოკვეთილი, თუმცა უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა ევროპულ ეთნოსებთან შედარებით. ამ ფაზამ მოიცვა დავით აღმაშენებელის მეფობის ბოლო პერიოდი ლაშა გიორგის მეფობის ჩათვლით. დროის ეს მონაკვეთი მართლაც ყოველმხრივ გამორჩეულია საქართველოს ისტორიაში, რადგანაც სახეზეა ქვეყნის პოლიტიკური ძლევამოსილება და ეკონომიკურ- სულიერი აღმავლობა, რაზედაც მეტყველებს თუნდაც რუსთაველის არსებობა. მაგრამ, ამის პარალელურად, ამ ეპოქაში ისიც მოსჩანს, რომ ჰარმონიულ ინდივიდებთან ერთად მრავლდებიან აგრეთვე სუბპასიონარული ელემენტებიც, რომელთათვისაც სისხლისღვრა და ძალადობა არსობის ამოსავალია. სწორედ ასეთი ელემენტები შეადგენდნენ ტიპიური „პასიონარების", მხარგრძელების კლანის, დასაყრდენს. მათ, ობიექტური ისტორიკოსისა და ნამდვილი პატრიოტის, ილია ფერაძის თქმით, მხოლოდ თარეში სურდათ და მოკლე დროში საქართველოს მეზობლების სისტემატური რბევის დროს იმდენი სისხლი დაღვარეს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში მუსულმანურმა სამყარომ ქართველებს აღარ აპატია. შესაძლოა, რომ ფერაძის ჰიპერბოლიზირებული ნათქვამი ზედმეტად ხატოვანი იყოს, თუმცა მასში გამოსჭვივის ჭეშმარიტების ელემენტი.

მარტივი მისახვედრია, რომ ეთნიკური გარდატეხის ფაზა საქართველოში დაიწყო მონღოლთა შემოსევიდან. თამარისა და დავით სოსლანის ღირსეული მეფობის შემდეგ, თითქოს და, სიმძლავრის მწვერვალზე მყოფ ქვეყანას უნდა მოეხერხებინა მონღოლთაგან მიღებული პირველი მარცხის სწორი ანალიზი და ისე ემოქმედა, რომ თავიდან აეცილებინა ჯალალედინის მიერ დატრიალებული ტრაგედია. მაგრამ, როგორც სჩანს, იმდროინდელ საქართველოში ერთნაირად სწრაფად მოხდა როგორც „პასიონარული" ინდივიდების რიცხვის შემცირება, ასევე სუბპასიონართა რაოდენობის ზრდა, რამაც სახელმწიფოში წარმოქმნა მეტად არამდგრადი ვითარება. ზედაპირული ხედვით, საქართველო თითქოს მზად იყო მოეგერიებინა როგორც მონღოლები, ასევე მათზე გაცილებით უფრო არაორგანიზებული ბრბო, რომელსაც ჯალალედინის სახით მოევლინა ნამდვილი „პასიონარი". სამწუხაროდ, ქართველებში მსგავსი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება არ აღმოჩნდა არა თუ ჯალალედინის შემოსევის მომენტში, არამედ შემდეგაც, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, გიორგი მეხუთე ბრწყინვალემდე. სწორედ მისი გამეფება შეიძლება მივიჩნიოდ გარდატეხის ფაზის დასასრულად ქართული ეთნოსის ისტორიაში.

ინერციის ფაზა. ეთნიკური განვითარების ამ ფაზის განმასხვავებელი ნიშანია ადამიანთა მასაში აქტიური ელემენტის მკვეთრი შემცირება და საზოგადოების გარკვეული კმაყოფილება დამყარებული ვითარებით, რაც ნიშნავს ემოციურად პასიური, შრომისმოყვარე მოსახლეობის დომინანტს. იმ მძიმე სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების შემდეგ, რომლებიც შემორჩა ეთნიკურ მეხსიერებას განვითარების წინა ფაზიდან, ადამიანებს სურდათ არა ქვეყნის წარმატება და ახალი მიზნებისაკენ სწრაფვა, არამედ სიწყნარე და პასიური ყოფა. ასეთ საზოგადოებაში ბევრი

ადამიანი ხვდება, რომ ის ინდივიდები, რომელთაც სურთ საკუთარი ორიგინალობის მაქსიმალურად გამომჟღავნება, წარმოადგენენ თავიანთი მეზობლებისათვის გაცილებით უფრო დიდ ხიფათს, ვიდრე გარეშე მტრები. ამიტომ, გუმილიოვის მიხედვით, ხდება ინერციული ფაზის პრინციპების განცხადება, რადგან მეფდება ახალი იმპერატივი "იყავი ისეთი, როგორიც ვარ მე". ამის კლასიკური მაგალითია მეჩვიდმეტე - მეცხრამეტე საუკუნეების ინგლისის საზოგადოება, რომელშიც ამ იმპერატივმა მიიღო ხორცშესხმა "ჯენტლემენის" სახეში. მასში იგულისხმებოდა „დახვეწილი" მანერების მქონე ადამიანი, რომლის ქცევა ყველა სიტუაციაში სამაგალითო იყო. თავიდან ამ ეტალონისათვის უნდა მიებაძათ არისტოკრატთა ფენის მამაკაცებს, თუმცა მომძლავრებული ბურჟუაზიული კლასის ზოგიერთმა ფუქსავატმა ახალგაზრდამაც გადაიღო ქცევის ჯენტლემენური მანერა. მათ საწინაარმდეგოდ, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პროცესში, ჩამოყალიბდა ანგლიკანური ეკლესიის მიმდევარი მკაცრი, საქმიანი პურიტანის ტიპი, რომლის იდეალური განსახიერება აღმოჩნდა ოლივერ კრომველი. ამრიგად, ინგლისის საშუალო ფენამაც შეიძინა ყოფაქცევის საკუთარი სტერეოტიპი. საინტერესოა, რომ დაპირისპირება ჯენტლემენსა და პურიტანს შორის ჩრდილო ამერიკულ კოლონიებსაც გადაედო და შემდგომში იქ სამოქალაქო ომის ერთერთ ტრიგერად (გამომწვევი მიზეზი) იქცა. ესპანურენოვან სამყაროში ჯენტლემენის ანალოგი აღმოჩნდა იდალგო, რომლის ყოფაქცევის სტერეოტიპი ჯენტლემენის ყოფაქცევისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისში ჩამოყალიბდა ვითარება, როცა გადახვევა კლასობრივ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ყოფაქცევის ნიმუშებისაგან ითვლებოდა ანომალურად. ამის გამო მოხდა ისე, რომ მდარე, შეზღუდული გაქანების მქონე, ადამიანები ითვლებოდნენ იდეალებად, ხოლო ინდივიდუალური ნიშნებით გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც არ სურდათ საკუთარი ცხოვრებისეული პრინციპების დათმობა, ირიყებოდნენ საკუთარი წრის მხრიდან. ასეთი პირებისათვის უხიფათო ასპარეზად, რომელიც უტოვებდა მათ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოძებნის შესაძლებლობას, რჩებოდა მხოლოდ კულტურისა და მეცნიერების სფერო. ამიტომ, გუმილიოვმა ინერციის ფაზას უწოდა "ოქროს შემოდგომა" ეთნოსის ცხოვრებაში, როცა ხდება მატერიალური და კულტურული ღირებულებების ინტენსიური დაგროვება. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნული ღირებულებების შექმნის პროცესში, ცხოვრება წყნარია და პირობები კარგი, ანუ შემოქმედებით ადამიანებს არა აქვთ პრობლება ნორმალური არსებობისათვის საჭირო გარემოში. პირიქით, მათ გარკვეული უზრუნველყოფა გააჩნიათ, რაც ნიშნავს, რომ თავიანთი მოთხოვნილებების შესაბამისად დაკმაყოფილებულნი არიან. სამაგიეროდ, ინერციის ფაზაში მცირდება ეთნოსის შესაძლებლობა, რათა გააფართოვოს თავისი გეოგრაფიული არეალი. ეს ნიშნავს, რომ დადგა საკუთარი ქვეყნის ლანდშაფტებზე გაძლიერებული ზეწოლის ხანა. მკვეთრად ვითარდება ტექნოსფერო, ანუ საჭირო ან არც თუ აუცილებელი, შენობების, ნაკეთობების, ძეგლებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ საზოგადოებრივი მოხმარების ობიექტების რაოდენობა. ეს ხდება ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ექსპლოატაციის ხარჯზე, ანუ ეთნოსი კარგავს ბუნებრივ კავშირს თავის სასიცოცხლო არეალთან, რის გამო იწყება მისი გარდაუვალი დაცემა. ზედაპირული ხედვით, რეგრესი შენიღბულია, რადგანაც ეთნოსს გარეგნულად უკეთია კეთილდღეობისა და გაფურჩქვნის ილუზორული ნიღაბი. თანამედროვეებს ეჩვენებათ, რომ ბედნიერად ყოფა მუდმივია, ხოლო მატერიალური სიკეთე ამოუწურავი. თუმცა, საზოგადოების კრიტიკულად განწყობილ წევრებს უჩნდებათ

ეჭვი, რომ კეთილდღეობის ილუზია ცრუ ოპტიმიზმის მასაზრდოებელი ტყუილია. თვითდამშვიდების ნეგატიური შედეგი აშკარავდება მას შემდეგ, რაც ეთნიკური განვითარების პროცესში დადგება ახალი, ობსკურაციის ფაზისაკენ გადასვლის, პერიოდი, რომელიც ამთავრებს „პასიონარული“ ციკლის ეპოქას.

საქართველოში სხვა ეთნოსების მსგავსად მოხდა „პასიონარული“ გადახურების ფაზის დასრულება. ეს ფაქტი კარგად სჩანს გიორგი სააკაძის ცხოვრების მაგალითზე, რომელიც გმირული ბუნების ადამიანი იყო. ეს ბობოქარი ბუნების მქონე კაცი დაჯილდოებული იყო განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისებებით. მუდამ ფეთქებადი სააკაძე დროის რაღაც მონაკვეთში მიუღებელი აღმოჩნდა ქართული ეთნოსის ფაქტიურად ყველა ფენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მან, იშვიათი სამხედრო ნიჭისა და პირადი სიმამაცის წყალობით, რამდენიმეჯერ შესძლო სუბპასიონარული ელემენტების გაერთიანება და მტრებზე მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვება. შეუძლებელია ცალსახად განვსაზღვროთ ამ კაცის ნამდვილი მიზანი. ამისათვის არ კმარა იმდროინდელი ვითარების ზოგადი მიმოხილვა ან სააკაძის ფსიქოლოგიური ტიპის რეტროსპექტიული ანალიზი. ზოგადად, სააკაძე იყო ქართული სულის მატარებელი და პატრიოტულად მოტივირებული ადამიანი. მაგრამ, ისიც დასაშვებია, რომ პატრიოტულ მიზანთან ერთად მას აგრეთვე ამოძრავებდა დაუოკებელი სწრაფვა ხელისუფლებისაკენ და საკუთარი პერსონის განდიდების სურვილი. ამიტომ, მისი ქმედებები არ ემორჩილებოდა მკაცრ ლოგიკას, უფრო ზუსტად, იმპულსური იყო, რადგანაც, როგორც სჩანს, იმართებოდა პირადი ეგოიზმით. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ სააკაძე ბოლომდე გაგებული არ აღმოჩნდა არც მმართველი კლასის და არც გლეხთა ფენაში. პირველებს სურდათ თაობების განმავლობაში მოპოვებული პოზიციების შენარჩუნება, ხოლო მეორეებს მეტნაკლებად მშვიდობიანი ყოფა და ოჯახის გამოსაკვებად საჭირო სარჩოს სტაბილურად მოპოვება ხვნა-თესვის, და არა ძარცვა-გლეჯვის, გზით. საბოლოდ, სააკაძის გვერდზე რჩებოდნენ მხოლოდ მისი მსგავსი, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობებში გაცილებით უფრო შეზღუდული ავანტიურისტები, ანუ ისეთი ადამიანები, რომლებიც მოქმედებდნენ მხოლოდ ბუნებრვი ინსტიქტებით. ილია ფერაძის წიგნში “საქართველოს მოკლე ისტორია” საკმაოდ სრულფასოვნად არის დახასიათებული გიორგი სააკაძე, როგორც ბობოქარი, მუდამ მოძრაობაში მყოფი, სისხლიანი კონფლიქტების მოყვარული ადამიანი. ფერაძე მიიჩნევს, რომ, როგორც ფსიქოლოგიური ტიპი, სააკაძე იყო თავისი ეპოქის პროდუქტი. აქ შეიძლება მასთან შედავება იმ თვალსაზრისით, რომ, როგორც ადამიანის „პასიონარობის“ გამოვლინების ნიმუში, სააკაძის პიროვნება უფრო შესაფერისი იქნებოდა ადრეული ეპოქისათვის, ანუ ქართული ეთნისის განვითარების საწყისი, აღმავლობის ფაზისათვის. შესაძლებელია, რომ ეს სიმართლეა, მაგრამ იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ადრეულ ეპოქაში სააკაძეს ისეთი კვალი არ დაეტოვებინა ქართველების ცნობიერებაში, როგორიც ისტორიულად აღმოჩნდა. ეს ვერსია საკმაოდ საფუძვლიანია სულაც იმის გამო, რომ აღმაშენებლის და თამარის ეპოქაში საკმაოდ მრავლად იყვნენ „პასიონარული“ ინდივიდები, რომელთა მასაში სააკაძე შეიძლება უბრალოდ ჩაკარგულიყო. მაგრამ, ქართული ეთნოსის ინერციულ ფაზაში, საქართველოში ფაქტიურად მხოლოდ სააკაძე აღმოჩნდა „პასიონარული“ ნიშნების სრული ნაკრების მატარებელი. ცხადია, რომ, როგორც პატივმოყვარე და თანაც საკუთარ შესაძლებლობებში სრულიად დარწმუნებული ადამიანი, სააკაძე არაფრად მიიჩნევდა მშვიდობის მოყვარე ადამიანების ინტერესს, უფრო მეტიც, ის იბრძოდა ასეთი ხალხის წინააღმდეგ. იმ დროს, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ერისთავი და თავადი

ცდილობდა საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებას ნებისმიერი, კანონიერი თუ უკანონო, გზით. ამის გარანტიას ეს ადამიანები პირველ რიგში ხედავდნენ ირანისა და თურქეთის იმპერიების მიმართ საქართველოს მხრიდან სრული ლოიალობის შენარჩუნებაში. ამიტომ, სააკაძის ზრახვები და აბსოლუტიზმისაკენ სწრაფვა მათთვის მიუღებელი იყო. მისდამი ასეთმა დამოკიდებულებამ თავისი დაგვირგვინება ჰპოვა ბაზალეთის ომში, რომლის შედეგი ლოგიკურად მოსჩანს იმდროინდელი საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე. ხალხი დაიღალა სააკაძისაგან და ამ ბობოქარ გმირს არჩია უნიათო, უმოქმედო მეფე თეიმურაზი, რომლის ტრაგიკული ცხოვრება წარმოადგენს წარუმატებელი პოლიტიკური კომპრომისების გრძელ რიგს.

სააკაძის შემდეგ აღმოსავლეთა საქართველომ, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოებმა, მართლაც მოიპოვეს საკმაოდ ხანგრძლივი, წინა პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო სტაბილური, მშვიდობა. ალბათ ლოგიკურია, რომ ამ პერიოდის მახასიათებელი ქართველი "ჯენტლემენის" ტიპად მივიჩნიოთ როსტომ-მირზა, ქართლის მუსულმანი მმართველი. მასაც არ აკლდა ინდივიდუალური ღირსებები, თუმცა, სააკაძესთან შედარებით, როსტომ-მირზა იყო უფრო ჰარმონიული პიროვნება. მასში ცხადად არ მჟღავნდებოდა დაუოკებელი სწრაფვა აბსოლუტური ძალაუფლებისაკენ, რაც იმ დროს შეუძლებელი იყო განხორციელებულიყო სისხლიანი ძალმომრეობის გარეშე. როსტომ მირზას დროს ქართლი მოღონიერდა, მოშენდა და მართლაც გახდა შემოქმედებითი, შრომისმოყვარე, მშვიდობიანი პირების ასპარეზი. სამაგიეროდ, თანდათან დასუსტდა და თითქმის გაქრა ქართული ეთნოსის მთავარი მახასიათებელი, ყოფაქცევის ეროვნული სტერეოტიპი. საყოველთაოდ გამეფდა მუსულმანური მენტალიტენტი, რომელსაც ისეთი ღრმა ფესვები აღმოაჩნდა, რომ დღესაც იგრძნობა თანამედროვე ქართველებში. თვით უდავოდ გმირი მეფე ერეკლე მეორე და მისი მამა, საკმაოდ ღირსეული მეფე თეიმურაზი, მნიშვნელოვანწილად იყვნენ მუსულმანური მენტალიტეტის მატარებლები. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ წინააღმდეგობა მუსულმანურ სამყაროსთან. მაგრამ, იმ ეპოქაში, ვიდრე რუსეთის შავ ზღვაში გაბატონებამდე და აღა მაჰმად ხანის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამდე, ამიერკავკასიაში არ მომხდარა ისეთი მასშტაბის ძვრა, რომელიც გამოიწვევდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური ორიენტაციის რადიკალურ ცვლილებას. ამ მოსაზრებას არა თუ არ უარყოფს, არამედ პირიქით, ამტკიცებს ერეკლეს პოლიტიკა რუსეთის მიმართ. ეს იმპერია აშკარა დამპყრობლური ზრახვებით, სწრაფი ტემპით, მოიწევდა სამხრეთ კავკასიისაკენ. ხედავდა რა ამ საფრთხეს, ერეკლე ანხორციელებდა ისეთ პოლიტიკას, რომ, ერთის მხრივ, შეენარჩუნებინა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობა და, მეორეს მხრივ, ეღიარებინა ქრისტიანული იმპერატივის პრიორიტეტი მუსუმანურთან შედარებით. ეს არც თუ მარტივი იყო იმ პირობებში, როდესაც გარეგნულად ქრისტიანული ყოფა განზავებული იყო საზოგადოების ზედა ფენებში საყოველთაოდ გამეფებული მუსულმანური მენტალიტეტით.

ობსკურაციის ფაზა. ამ ფაზას გუმილიოვმა მოუძებნა ლიტერატურული თვალსაზრისით მეტად საინტერესო პასაჟი. მამების მემკვიდრეობა უკვე გაფლანგულია, ნიჭიერი ხალხი აღარ იბადება, გაქრა ინიციატივა, ეთნოსს აღარ შეუძლია თავდაცვა. ამის კლასიკურ მაგალითად მოყვანილია რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილი. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთი, ანუ მომავალი ბიზანტია, დუღდა, დასავლეთი განუხრელად მიექანებოდა კრახისაკენ. არადა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ რომის იმპერიაში იყო ერთნაირი სოციალური წყობა და ერთი გაბატონებული რელიგია. დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც ჰყავდა ერთი და იგივე მტერი, ბარბაროსებად

წოდებული კელტური, გერმანული და სლავური მოდგმის ტომები, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ტრამალებში მომთაბარე ველური თურქული ურდოები, რომლებიც ერთნაირად აწვებოდნენ რომის იმპერიის ორივე ნაწილს. მაგრამ, აღმოსავლეთმა მოახერხა მათი მოგერიება, ხოლო რომის დასავლეთი საბოლოოდ დაეცა ბარბაროსების დარტყმების ქვეშ. ეს მოხდა იმიტომ, რომის ეს ნაწილი უკვე საკმაო ხანს ობსკურაციის ფაზაში იმყოფებოდა. ამის მთავარი მიზეზი იყო დასავლეთში სუბპასიონარული ელემენტების რაოდენობის ზვავისებური ზრდა. ასეთ ადამიანებს მართავდა იმპერატივი "იყავი ისეთი, როგორიც ჩვენ ვართ", ანუ იცხოვრე ეგოისტურად, მხოლოდ პირადი ინტერესებით. გასაგებია, რომ ეგოიზმის მასიურად გამეფების პირობებში ეთნიკური ერთობის გამომხატველი ნებისმიერი მოთხოვნა ითვლებოდა ანომალიად. სუბპასიონარები შრომისმოყვარეობას დასცინოდნენ, ხოლო ინტელექტუალური ძიება მათ ბრბოში იწვევდა მძვინვარებას. ხელოვნებაში ეს ისახებოდა გემოვნების დაცემაში და ადრე მიღებული ნატიფი სტილის გაქრობაში. ფილოსოფიასა და ისტორიაში ორიგინალური ნაშრომები განდევნა უნიჭო კომპილაციებმა. არმიაში ჯარისკაცებს მორჩილებაში ჰყავდათ ოფიცრები და მხედართმთავრები, რომლებსაც სისტემატურად ემუქრებოდნენ აჯანყებით. შეიქმნა ვითარება, როცა ქვეყნის მმართველს არ შეეძლო ვინმეს სრული ნდობა, რის გამო იძულებული იყო გამოეყენებინა ლეგიტიმური ხელისუფლისათვის დაუშვებელი ქმედება. ეს იყო ყაჩაღთა წინამძღოლის დამახასიათებელი ტაქტიკა, რომელიც გულისხმობდა ქვეშემდგომების სისტემატურ თვალთვალს, მათ გამოაშკარავებას და სიკვდილით დასჯას ნებისმიერი ეჭვის გამო. ამიტომ, საზოგადოებაში გამეფდნენ ადამიანთა ისეთი ჯგეფები (მედროვეები), რომლებიც ერთმანეთთან კავშირის საფუძვლად მხოლოდ ინდივიდის ნეგატიურ მახასიათებლებს მიიჩნევდნენ. ფასდებოდა არა ნიჭიერება, არამედ მისი არქონა, არა ცოდნა, არამედ უმეცრება, არა ჯანსაღი პრინციპები, არამედ უპრინციპობა. გასაკვირი არ არის, რომ მსგავსი მენტალური ფონის პირობებში მმართველი წრე მოკლებული იყო რაიმე ღირებულის შექმნისა და შენარჩუნების უნარს. მას შეეძლო მხოლოდ პარაზიტულად ყოფნა, რაც იწვევდა ეთნოსის შინაგან ხრწნას, ანუ სუბპასიონარების სრულ გამარჯვებას. ეს კი ეთნოსის საბოლოოდ დაღუპვას მოასწავებს. ამრიგად, ობსკურაციის ფაზა ფაქტიურად არის ეთნიკური აგონიის ფაზა, რომელშიც ეთნოსს სრულიად უქრება გარემო პირობებთან ადექვატურად ადაპტაციის უნარი. ობსკურაციის შედეგად ყველაფერი კვამლივით ქრება. ადამიანთა მასა, რომელიც გადაურჩება ყველანაირ კატაკლიზმს, აღწევს ეთნოსის ჩასახვამდე არსებულ საწყის სტატიკურ მდგომარეობას, რომელსაც ახასიათებს პრიმიტიული იმპერატივი "თუნდაც ერთი დღე, მაგრამ ჩემი", რაც მემორიალური ფაზის დადგომას ნიშნავს.

მემორიალური ფაზა. ობსკურაციის ფაზის ბოლო პერიოდი ფაქტიურად წარმოადგენს ეთნოსის აგონიის, ანუ ეთნიკური მეხსიერების ნაწილობრივ დაკარვის ფაზას. როგორც ზოგჯერ ხდება, სასიკვდილოდ დაავადებული ადამიანი შეიძლება განგების ძალით, ან რაღაცა სხვა მანქანებით, გამოჯანმრთელდეს. მაგრამ, ავადმყოფობა მას მაინც დაუტოვებს ისეთ შედეგს, რომელიც პიროვნულ თვისებებზე გავლენას მოახდენს. ასეთ სიტუაციაში ჩვეულებრივ იმყოფება ეთნოსის ის ნაწილი, რომელიც, თუ არ განადგურდა ან ასიმილირებული არ იქნა სხვა უფრო ძლიერი ეთნოსის მიერ, განაგრძობს ფიზიკურ არსებობას. ეს არ ნიშნავს, რომ გადარჩენილი ადამიანები ცალსახად უფრო ცუდები ხდებიან, ფიზიკურად სუსტდებიან ან გონებრივ დეგრადაციას განიცდიან. უბრალოდ, ამ დროს იცვლებიან არა ადამიანები, არამედ

ქრება ის სისტემური კავშირები, რომლებიც ანპირობებდნენ ეთნიკურ მთლიანობას ეთნოგენეზის საწყის და აკმატიკურ ფაზებში. მემორიალურ ფაზაში ეთნოსის ნარჩენებს დაკარგული აქვთ ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი და მისწრაფება ცვლილებებისაკენ. ამ დროს გამეფებულია იმპერატივი "გაიხსენე, რა კარგი იყო წარსული", რაც ეთნიკური კონსერვაციის გაცნობიერებულ იდეალიზაციას ნიშნავს. მეხსიერებას შემონახული აქვს ინფორმაცია ეთნოსის წარსული დიდების შესახებ. მაგრამ, მისი შემომქმედი „პასიონარული" იმპულსები სუსტდებოდნენ საწყისი ფაზიდან ობსკურაციის ფაზამდე, ხოლო მემორიალურ ფაზაში აბსოლუტურად ქრებიან. თითო-ოროლა პიროვნება, რომელიც ცდილობს თანამედროვეებს გაახსენოს, რომ დიდებული წარსული არ შეიძლება მხოლოდ მოგონების საგანი იყოს, ხოლო ისტორიული მაგალითები ქმედითი მიბაძვის ნიმუშები უნდა გახდნენ, აწყდება სრულ მიუღებლობას თანამემამულეთა მხრიდან. ამ დროს ზოგი რამ დავიწყების გარეშეა შემორჩენილი ეთნიკურ მეხსიერებაში ფოლკლორის, მხატვართა შედევრებისა და ხუროთმოძღვარების მონუმენტალური ძეგლების სახით. ძველი გმირების სასახელო ქმედებანი იქცევა ლეგენდად და ხდება შემოქმედებითი კომპილაციების საგანი. მაგრამ, თუ შემთხვევით, სადღაც ან ვიღაცაში, თავი იჩინა პასიონარულმა გენმა, ასეთი ადამიანები საკუთარ ასპარეზად იყენებენ უცხოეთს და არა მშობლიურ ქვეყანას.

„პასიონარული" იმპულსის არმქონე ეთნოსის შემდგომი ბედი სრულიად დამოკიდებულია მეზობლებზე. თუკი მათ შორის არ არიან აგრესიული ეთნოსები, მაშინ ობსკურაციის მდგომარეობაში მყოფ ეთნოსს შეუძლია ხანგრძლივად გააგრძელოს თავისი არსებობა რელიქტური ეთნოსის ფორმით. ასეთი ეთნოსები დღესაც არსებობენ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ნელ-ნელა ქრებიან. რელიქტური ეთნოსის შიგნით შეიძლება მოხდეს გაყოფა, ანუ ერთმა ნაწილმა განიცადოს ასიმილაცია სხვა ეთნოსის მხრიდან, ხოლო მეორემ შეინახოს საკუთარი თვითშეგნება, სტაბილური პოპულაცია და ტერიტორია. ასეთ ეთნოსებს გუმილიოვი უწოდებს გომეოსტაზის სტადიაში, ანუ მათ ჩამტევ ლანდშაფტებთან არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში, მყოფებს. ეთნოგრაფიამ იცის საკმაოდ ბევრი იზოლირებული, გომეოსტაზის მდგომარეობაში მყოფი, ეთნიკური წარმონაქმნი, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის გამო არ ურთიერთობდა სხვა ეთნოსებთან, ან მათთან კონტაქტში აღმოჩნდა მხოლოდ ბოლო საუკუნეების განმავლობაში. ესენი არიან ე.წ. სტატიკური ხალხები, რომელთა შემადგენელი ინდივიდების სიცოცხლის ციკლი შეუცვლელად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, მეორდება თაობიდან თაობამდე. ამიტომ, გუმილოვის შეხედულებით, ე.წ. ჩამორჩენილი ხალხები, ანუ ველურები, სრულიად შესაძლებელია, რომ დღეს არიან არა თანამედროვე ეპოქის ბავშვები, არამედ წარსულიდან სასწაულებრივად შემორჩენილი ღრმა მოხუცები. აღსანიშნავია რომ, „პასიონარულ" მუხტს მოკლებული ეთნოსები, როგორც პარაზიტები, შეიძლება არსებობდნენ მეზობელი ეთნოსის „პასიონარობის" ხარჯზე, რაც არ არის აუცილებელი მოხდეს სქესობრივი კონტაქტების გზით. ამისათვის საკმარისია არსებობდეს სისტემური კავშირები მეზობლებთან, რაც ნიშნავს გარკვეული სიმბიოზის არსებობას. მაგარამ, თუ სრულიად დაუცველი, უმწეო ეთნოსი ყოველმხრივ შემორტყმულია „პასიონარული" ეთნოსის წარმომადგენლებით, ის განწირულია სრული განადგურებისათვის. ასე დაემართა, მაგალითად, ტასმანიის აბორიგენებს და ჩრდილოეთ ამერიკის ბინადარი ინდიელთა ტომების უმრავლესობას. თუმცა, ამ უკანასკნელთა მცირე ნაწილმა, რომელიც ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, ახალ ამერიკელებთან სიმბიოზი მოახერხა „პასიონარობის" რაღაცა ნარჩენის ხარჯზე. დღეს

ისინი შეერთებულ შტატებში მეტნაკლებად მისაღებ პირობებში ცხოვრობენ, თუმცა უკვე მნიშვნელოვნად დაკარგეს მათი აქტიური და ენერგიული წინაპრების ღირსებები. ამ მაგალითიდან ცალსახად არ გამოდის, რომ შესაძლებელია რელიქტურ ეთნოსს ზოგჯერ მაინც გაუღვივდეს „პასიონარობა“, თუნდაც რომელიმე მეზობლისაგან სესხის შედეგად. ასევე, თეორიულად შესაძლებელია, რომ მორიგმა „პასიონარულმა“ ბიძგმა რელიქტური ფაზის მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ჯგუფი გახადოს ახალი ეთნოსის ჩანასახი. გამოდის რომ, ხელსაყრელ პირობებში, ერთი ან რამდენიმე ეთნოსის ნამსხვრევიდან, შეიძლება აღმოცენდეს ახალი ეთნიკური ერთობა, რომლისთვისაც უფრო მნიშვენლოვანია არა მეხსიერებაში ალაგ-ალაგ შემონახული ინფორმაცია საწყისი ეთნოსის შესახებ, არამედ ახალი ეთნოსის დაბადება, რომელსაც ის ან მისი ჩამომავლები თავს მიაკუთვნებენ. ასეთები არიან, მაგალითად, ისტორიული კელტები და გერმნელები, ანუ დღევანდელი ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები და, ნაწილობრივ, რუსები, რომლებიც აღმოცენდნენ სხვადასხვა ეთნოსების ნამსხვრევებზე, ან სუბეთნიკურ მდგომარეობაში მყოფი ნახევრად ველური მიწათმოქმედი ან მომთაბარე ტომების სინთეზის საფუძველზე.

დავუბრუნდეთ ქართული ეთნოსის მაგალითს და ვნახოთ, იკვეთებიან თუ არა მისი განვითარების პროცესში ობსკურაციისა და მემორიალური ფაზები. თუ მემორიალური ფაზის მახასიათებელად გუმილიოვის მიერ ჩამოყალიბებულ ნიშნებს გამოვიყენებთ, აშკარაა, რომ ეს ფაზა ქართული ეთნოსისათვის ჯერ არ დამდგარა. თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, სჩანს მხოლოდ მისი ზოგიერთი ელემენტი, რომელიც ესადაგება იმპერატივს “გახსოვდეს, რა კარგი იყო წარსულში”. ამიტომ, საჭირო არ არის ქართულ ეთნოსში ობსკურაციის ფაზის მომასწავებელი განსაკუთრებული ნიშნების ძიება, მით უმეტეს, რომ ასეთი ნიშნები გააჩნია პრაქტიკულად ყველა თანამედროვე ევროპულ ეთნოსს. სამაგიეროდ, აზრი აქვს ობსკურაციის ფაზის ზოგადი მახასიათებლების გარჩევას და ქართულ ეთნოსში მათი ცხადად წარმოჩინებისათვის საჭირო პირობების ანალიზს. კერძოდ, ალბათ სამართლიანია მივიჩნიოთ, რომ ინერციის ფაზა საქართველოში ხანმოკლე არ იყო და მოიცავდა პერიოდს მე-14 საუკუნიდან მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ანუ, პირობითად, იმ მომენტამდე, როდესაც ქართლში გამეფდა მუსულმანი როსტომ მირზა. მისი მეფობის დროს ქართლის დიდებულების აბსოლუტური უმეტესობაში და კახელი დიდებულების ერთი ნაწილის გონებაში მუსულმანური მენტალიტეტის გაბატონება სხვა არაფერია, თუ არა იმპერატივის “იყავი ისეთი, როგორიც ჩვენ ვართ” გამარჯვება. ეს იმპერატივი, ერთის მხრივ, მოითხოვს ქართული ყოფაქცევის ინდივიდუალური მახასიათებლების ცვლილებას და, მეორეს მხრივ, საკუთარი ეგოისტური მიზნების აბსოლუტურ პრიორიტეტს საშობლოს მიმართ პატრიოტულ ვალდებულებასთან შედარებით. პირველი ნიშანი ძალიან მარტივად ყალიბდება, რადგანაც მიიღწევა რომელიმე ფორმალური ლიდერის ყოფაქცევის კალკირების გზით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ „ჯენტლემენის“ ფენომენის ანალიზის დროს, ასეთი ლიდერის ტიპად შეიძლება ჩავთვალოთ როსტომ მირზა, რომელსაც პიროვნული ღირსებები და ქვეყნის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები საკმაოდ უხვად გააჩნდა. უბრალოდ, ის იყო თუმცა ეთნიკური ქართველი, მაგრამ ყოფაქცევის სტერეოტიპით ტიპიური სპარსელი წარჩინებული. მისი მსგავსი ადამიანები იყვნენ სპარსეთში მოღვაწე მამა-შვილი უნდილაძეები, რომლებმაც, როგორც უმაღლესი რანგის მოხელეებმა, ბევრი იღვაწეს ირანის გაძლიერებისათვის. შესაძლოა, ზოგიერთებისათვის უნდილაძეების მსგავსი იყო გიორგი სააკაძეც, რომელმაც ასევე საკმაოდ ბევრი გააკეთა ირანისათვის. მაგრამ,

უნდილაძეებისა და სააკაძის მოქმედებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. უნდილაძეების ქმედებაში არ იკვეთება ქართული პატრიოტული მოტივი, რადგანაც მათი ასპარეზი ყოველთვის ირანი იყო. ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ ამოძრავებდათ, სააკაძის მსგავსად, პირადი ეგოისტური ამბიციები. უბრალოდ, მათი მენტალიტეტი და დაწინაურების გზა ანალოგიური იყო ირანელი დიდებულებისათვის, რომლებიც დაბადებიდანვე იმყოფებოდნენ სპარსული ეთნოსის შიგნით. მათგან და როსტომ მირზასგან განსხვავებით, სააკაძე მენტალურად ქართველად ბავშვობიდან ჩამოყალიბდა, რის გამო მისი ყოფაქცევის სტერეოტიპი ყველგან, ირანშიც და ოსმალეთშიც, ქართული დარჩა. ამიტომ, სააკაძე არ შეიძლება ცალსახად ჩაითვალოს ირანის, მითუმეტეს, საქართველოს მოღალატედ, რომელიც ყველაფერზე მიდის, რათა განახორციელოს პირადი ეგოისტური ზრახვები. მიუხედავად იმისა, რომ სააკაძის ზოგჯერ გაუაზრებელმა, იმპულსურმა, მოქმედებამ მისი სამშობლოსათვის ხშირად მძიმე შედეგები მოიტანა, მან, გარკვეული ხნით მაინც, გააღვიძა ეროვნული თვითშეგნება, უჩვენა რა ქართველებს ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი ირანის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მაგალითი. როსტომ მირზას ორივე ნიშანი, ყოფაქცევის სპარსული სტერეოტიპი და ეგოისტური მისწრაფებანი, თანაბრად ჰქონდა. მისი ნატურის ჰარმონიულობა და კონტროლირებადი ეგოიზმი გამოიხატა იმაში, რომ მან ერთნაირი წარმატებით შესძლო როგორც ირანის დედაქალაქის, ისპაჰანის, ტარუღობა (ქალაქის თავი), ასევე, საკმაოდ დიდი ხნით, ქართლის სამეფოს გონივრული მართვა. ამ გამჭრიახმა პიროვნებამ კარგად განსჭვრიტა, რომ ქრისტიანულ მოსახლეობაში ნდობის მოსაპოვებლად მუსულმან მმართველს სჭირდებოდა სწორედ ისეთი დედოფალი, როგორიც იყო მარიამი. ქმარი აბსოლუტურად ლოიალურად ემსახურებოდა სპარსეთის შაჰს, ხოლო ღვთისმოსავი ცოლი დაკავებული იყო უბრალო ადამიანების ყოფითი პრობლემებით და ქრისტიანული ქველმოქმედებით. ამიტომ, ხალხის მასა გაორებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და დაკარგა ნაციონალური ორიენტირები. დიდებულების ფენამ, იგრძნო რა, რომ გლეხობაში ნაციონალური მუხტი მინელდა, მშვენივრად გამოიყენა შექმნილი ვითარება და ფაქტიურად ცხოვრების სპარსულ ყაიდაზე გადავიდა. მე-18 საუკუნეში ასეთი მდგომარეობა, რომელიც ობსკურაციის ფაზის აშკარა ინდიკატორი იყო, თითქმის უცვლელად გაგრძელდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე, რომლებიც უკვე ერთ ადამიანში ანხორციელებდნენ როსტომ-მირზასა და მის მეუღლეს. თუმცა, ეს მეფეები, განსაკუთრებით ერეკლე II, როსტომ მირზაზე გაცილებით უფრო მშფოთვარე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამის მთავარი მიზეზი იყო ირანის ცენტარლური ხელისუფლების დასუსტება და საქართველოს მიმართ აგრესიის გაძლიერება დაღესტანის მხრიდან. გარდა მთიელებისა, თეიმურაზსა და ერეკლეს სისტემატური შეტაკებები ჰქონდათ სხვადასხვა მუსულმანურ სახანოებთან. ამ დროს გაძლიერდა რუსების აქტიურობა კასპიის ზღვის მხრიდან სამხრეთ კავკასიის მიმართულებით, რასაც ხელს უწყობდა ირანის დასუსტება. შესაძლებელია, რომ თეიმურაზსა და ერეკლეს არ ეთხოვათ მფარველობა რუსეთისათვის, მათი სამეფოები აგრესიული მუსულმანი მეზობლებისაგან იმ დონეზე რომ ყოფილიყო დაცული, როგორც ეს იყო როსტომ მირზას დროს. ობსკურაციის ფაზისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მაგალითია დიდი ფეოდალის, გივი ამილახვარის ფენომენი. ეს ადამიანი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ქართლში თავისი გავლენით რამის ოფიციალურად მეორე პირი იყო მეფის შემდეგ. ის ფაქტი, რომ ერეკლე II, ძლიერი პიროვნება და ტირანული ტიპის მმართველი, გივი ამილახვარის არსებობას ეგუებოდა, ნიშნავს, რომ მათ შორის

გარკვეული მენტალური მსგავსება არსებობდა. ორივე მათგანი ცდილობდა მოქცეულიყო ისე, რომ არ დარღვეულიყო ბალანსი ქვეყანაზე მზრუნველი მმართველის ყოფაქცევის გარეგნულ ნიშნებსა და საკუთარ ეგოისტურ მისწრაფებებს შორის. ის, რომ ასეთი ბალანსი უაღრესად მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს პირად წარმატებას, შესანიშნავად გამოჩნდა მე-19 საუკუნეში, როცა ერთბაშად შეიცვალა არისტოკრატთა ფენის ყოფაქცევის სტერეოტიპი არსობრივად მუსულმანურიდან გარეგნულად რუსულით. ამის მახასიათებელი ნიშანი გახდა ის ფაქტი, რომ ქართველ თავად-აზნაურთა შორის საკმაოდ მოკლე დროში გაჩნდა რუსული ენის კარგად მცოდნეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ასეთი რამ მსგავსი სისწრაფით არ მომხდარა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ხალხების წარჩინებულებში, რაც ნიშნავდა, რომ იმათი მენტალიტეტი სათანადოდ ვერ გარდაიქმნა რუსულ ყაიდაზე. გარდა ამისა, საქართველოში რუსების გავლენით საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა უგვარო ვაჭართა, ძირითადად ადგილობრივ სომეხთა, ფენა, რომელმაც დააგროვა მნიშვნელოვანი მატერიალური სიმდიდრე. ამიტომ, რუსულის გარდა, ფართოდ გავრცელდა აგრეთვე სომხური ვაჭრული მენტალიტეტი, რომელიც, ამ ერის ისტორიული ბედიდან გამომდინარე, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ევროპასა და აზიაში. ქართველების იმ მცირე ნაწილმა, რომელსაც არ ეთაკილებოდა მატერიალური მონაპოვრებისაკენ სწრაფვა, მოხერხებულად გამოიყენა მენტალიტეტების აღრევა და ოჯახური კავშირების დამყარებით, ან რელიგიური მწამსის ცვლილების გზით, ინტეგრაცია მოახერხა სომეხი ვაჭრების ფენაში. ერთის მხრივ, ამ პროცესმა ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკური საფუძველის გაძლიერებას, თუმცა, მეორეს მხრივ, გამოიწვია ეროვნული ღირებულებების წაშლა. ***ქართული მენტალიტეტი შემორჩა მხოლოდ გლეხობას და თავადაზნაურთა ფენის იმ ნაწილს, რომელშიც გამოიკვეთა ეთნიკური განვითარების მემორიალური ფაზის იმპერატივი. ეს კარგად იგრძნო ილია ჭავჭავაძემ, რომელიც მთელი თავისი ნიჭით წინ აღუდგა ქართული ეთნოსის დეგრადაციას. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ჭავჭავაძისა და მისი რამდენიმე ერთგული თანამოაზრის ენერგიულმა საქმიანობამ არ მისცა ქართულ ეთნოსს ობსკურაციაში საბოლოოდ გადაჩეხვის საშუალება.***

დავუბრუნდეთ ობსკურაციის ფაზაში მყოფი ეთნოსის პერსისტენტულად რელიქტურ ან გომეოსტაზის მდგომარეობაში არსებობის პრობლემას. საქართველოსთან მიმართებაში გომეოსტაზში ყოფნის ნიშნები არ აღინიშნება, სულაც იმიტომ, რომ აქ არასოდეს არსებობდა წონასწორობა ეთნოსსა და მისი ჩამტევ ლანდშაფტებს შორის. პირიქით, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მოხდა (დღესაც მიმდინარეობს) ქვეყნის ლანდშაფტების ექსტენსიური ექსპლოატაცია. მაგალითად, ტყის მიმართ ეს პროცესი განსაკუთრებით მტაცებლურ ხასიათს ატარებდა. ამ დროს ქართველებში ისტორიულად ყოველთვის იყო სამშობლო ქვეყნის ლანდშაფტებთან ერთიანობის შეგრძნება. მომთაბარე ტომებისაგან განსხვავებით, მათ ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ თავიანთ ბუნებასთან. მაგალითად, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, კახელები ვაზს ყოველთვის მიიჩნევდნენ თვითმყოფადობის შენარჩუნების მთავარ ფაქტორად, ხოლო გურულები და მთიულები საკუთარი კუთხის საზაფხულო იალაღებს. ფაქტია, რომ საქართველოს მსგავსი ლანდშაფტური მრავალფეროვნება ძნელად თუ კიდევ სადმე არსებობს, რამაც განაპირობა კიდეც ქართული ეთნოსის არსებობა. ისტორიული ძნელბედობის ჟამს სხვა ტერიტორიაზე გადასახლებული ქართველები მასიურად განიცდიდნენ მოთხოვნილებას, რათა საცხოვრებლად მოეძებნათ მათი სამშობლოს მიმსგავსებული ადგილები. თუ რამდენად

უჭირდა ქართული ძირის მქონე ადამიანს არსებობა უცხო ბუნებაში, კარგად სჩანს ფერეიდანელი ქართველებისა და თურქეთის სიღრმეში მცხოვრები ლაზების მაგალითიდან. ფერეიდანის ტერიტორია მთა-გორიანია და არც თუ ნაყოფიერი. თუმცა, იქაური ქართველები არნახულად შრომისმოყვარეები აღმოჩნდნენ, რითაც მოკლე ხანში მიაღწიეს საკმარის კეთილდღეობას. მიუხედავად საქართველოსთან ლანდშაფტური მსგავსებისა, ბევრი ფერეიდანელისათვის სანატრელი იყო ისტორიული სამშობლო, კახეთი. ფაქტია, რომ საბჭოთა ეპოქაში კახეთში ჩამოსახლებულმა რეპატრიანტმა ფერეიდანელებმა საკმაოდ მარტივად მოახერხეს ახალ პირობებთან ადაპტაცია, რაც მათი გენეტიკური მეხსიერების სიმტკიცის შედეგია. ამ მაგალითიდან საკმაოდ მარტივია მივიღოთ განზოგადოება, რომ ქართველისათვის იმპერატივი "გაიხსენე, რა კარგი იყო წარსული" ნიშნავს არა მხოლოდ ილუზორულ აბსტრაქციას, არამედ, პირველ რიგში, გენეტიკურ დონეზე განმტკიცებულ კავშირს მშობლიურ ბუნებასთან. უკვე ამის გამო არის შეუძლებელი, რომ ქართული ეთნოსი, რომელიც გუმილიოვის მიხედვით ხანდაზმულად უნდა ჩაითვალოს, იმყოფებოდეს რელიქტურ მდგომარეობაში, რაც ნიშნავს მხოლოდ ყოფიერებას, ცნობიერების გარეშე. ამიტომ, ყოვლად უსაფუძვლო იყო ვიღაც უმეცარი რუსი პოლიტიკოსის განცხადება, რომ ქართული ეთნოსი წარმოადგენს რელიქტურ ეთნოსს. თუ ამ სიტყვაში ის იგულისხმება, რომ ქართველები წითელ წიგნში არიან შესატანი ძელქვის ან კომოდოს ვარანის მსგავსად, როგორც გადაშენების პირას მდგომი სახეობა, მაშინ ასეთი განცხადება არც თუ ისე შეურაცხმყოფელია. მაგრამ, როგორც სჩანს, უფრო სხვა რამ იგულისხმებოდა. მაგალითად ის, რომ ქართველების აზროვნება და ქცევა დამახასიათებელია რელიქტური ეთნოსისათვის. ეს არ არის სწორი, რადგანაც რელიქტურ მდგომარეობაში მყოფ ინდივიდებს წინააღმდეგობა გააჩნიათ მათი ჩამტევი ლანდშაფტების ცვლილებასთან, როგორც საკუთარი ეთნოსის შიგნით, ასევე მის გარეთ. ეს ნიშნავს, რომ რელიქტურ ეთნოსს დაკარგული აქვს უცხო გარემოსთან შეგუების უნარი და სწრაფად იღუპება. თანამედროვე ქართველებს ასეთი წინააღმდეგობა არ აქვთ მენტალიტეტში იმ დონეზე გამჯდარი, რომ უცხო გარემოში მყოფებმა ვერ შესძლონ რაღაც დონეზე ინდივიდუალური ქმედების სინქრონიზაცია ეროვნული იდეის ირგვლივ. ეს ნიშნავს, რომ ობსკურაციის ფაზა ქართულ ეთნოსში არ დამთავრებულა და დღესაც გრძელდება.

ნაწილი მეხუთე. ეთნიკური განვითარების ქართული გზის სპეციფიკა

მოკლედ შევეხოთ ეთნიკური არსებობის ფაზებისათვის განსაზღვრული დროითი ინტერვალების ხანგრძლივობის საკითხს. გუმილიოვის მიხედვით, თავდაპირველი პასიონარული ბიძგის ენერგია იფანტება /1200 ± 400/ წლის განმავლობაში. ამრიგად, იმ ეთნოსებისათვის, რომლებმაც შესძლეს ეთნიკური განვითარების ყველა ფაზის გავლა, არსებობა განსაზღვრულია მინიმუმ 800 და მაქსიმუმ 1600 წელიწადით. ამ ვადაში ეთნოსმა უნდა გაიაროს ხუთი აუცილებელი ფაზა, საწყისი აღმავლობის ფაზიდან ობსკურაციის ფაზის ჩათვლით. მემორიალური ფაზა აუცილებელი არ არის. ასეთი გზის სრულად გავლა ისტორიულ ეპოქაში, გუმილიოვის მიხედვით, მოახერხა სულ რაღაც 35 ეთნოსმა. ბევრი სხვა ეთნოსის არსებობა, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეწყდა მათი განვითარების გარდატეხის ფაზაში. ზოგიერთმა ეთნოსმა, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების წყალობით, ორჯერ შესძლო ეთნიკური რეგენერაცია, ხოლო ძველმა ეგვიპტელებმა ეს მოახერხეს სამჯერ. ქართული ეთნოსი ყველა ნიშნით მიეკუთვნება ისეთ ეთნოსებს, რომლებმაც ბოლომდე შესძლეს საკუთარი

შესაძლებლობების რეალიზაცია მიუხედავად იმისა, რომ ეს მინიმალურ დროითი მასშტაბში მოხდა. ლოგიკურია, რომ ამის მიზეზად მივიჩნიოთ ისტორიული ქარტეხილები, რომლებიც ქართველების ყოფას ყოველთვის თან სდევდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეული იყო ობიექტური ისტორიული მიზეზებით, ზოგი ქვეყნის დაქუცმაცებით და ერთიანი ეროვნული იდეის დაკარგვით. ობიექტურ მიზეზთა გამო (მაგ. თემურ ლენგის ლაშქრობები და მისი გეოპოლიტიკური შედეგები), საქართველო, მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, ანუ ბიზანტიის დაცემის შემდეგ, დანარჩენი მართმადიდებლური სამყაროსაგან სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა. თუმცა, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ბიზანტია სუსტდებოდა ჯერ კიდევ ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის დასაწყისიდან, რომელმაც გამოიწვია მისი, როგორც სულიერი და პოლიტიკური ლიდერის, როლის დაქვეითება ახლო აღმოსავლეთში. ამ დროს, მე-13 საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ მონღოლების შემოსევამდე, ქართულ ეთნოსს ჰქონდა აღმავლობის ფაზა, რამაც იმდროინდელ ქართველებს მისცა შესაძლებლობა აღარ ყოფილიყვნენ დამოკიდებული ბიზანტიაზე. უფრო მეტიც, თამარ მეფემ თავისი მმართველობის ქვეშ შექმნა კონსტანტინოპოლის ალტერნატიული, ტრაპიზუნდის იმპერია. შემდგომში მუსულმანურ გარემოცვაში მყოფი ქვეყანა მეტ-ნაკლებად გაუმკლავდა მონღოლებს, თუმცა დაქუცმაცდა რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულად, რასაც ჰქონდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგი. დადებითი იყო ის, რომ დამოუკიდებელი ერთეულების მმართველებს მიეცათ მეტი ასპარეზი პოლიტიკური ლავირებისათვის. მთავარი უარყოფითი შედეგი აღმოჩნდა ერთიანი ეროვნული შეგნების დაკარგვა, რამაც შემდგომში გამოიწვევია ქვეყნის კიდევ უფრო ძლიერი დაქუცმაცება. ყოველ შემთხვევაში, გიორგი მეხუთედან დაწყებული, ვიდრე თემურ ლენგის შემოსევებამდე, ქვეყანაში იყო ინერციის ფაზისათვის დამახასიათებელი ვითარება. თემურ ლენგის ლაშქრობებმა გამოიწვია გლობალური კატასტროფული შედეგი, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ქართული ეთნოსის განვითარების პროცესის სრული წყვეტა. ლენგის შემოსევის მასშტაბებიდან გამომდინარე, ქართული ეთნოსის გადარჩენა შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ისტორიაში უნიკალურ მოვლენად, რომელიც მიანიშნებს ქართული გენის განსაკუთრებული რეზისტენტობის უნარზე. ამ დროიდან ფიზიკურად შეუძლებელი გახდა დასავლეთ ევროპასთან კავშირი, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამის მყარი ტრადიცია უბრალოდ არ არსებობდა. სამწუხაროა, რომ საქართველო, სომხეთის მსგავსად, პირისპირ დარჩა აგრესიული მუსულმანური სამყაროს წინაშე. თუმცა, საქართველომ მაინც შეძლო, შეკვეცილი ფორმით, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ისტორიულად ქართული ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში. ამის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ყოფაქცევის მტკიცე ეთნიკური სტერეოტიპის გარეშე, რომელიც არ აღმოაჩნდათ ბიზანტიელ ბერძნებს და არც მათთან ფაქტიურად შერწყმულ სომხებს. გავიხსენოთ, თუ რა მარტივად მოხდა ბერძენთა ნაწილის ინტეგრაცია ოსმალეთის იმპერიაში, რომლის ეკონომიკური ძლიერების საფუძველი შემდგომში სწორედ ბერძენი (ფანარიოტები) და სომეხი ვაჭარების ფენა აღმოჩნდა. მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, პირობითად როსტომ მირზას დრომდე ქართველებმა, საკმარისი ბრძოლის უნარიანობისა და პოლიტიკური ელასტიურობის ხარჯზე, ურთულეს პირობებში, მოახერხეს თვითმყოფადობის შენარჩუნებება. ამიტომ, დროის ეს ინტერვალი შეიძლება ინერციის ფაზას მივაკუთვნოთ, რომელიც ქართული ეთნოსისათვის უმძიმესი გამოდგა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანური სამყარო თანმიმდევრულად აძლიერებდა ზეწოლას, საქართველომ მინიმალურ რვა საუკუნეში, ბაგრატ III-ის

გამეფებიდან გეორგიევსკის ტრაქტატამდე, ეთნიკური განვითარების ყველა ფაზის გავლა. 1770-იან წლებში, თურქეთთან ომის შემდეგ, რუსეთმა დაიპყრო ყირიმი და შავ ზღვაზე ფლოტის მუდმივი ბაზა გაიჩინა. ამით რუსეთის იმპერია საქართველოს და მის, უკვე საკმაოდ დასუსტებულ, მუსულმანურ გარემოცვას, პირადაპირი ანექსიით დაემუქრა. ამიტომ, დასაშვებია, რომ ერეკლეს (და არა რუსეთის!) მიერ ინიცირებული პოლიტიკური ვასალობის აღიარების დიპლომატიური აქტი, გეორგიევსკის ტრაქტატი, იყო ქართლ-კახეთის სახელმწიფო რესურსის საბოლოოდ ამოწურვის შედეგი. 1983 წელს, როცა საბჭოთა საქართველო ზეიმობდა ტრაქტატის ორსაუკუნოვან წლისთავს, ერთმა ეთნიკურად ბაშკირმა ემიგრანტმა ისტორიკოსმა ერეკლეს მოქმედება მიიჩნია გამჭრიახი პოლიტიკოსის გადაწყვეტილებად, რომელიც ნაკარნახევი იყო გამოუვალი საგარეო პირობებით. ფაქტია, რომ ტრაქტატს ანალოგია არ მოეძებნება რუსული დიპლომატიის ისტორიაში. ***ყირიმის აღების შემდეგ რუსეთი აუცილებლად შემოვიდოდა საქართველოში. თუ ვინმე მიიჩნევს, რომ დარიალის გასასვლელის ჩაკეტვა შესაძლებელი იყო, მაშინ ასეთებმა ისიც უნდა მიიღონ მხედველობაში, რომ რუსეთს უკვე ჰქონდა მეორე, შავი ზღვის გზაც. გავიხსენოთ გენერალ ტოტლებენის ექსპედიცია, რომლის მიზანი არ იყო აქტიური სამხედრო მოქმედება თურქების წინააღმდეგ. რუსეთის იმპერატორის დავალებით, მან, როგორც სამხედრო ფორტიფიკაციის საკმაოდ კარგმა მცოდნემ, მოახდინა საქართველოში თურქული ციხე-სიმაგრეების პოტენციალის შეფასება, ანუ ჩაატარა რუსეთის ამიერკავკასიაში შემოჭრისათვის აუცილებელი წინასწარი დაზვერვა.*** ამის მაგალითად ისიც საკმარისია, რომ დასავლეთ საქართველოში გადასულმა ტოტლებენმა მთელი თვე დაუთმო ყულევის ციხისა და მიმდებარე ზღვის სანაპირო ზოლის დეტალურ აგეგმვას. ის, რომ თურქების ციხე-სიმაგრეების პოტენციალის შეფასება იყო რუსების სამხედრო ექსპედიციის მთავარი მიზანი, ერეკლე II მალე მიხვდა. ამიტომ, მან იმოქმედა ქართული ანდაზის "ჩათრევას ჩაყოლა სჯობს" პრინციპით, როდესაც ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს. ერეკლემ ვერ განსაზღვრა მხოლოდ რუსების მუხანათობის დონე. მას ეგონა, რომ დიპლომატიური ხელშეკრულება, თუნდაც ნახევრად ვასალური, იქნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის მეტნაკლები გარანტია. ასეთი იდეა აშკარად სჩანს გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლებში, კერძოდ ხელშეკრულების მთავარ პრინციპში, რომელითაც რუსეთი სამარადჟამოდ ცნობდა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის არსებობას და, ამასთან ერთად, აღიარებდა თავადაზნაურთა ფენის უფლებებს. მართლაც, ტრაქტატის მიხედვით ქართველი წარჩინებულები თავიანთი პრივილეგიებით სრულიად გათანაბრებულები აღმოჩნდნენ რუსეთის წარჩინებულებთან. ასეთი აქტი აბსოლუტური გამონაკლისი იყო რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების წარჩინებულთა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტატის ეს მუხლი რუსეთმა ზედმიწევნით ზუსტად დაიცვა. ამ გზით მიაღწია რუსულმა იმპერიამ ქართველი წარჩინებულების სრულ ლოიალობას ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ. თუმცა, აუცილებლსდ უნდა აღინიშნოს რომ, ფორმალურად, რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო, როგორც შემდგომში იმერეთის სამეფო და სამეგრელოს სამთავრო, არ გააუქმა. საინტერესო ფაქტია, რომ იმპერატორ ალექსანდრე I-ის ტიტულატურაში, რუსეთის თვითმპყრობელის შემდეგ, მოდიოდა ყაზანის, ასტრახანის, ქართველების, იმერლებისა და მეგრელების მეფე. ისმის კითხვა: რატომ სჭირდებოდა რუსეთის იმპერატორს ამის განცხადება, თუკი რუსეთს არაფრად უღირდა გეორგიევსკის ხელშეკრულება? ამ საკითხში დამყრობელის ლოგიკა მარტივად მოსჩანს. მაგალითად, ჯერ კიდევ ივანე მრისხანემ, ყაზანისა და ასტრახანის სახანოების აღების შემდეგ, თავი გამოაცხადა

ყაზანისა და ასტრახანის მეფედ. ეს ნიშნავდა, რომ ამ სახანოებში მან განახორციელა მხოლოდ დინასტიური ცვლილება, და არა მათი ძალით დაპყრობა. უფრო მეტიც, თვითმპყრობელმა ივანე მეოთხემ ერთ ხანს რუსეთის ტახტის მოზიარედ დაისვა ოქროს ურდოდან გამოსული მუსულმანი ბეკბულატოვიჩი. ეს, ე.წ. კასიმის მეფე, ივანეს დედის მსგავსად, ყირიმელი დიდებულის ჩამომავალი იყო. ბუნებრივია, რომ ბეკბულატოვიჩი მხოლოდ საჩვენებლად იყო რუსეთის მმართველი, რეალურად კი მეფის კარზე მასხარას ფუნქციას ასრულებდა. ასევე, საინტერესოა გავიხსენოთ, რომ პეტრე პირველმა განაცხადა პრეტენზია კახეთის ტახტზე, როცა ირანის ფაქტიურ მმართველს ნადირს წერილობით აცნობა მისი წარუმატებელი დარუბანდის ლაშქრობის მოტივი. წერილში ნათქვამი იყო, რომ კახეთის ტახტი პეტრესათვის ღვთისაგან იყო ბოძებული. ამ განცხადებაში პეტრე, როგორც სჩანს, გულისხმობდა თავის ქართულ წარმომავლობას, რაც მისი თანამედროვეებისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერია აშკარად მფარველობდა ჯერ თეიმურაზს, ანუ პეტრეს ნახევარ ძმას, შემდეგ კი მის შვილს, ერეკლე მეორეს. ვისაც პეტრე პირველის ცვილის ქანდაკება უნახავს სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში, აგრეთვე ერეკლე პირველის (ნაზარალი ხანი) გრაფიკული პორტრეტი, შეამჩნევდა გასაოცარ მსგავსებას ამ ადამიანებს შორის. ყველა გარეგანი პარამეტრით პეტრე წარმოადგენდა ნაზარალი ხანის კოპიოს. სახით მსგავსების გარდა, აშკარაა აგებულების კონსტიტუციის იდენტურობა: ძვალწვრილობა (ჰიპერსტენია), ერთნაირი სიმაღლე (ორი მეტრი), ვიწრო მხრები, მოკლე წელი და გრძელი ფეხები. ანტროპოლოგიური ნიშნების გარდა, პეტრეს გენეტიკურ კავშირს ერეკლე პირველთან ამტკიცებს ერთსულოვანი ინფორმაცია პეტრეს ფეთქებადი ხასიათის და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბნედის პერიოდული შეტევების შესახებ. ცნობილია, რომ ეს სენი, უმეტეს შემთხვევაში, შთამომავლობითია. რუსეთში მრავალწლიანი ცხოვრების დროს ერეკლე პირველის ბნედიანობა, რომელიც, დიდი ალბათობით, თანდაყოლილი იყო, საგულდაგულოდ იმალებოდა. ყოველ შემთხვევაში, რუს ისტორიკოსებში რევოლუციამდე არსებობდა ვერსია, რომ ერეკლე პირველს ბნედის შეტევები ჭაბუკობამდე არ ემართებოდა. ამიტომ, მეფე ალექსი პირველის მეორე ქორწინების დროს, ერეკლე პირველის რეპროდუქციულ „დონორად“ შერჩევისას, რუსეთის მმართველ წრეში ქართველი უფლისწულის დაავადების შესახებ, სავარაუდოდ, არავინ იცოდა. სამაგიეროდ, ყველასთვის იყო ცნობილი, რომ მეფე ალექსის ხუთი შვილიდან, რომელიც მას მილოსლავსკის ბოიართა გავლენიანი გვარის ქალისაგან ჰყავდა, ოთხი გონებასუსტი და ფიზიკურად უძლური იყო (დედოფალ სოფიოს გარდა). მალე გამომჟღავნდა, რომ ერეკლე პირველმა საიდუმლო პირობა დაარღვია და პეტრეს დაბადების შემდეგ ახალგაზრდა დედოფალთან თანაცხოვრება გააგრძელა (გაჩნდა პეტრეს და). ამის გამო, მიუხედავად მუდარისა, ერეკლე პირველი რუსეთიდან უცერემონიოდ გააბრძანეს. რუსეთის ისტორიაში ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტის მოტივებში და საიდუმლო დეტალებში გარკვევის საშუალებას იძლევა ანალოგია პეტრე პირველის დაბადებასა და, ორნახევარი საუკუნით ადრე, ივანე მრისხანეს დაბადებას შორის. ამ სადისტი მეფის თათრული (თურქული) წარმომავლობა როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან, საუკუნეების განმავლობაში ეჭვს არ იწვევდა და დღეს ალბათ დამტკიცებულია გენეტიკურ დონეზე. ის, რაც მეთექვსმეტე საუკუნეში მოხდა, ასევე გამოწვეული იყო დინასტიური პრობლემით. უკვე ასაკში მყოფი, პოდაგრით დაავადებული (მეფე ალექსი პირველი რომანოვის მსგავსად), უშვილო ვასილი მესამე ოცდაათი წლის თანაცხოვრების შემდეგ დააშორეს პირველ ცოლს. ახალ თანამეცხედრედ ვასილი მესამემ თვითონ შეირჩია ნორჩი ელენე

გლინსკაია ლიტვის სამთავროდან, რომელიც ყირიმის ხანის მამაის პირდაპირი ჩამომავალი იყო. მმართველმა წრემ, ბოიარებმა და ეკლესიამ, ხელისმომკიდედ დანიშნეს არც თუ ახალგაზრდა, მაგრამ ჯანმრთელი დიდებული ავჩინა-ტელეპნევი. ამ მამაკაცს, საჭიროების შემთხვევაში, როგორც დიდი მთავრის ხელისმომკიდეს, ეკლესიის კურთხევით სარეცელი უნდა გაეყო სამეფო წყვილთან. ასეთი ფუნქციის დაკისრება დაკავშირებული იყო განსაკუთრებულ ნდობასთან. გადამწყვეტი გამოდგა ხელისმომკიდის მდაბალი წარმომავლობა ოქროს ურდოდან გამოსული რომელიღაცა მურზისგან. სწორედ ამაში ხედავდა ქვეყნის მმართველი ბოიართა წრე მომავალში ავჩინა-ტელეპნევის მათდამი ლოიალობის საკმარის გარანტიას. მაგრამ, დიდი მთავარის, ვასილი მესამის, გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრის ფიზიკური მამა (რეპროდუქციული დონორი) ელენე გლინსკაიამ ღიად გამოაცხადა თავის ფავორიტად, რომელიც ბოიარებისათვის მოულოდნელად მოსკოვის სახანოს ფაქტიური მმართველი გახდა. „ევრაზიელ“ კოსტომაროვს, რომელიც მე-19 საუკუნის ეპოქის ავტორიტეტულ ისტორიკოსად ითვლება, დეტალურად აქვს აღწერილი ვასილი მესამის მეორე ქორწინება და ის სპეცალური ეკლესიური ცერემონია მეფის საძინებელში, რომლის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ავჩინა-ტელეპნევს ვასილი მესამის ოფიციალური „დუბლიორობის“ ნებართვა მისცეს. ეს მოგვიანებით მოხდა, ალბათ მას შემდეგ, რაც მონაზვნად აღკვეცილმა სოლომონია საბუროვამ (ვასილი მესამის პირველი ცოლი) ვიღაცისაგან ბიჭი გააჩინა. მაშინ, როგორც სჩანს, ეკლესია საბოლოდ დარწმუნდა ვასილი მესამის უნაყოფობაში. ფაქტია, რომ ივანე მეოთხე გლინსკაიამ მხოლოდ სამი წლის შემდეგ გააჩინა. ამ მეფემაც, პეტრე პირველის მსგავსად, თავისი თათრული წარმოშობისა და ნამდვილი მამის შესახებ ბავშვობიდან იცოდა. აღსანიშნავია, რომ მისი გამზრდელი იყო ავჩინა-ტელეპნევის და, რომელთან დაშორებამ, გლინსკაიას სიკვდილის შემდეგ, მძიმე დაღი დაასვა მის ფსიქიკას. წლების შემდეგ, თათრულად თავისუფლად მოლაპარაკე ივანე მრისხანეს, მისი ახლად შეძენილი მუსულმანი ქვეშემდგომების თვალში, მშვენივრად შეეძლო გაემართლებინა ასტრახანისა და ყაზანის სახანოების მოსკოვისათვის მიერთება თავისი თათრული (თურქული) გენეტიკური ფესვებით. დავუბრუნდეთ პეტრე პირველს. ცნობილია, რომ პეტრე მეფე არჩილს უძახოდა ბიძას ((არჩილის მეუღლე ერეკლეს და იყო) მის ვაჟს, ალექსანდრეს, ძმას, ხოლო ქალიშვილს, დარეჯანს, დას. ეს უკანასკნელი (დარია არჩილოვნა) რუსეთის იმპერიის ხაზინიდან, პეტრეს გარდაცვალების შემდგომ წლებში, სიკვდილამდე ყოველწლიურად იღებდა უზარმაზარ პენსიას, 12000 ოქროს მანეთს. თუმცა, სახელმწიფო ხაზინიდან პერსონალურად გაცემულ თანხებს შორის აბსოლუტურად რეკორდული აღმოჩნდა 29111 მანეთი, რომელიც 1734 წელს მიიღო მეფე ვახტანგ მეექვსემ. ცნობისათვის, რუსეთის იმპერიის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იმ წელს დაახლოებით ოთხი მილიონი მანეთი იყო, ხოლო საბრძოლო ცხენი (დღევანდელი უმაღლესი კლასის „მერსედესი“) საუკეთესო სამეფო ცხენთსაშენიდან მხოლო ორი ოქროს თუმანი ღირდა.

შემდგომში, ქართული კოზირი კარგად გამოიყენა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, რომლის სასარგებლოდ მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის კარზე დაწინაურებულმა რამდენიმე გენეტიკურად ქართველმა. ის, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ალექსანდრე პირველის მიერ ფორმალურად არ გაუქმებულა, მისი ტიტულატურის გარდა, იქიდანაც სჩანს, რომ ნაპოლეონთან მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირების წინ იმპერატორის კარზე სერიოზულად განიხილებოდა გენერალ პეტრე ბაგრატიონის, ქართლის ტახტის

ლეგიტიმური მემკვიდრის, საქართველოში გამეფების საკითხი. ეს ალბათ ასეც მოხდებოდა, პეტრეს რომ არ ეთაკილა იმპერიის პერიფერიაში გადასახლება. თუმცა, პეტრე ბაგრატიონს, რომელიც ბავშვობიდან რუსულ ყაიდაზე იყო გაზრდილი და ქართული არ იცოდა, შეიძლება ეშინოდა, რომ თავაშვებული ქართველი თავადაზნაურები, მათ მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, სათანადოდ ლოიალურები აღარ იქნებოდნენ დანიშნული მეფის მიმართ. მართლაც, საქართველოს ისტორიიდან სჩანს, რომ, მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, დიდებულთა მასა ზრუნავდა მხოლოდ საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე და ნაკლებად ღელავდა ქვეყნის კეთილდღეობაზე. ეს ქართლ-კახეთის სამეფო დინასტიის გადაყენების პირველ წლებში კარგად გამოჩნდა, როცა წინააღმდეგობა თავადაზნაურთა მხრიდან ახალი ხელისუფლების მიმართ ფაქტიურად არ ყოფილა. თითო-ოროლა წარჩინებულის ნაციონალისტური განწყობა და ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრეთა რამდენიმე მცირე ამბოხი, მაგალითად კახეთში, დიდებულთა ფენის აპატიურ დამოკიდებულებას ეროვნული დამოუკიდებლობის იდეისადმი არ ცვლიდა. პირიქით, ამ დროს ქართველმა თავადაზნაურებმა საკმაოდ კარგად ისარგებლეს იმ პრივილეგიებით, რომლებიც მათ გეორგიევსკის ტრაქტატმა მისცა. კერძოდ: სარგებლობა რუსეთის სათავადაზნაურო ბანკით, შვილების უფასო სწავლება პრესტიჟულ სამხედრო სასწავლებლებში, მნიშვნელოვანი თანამდებობები რუსულ ადმინისტრაციაში და სხვა. თუმცა, ობსკურაციის ფაზა, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა, არ გადავიდა მემორიალურ ფაზაში, რომელიც სახიფათო იქნებოდა ეთნოსის სრული გაქრობის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნეში ეთნიკური არსებობის პირობითი რვა საუკუნე გაგრძელდა რუსეთის პირველ ბურჟუაზიურ რევოლუციამდე. ამ პერიოდში ცხადად გამოვლინდა, რომ თავადაზნაურთა ფენის მნიშვნელოვან ნაწილს ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა ეროვნული თვითშეგნება. ეს კარგად გამოჩნდა საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში, მენშევიკების ხელისუფლების დროს. შესაძლებელია, გვარით წარჩინებულთა ფენა უფრო ქმედითუნარიანი რომ ყოფილიყო, საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების მაგივრად აღდგენილიყო მონარქია, ანუ ისეთი მმართველობა, როგორიც იყო დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. ლოზუნგი "ძირს მეფე" ქართველების ქვედა ფენაში სულ მარტივად შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო რუსული ცარიზმის წინააღმდეგ, ხოლო ნაციონალური სამეფო დინასტიის აღდგენა გადაქცეულიყო ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ. შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ მონარქიული წყობილების მქონე ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოს, მაგალითად ინგლისს, ჰოლანდიას და ბელგიას, რეალურად ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ საქართველოსათვის. მაგალითად, ინგლისმა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიბრუნა დასავლეთ ევროპაში ჰეგემონის პოზიცია. ეს იმპერია ისტორიამ პირველ რიგში შეარცხვინა რუსეთის სამეფო ოჯახის ამოჟლეტვის ფაქტის მიმართ წაყრუების გამო. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, ემიგრაციაში მყოფმა ზოგიერთმა ქართველმა წარჩინებულმა, მეტწილად, ყოფილმა სამხედრო პირმა, ეს გაიაზრა. მაგრამ, მათ მაინც ვერ მოახერხეს კონსოლიდაცია მონარქისტული იდეის ირგვლივ. მენშევიკების გავლენით ემიგრანტთა უმრავლესობა ითხოვდა დამოუკიდებლობას მხოლოდ რესპუბლიკის ფორმით. თუ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ სხვა ხალხებს შევხედავთ, ტრაქტატის არსებობის გარდა, არცერთ მათგანს არ ჰქონდა საკუთარი სამეფო დინასტიის ტრადიცია. ალბათ, გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ყირიმელი თათრები. მათი სახანო, ოქროს ურდოს

ნარჩენების ეთნიკური კონგლომერატი, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებით, მცირე ხნით, საქართველოს მსგავსად, რუსეთის ვასალის მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა შემდეგ ისიც გაუქმდა.

ნაწილი მეექვსე. ყოფაქცევის სტერეოტიპი- ეთნოგენეზის პროცესის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი

გუმილიოვის მიხედვით ეთნოსი მართლაც ჰგავს ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც გადის სხვადასხვა ასაკობრივ სტადიას ბავშვობიდან ღრმა სიბერემდე. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, ეთნოსი წარმოადგენს დროში მიმდინარე პროცესის ასახვას, და არა სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ სოციალურ ფენომენს. ამით ეჭვის ქვეშ დგება ეთნოსის, ანუ, ადრე მიღებული მცნებით, ერის, ყველა აქამდე ცნობილი განმარტება. ეთნოსის არსებობისათვის თურმე საჭირო ყოფილა მხოლოდ ერთი გამაერთიანებელი ნიშანი, ყოფაქცევის განსაკუთრებული სტერეოტიპი. შეიძლება ეს მართლაც იყოს გენიალური განმარტება, რომელიც ერთდროულად ლაკონიურიც არის და ყოვლისმომცველიც. გამოდის, რომ ადამიანს არ შეუძლია შეიცვალოს მხოლოდ რასა, ანუ, თუ ის გენეტიკურად არის ევროპოიდი, ნეგროიდი ან მონღოლოიდი, ყოველთვის ასეთად დარჩება. ცხადია, რომ არსებობენ აგრეთვე გარდამავალი რასები, ანუ მეტისები. თანაც, მეტისიზაციას გარკვეული ხარისხები გააჩნია იმის მიხედვით, თუ რომელ თაობაში ვლინდება აღრეული რასობრივი ნიშნები. სრულიად შესაძლებელია რომ, რამდენიმე თაობის შემდეგ, მეტისის შთამომავლებში იმდენად გაძლიერდეს რომელიმე წინაპარის დომინანტი, რომ ადამიანი გარეგნულად აღმოჩნდეს რომელიმე ერთი რასობრივი ნიშნის მატარებელი. თუმცა, როგორც გენეტიკა გვიჩვენებს, მეტისიზაციის ნიშნების გაქრობა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ჩვეულებრივ რამდენიმე თაობა გრძელდება. ეს კარგად სჩანს, მაგალითად, თანამედროვე მექსიკელებში ან ბრაზილიელებში. პირველნი მასიურად ატარებენ ინდიელების, ანუ მონგოლოიდური რასის, ნიშნებს, ხოლო მეორენი ამჟღავნებენ აფრიკული, ნეგროიდული რასის, გენის სიმყარეს. ამ დროს ორივე ეთნოსს საკმარისად დიდი პროპორციით გააჩნია ევროპოიდური გენი. მსგავსი სიტუაცია გვხვდება სხვა ლათინოამერიკულ ეთნოსებშიც, არგენტინელებისა და ურუგვაელების გამოკლებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ევროპელი ემიგრანტების შთამომავლები არიან.

ამრიგად, ადამიანს არ შეუძლია ნებელობით შეიცვალოს რასა, როცა ის აღარ ატარებს გარდამავალი რასის ნიშნებს. სამაგიეროდ, რადგანაც გუმილიოვის მიხედვით, ეთნოსის მთავარი ნიშანი არის ყოფაქცევის განსაკუთრებული სტერეოტიპი, ეთნიკური კუთვნილების ცვლილება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია პირველივე თაობაში. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად რასობრივი ნიშნებით განსხვავებისა, იგივე მექსიკელები ან ბრაზილიელები თავს სამართლიანად აკუთვნებენ ერთ ეთნოსს. ეს სულაც არ არის სავალდებულო იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. თვით ინდივიდზეა დამოკიდებული, თუ რომელ ეთნოსს მიაკუთვნებს საკუთარ თავს. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული პიროვნება ან ადამიანთა ჯგუფი ინარჩუნებს განსხვავებული ეთნოსების ნიშნებს, ისინი თვითონ განსაზღვრავენ თუ ვის, სად და როგორ წარუდგინონ თავი, როგორც რომელიმე ერთი ეთნოსის ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა. ამის მაგალითია ახალი ამერიკული ეთნოსი, ანუ, გუმილიოვის მიხედვით, ჩრდილო ამერიკული სუპერ ეთნოსი. ცნობილია, რომ ამერიკელები წარმოადგენენ თითქმის ყველა ევროპული

ეთნოსისა და სხვადასხვა სუბეთნოსების კონგლომერატს. ამათ კიდევ დაემატათ მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა აფრიკული ტომების, ჩამომავლები და ლათინო ამერიკელები. პირველ მიახლოებაში ყველა მათგანი თვლის, რომ ახალი ამერიკული სუპერეთნოსის წარმომადგენელია. მაგრამ, არიან ისეთებიც, რომლებიც მეორე მიახლოებაში მყარად ინარჩუნებენ ისტორიული ეთნოსის მახასიათებელ ყოფაქცევის სტერეოტიპს. ამის კლასიკურ მაგალითია იტალიელი ემიგარნტები და, ნაწილობრივ, ირლანდიელი ემიგრანტები, აგრეთვე შეერთებულ შტატებში გადაბარგებული მექსიკელები და პუერტო-რიკოელები. იტალიური მაფიის არსებობა ამერიკაში შეიძლება მივიჩნიოთ სამხრეთ იტალიელებისათვის დამახასიათებელი ყოფაქცევის სტერეოტიპის კონსერვაციის მაგალითად ახალ პირობებში, როდესაც ემიგრანტები მოხვდნენ მათგან განსხვავებული ყოფაქცევის სტერეოტიპის მქონე ადამიანების გარემოში. ის ფაქტი, რომ იტალიელების შიგნით საკმარისად დიდია დამნაშავე ელემენტების რაოდენობა და ძლიერია მათი გავლენა, სრულებითაც არ ნიშნავს ამ ადამიანების გენეტიკურად კრიმინალურ ბუნებას. მარტივი დეტერმინირების გზით შეიძლება მივიდეთ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ დანაშაულებრივი პრინციპების არსებობა დაკავშირებულია სწორედ ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების სურვილთან. შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი მაგალითიც, რომელიც ეხება აბსოლუტურად პაციფისტური განწყობილების მქონე, საკუთარი ზნეობრივი პრინციპებისადმი განსაკუთრებულად ერთგული ადამიანების ჯგუფს, ამერიკელ მორმონებს, რომლებიც ყველა ნიშნით წარმოადგენენ სუბეთნიკურ ერთობას. მათი ცხოვრების წესი დიამეტრალურად განსხვავებულია თანამედროვე ამერიკელების ყოფაქცევის სტერეოტიპისაგან თავისი არქაულობით და ყოფიერებისადმი ჩამოყალიბებული სპეციფიკური შეხედულებებით. როგორც ეთნიკური კუთვნილების ინდივიდუალურად განსაზღვრის მაგალითი, შეიძლება მოვიყვანოთ ახლო წარსულში სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში ჩამოყვანილი ზანგი ბიჭი, რომელიც, მიუხედავად კანის ფერისა, შემდგომში ცხოვრების წესით არაფრით გამოირჩეოდა ქართველებისაგან. უფრო მეტიც, ეს ადამიანი საკუთარი შვილებისაგან, რომლებიც ჰყავდა ეთნიკურად არაქართველი მეუღლისაგან, მოითხოვდა ქართველებისათვის დამახასიათებელი ყოფაქცევის წესების დაცვას. ამ მაგალითიდან ცხადად სჩანს, რომ მოთხოვნა, ადამიანმა, გინდა თუ არა, არ დაივიწყოს თავისი ეთნიკური ძირი, კორექტული არ არის. რუსეთში მცხოვრები საკმარისად წარჩინებული ბევრი ქართველი წარსულში და დღესაც თავს აკუთვნებს რუსულ სუპერეთნოსს. ეს ზოგჯერ იწვევს ქართული საზოგადოების გაღიზიანებას და მკაცრ შეგონებებს ამ ადამიანების მიმართ. ცხადია, რომ ეს სწორი არ არის და ადამიანს მართლაც აქვს უფლება თვითონ განსაზღვროს, თუ რომელ ეთნოსს ეკუთვნის. კარგია, თუ ადამიანი არ ივიწყებს საკუთარ ეთნიკურ წარმომავლობას, თუმცა სრულიადაც არ არის სავალდებულო განაცხადოს, რომ ის არის ქართველი. ამის მაგალითია, ვითომ და, ხელოვნური ეთნიკური წარმონაქმნი, ე.წ. “თურქი მესხები“ . მათი უმრავლესობა ჩრდილო კავკასიელი მთიელების, მაგალითად, ლეკების და ჩერქეზების, ჩამომავალია. ამ ხალხის წინაპრები საუკუნეების განმავლობაში მსახურობდნენ თურქეთის ჯარში, ოსმალეთის იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრის გაყოლებით. მათი მცირე ნაწილი შეადგენდა ელიტარულ იანიჩართა რაზმს, რომელიც განსაკუთრებით ჭრელი იყო ეთნიკურად. იანიჩართა შორის, ქართველების გარდა, იყვნენ ბერძნები, სომხები, ალბანელები, სერბები, ბოსნიელები და კიდევ სხვა ხალხების წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, 1980-იანი წლების დასაწყისში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის

მრავალწლიანმა ექსპედიციამ ჩაატარა ამირკავკასიიდან შუა აზიაში გადასახლებული „თურქი მესხების“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ამ ხალხის მხოლოდ მეექვსედს ჰქონდა ქართული გენეტიკური ძირი. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანების უმეტესობა, სხვების მსგავსად, თავს აკუთვნებდა თურქულ ეთნოსს. თუმცა, უკლებლივ ყველა „თურქი მესხი“ თავის ისტორიულ სამშობლოდ თვლიდა ამიერკვკასიას, კერძოდ, სამხრეთ საქართველოს. ამიტომ გასაკვირია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ „თურქმა მესხებმა“ მასიურად მიაშურეს ჩრდილოეთ კავკასიას, უმეტესად, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებს.

დასკვნა

რამდენად მისაღებია გუმილიოვის შეხედულებები ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით? ერთი შეხედვით ის, რასაც გუმილიოვი თავის თეორიაში აცხადებს, საკმაოდ საფუძვლიანია და განმტკიცებულია მრავალრიცხოვანი ისტორიული მაგალითებით. ამაში მას ეხმარება ბელეტრისტის ტალანტი, რაც მნიშვნელოვნად მატებს შთამბეჭდაობას ეთნოგენეზის თეორიას. ისიც შეიძლება ითქვას, რომ, ნიჭის წყალობით, გუმილიოვი ხშირად შესანიშნავად ახერხებს შენიღბოს აშკარა კომპილაცია. ეს სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეების შემოქმედებითი მიგნებების მრავალჯერად გამოყენებაში გამოიხატება ისე, რომ ფაქტიურად არ სახელდება რომელიმე იდეის საწყისი წყარო. მაგალითად, ის ფაქტი, რომ გუმილიოვმა გამოიყენა მზის აქტივობის ხანგრძლივ ვადიანი პერიოდული ცვლილების ციკლები, სიახლეს არ შეიცავს. მანამდე მზის აქტივობის შესაძლო გავლენა გენის მუტაციაზე ივარაუდა რუსმა ექიმმა ალექსანდრე ჩიჟევსკიმ. მან თავის დროზე გამოთქვა ჰიპითეზა, რომ მზის აქტივობის ცვლილების 11 წლიანი ციკლები ასახვას პოულობენ ე.წ. ეპიზოტიებში, მაგალითად, ვირთაგვების ან კალიების მასიურ გამრავლებაში, რაც პერიოდულად ხდება დედამიწის სხვადასხვა ადგილას. გამოიყენა რა ჩიჟევსკის ჰიპოტეზა, გუმილიოვმა შემოიტანა „პასიონარობის“ ცნება, რომელიც ასევე დაუკავშირა მზის აქტივობის ცვლილებას. მიუხედავად ამისა, მან თავის ნაშრომში სათანადო ადგილი არ დაუთმო ჩიჟევსკის, აგრეთვე ბიოლოგს ტიმოფეევ-რესოვსკის, ცოცხალ ორგანიზმებში რადიაციით გამოწვეული გენეტიკური მუტაციების ექსპერიმენტალური კვლევის პიონერს. გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიის ბაზისია იონოსფეროს, დედამიწის უახლოესი რადიაციის სარტყელის, ფიზიკური მახასიათებლების ცვლილების ეფექტი მზის აქტივობის ცვლილების ხანგრძლივ ვადიან (საუკუნებრივ) ციკლში. ეთნოგენეზის პროცესში იონოსფეროს როლის გამოკვეთაში გუმილიოვს დაეხმარა კოსმოფიზიკოსი კიმ ივანოვი, რომელმაც, რეტროსკოპიული ანალიზის საფუძველზე, ისტორიული ეპოქის განმავლობაში, გამოყო მზის აქტივობის ცვლილების რამდენიმე ხანგრძლივ ვადიანი ციკლი. მათი საშუალებით გუმილიოვმა განსაზღვრა ისტორიულ ეპოქაში დედამიწაზე კლიმატის პარამეტრების მაქსიმალური ცვლილებების რეგიონალური არეალები. ეს მომენტი წარმოადგენს გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიის განსაკუთრებით სუსტ წერტილს. იმისათვის, რომ გაამართლოს ლოკალური „პასიონარული“ ბიძგის თეორია, გუმილიოვი იძულებული გახდა დაეშვა წინააღმდეგობრივი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად „პასიონარული“ ბიძგის არეალი ყოველთვის მოიცავს დედამიწის რომელიღაც რეგიონს გეოგრაფიული მერიდიანის გასწვრივ, შეზღუდულს ზონალური მიმართულებით. ითვლება, რომ ეს დაკავშირებულია იონოსფეროს არაერთგვაროვან გეომაგნიტურ სტრუქტურასთან.

გუმილიოვი იმთავითვე აღმოჩნდა კოლეგების მხრიდან მკაცრი კრიტიკის ქვეშ, რადგან მისი დისერტაციის წარდგენამდე რამდენიმე წლით ადრე მოხდა მზის აქტივობის ხანგრძლივ ვადიანი ციკლების მნიშვნელოვანი თვისობრივ-რაოდენობრივი კორექცია იმ დროისათვის უახლესი დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდის საშუალებით.

ბოლოსიტყვაობა

მიუხედავად ფართო ცნობადობისა, გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგაც გუმილიოვის პიროვნება და სამეცნიერო მემკვიდრეობა კვლავ არის არაორაზროვანი შეფასებების საგანი. რეპრესირებული მშობლების შვილის განსაკუთრებული ბიოგრაფია, ნორილსკის ბანაკებში და შუა აზიის სტეპებში გადასახლებაში ყოფნის ორი ათწლეული, აგრეთვე „სოვდეპიის“ მიერ უსამართლოდ დევნილის მყარი რეპუტაცია, საკმარისი არ აღმოჩნდა გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორიის უნიკალურობის უდავოდ აღიარებისათვის. პოლონელმა პროფესორმა პოპემ გუმილიოვს ისტორიული ფანტაზიების მწერალი- რომანისტი უწოდა, რაც თავის დროზე საკმაოდ წარმატებულ შედარებად ჩაითვალა. თავის მხრივ, პოპესა და მის კოლეგა ისტორიკოს-წყაროთმცოდნეებს გუმილიოვი მეწვრილმანეებს უწოდებდა, რომლებიც ხელს უშლიან ისტორიული პროცესების ანალიტიკურ გააზრებას. მრავალრიცხოვანი კრიტიკოსები გუმილიოვს დღემდე უწოდებენ: შეგნებულ ფალსიფიკატორს; ისტორიული მითების ეშმაკ მთხვზველს; ნახევრად განათლებულ მატყუარას; სტალინის რეჟიმის ჭკუიდან შეშლილ მსხვერპლს; რასისტს ანტისემიტს და, რაც მთავარია, რუს ნაციონალისტს. ეს უკანასკნელი „წოდება“ უდავოდ სამართლიანია, რადგანაც გუმილიოვი არის „უკანასკნელი ევრაზიელი“ ამ მცნების კლასიკური გაგებით. რაც შეეხება მის განათლებას „გულაგის უნივერსიტეტებში“ და ბრალდებებს დილეტანტიზმსა და ფანტაზიორობაში, აქ აშკარად მოსჩანს შური გუმილიოვის არაორდინარული პიროვნების მიმართ. ცნობილ ინგლისელ ფილოსოფოსს და ისტორიის მეთოდოლოგს კოლინგვუდს ეკუთვნის განმარტება: „კრიტიკოსი არის ადამიანი, რომელსაც უნდა და შეუძლია დამოუკიდებლად აღადგინოს ვიღაცის აზრის მოქმედება იმისათვის, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად კარგად იყო მის მიერ სამუშაო შესრულებული“. კრიტიკოსს, ანუ მოაზროვნე ადამიანს, რომელიც ეძებს ჭეშმარიტებას, კოლინვუდმა დაუპირისპირა სკეპტიკოსი, რომელსაც არ სურს სხვისი ნამოქმედარის გააზრება და ჭეშმარიტების დადგენა. შეუძლებელია ასეთი ადამიანის იძულება, რომ იფიქროს. ამიტომ, არ არსებობს საშუალება სკეპტიკოსს დაუმტკიცო, რომ ვიღაცის გონებრივი ნამუშევარი კარგად არის შესრულებული. შესაბამისად, სკეპტიკოსის შენიშვნების გულთან ახლოს მიტანის აუცილებლობა არ არსებობს. კრიტიკოსებისა და სკეპტიკოსების ასეთი დაყოფა ზოგადად სწორია, მაგრამ, რამდენად მოსახერხებელია გუმილიოვის მეცნიერული მემკვიდრეობის ობიექტური შეფასების თვალსაზრისით, ძნელი სათქმელია. მაგალითად, რთულია დაეთანხმო ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის დიაკონოვის უაპელაციო განცხადებას, რომ „პასიონარობის“ ფენომენის აღმოჩენას უზარმაზარი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია. თუმცა, მაგალითად, გარდატეხის ფაზის გარდაუვალი არსებობა ერის ისტორიაში იმ მახასიათებლებით, რომლებიც გუმილიოვს აქვს შემოტანილი, მანამდე რატომღაც არავის შეუმჩნევია.

ემანუილ კანტი ამბობდა, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს მიზნის მიღწევის საშუალება. ეს მოკლე განმარტება ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც. ცნობილმა უკრაინელმა ფილოსოფოსმა და პოლიტოლოგმა სერგეი დაციუკმა კანტის ეს

განმარტება გამოიყენა იმპერატივად ცოტა ხნის წინ მის მიერ მოცემულ „ევრაზიელობის“ თეორიის მოკლე კრიტიკულ შეფასებაში. ეთნოგენეზის პრობლემაში ჩახედული ადამიანი მარტივად მიხვდება, რომ, პირველ რიგში, დაციუკის კრიტიკის საგანია „პასიონარული“ ინდივიდების გენერაციის გუმილიოვისებური მექანიზმი. მის მიხედვით ეთნოგენეზის შემომქმედები არიან ბუნების მიერ განსაკუთრებული ნიშნით დაჯილდოებული, ქვეცნობიერი ინსტიქტით მართული ადამიანები. ამ თეზას დაციუკი გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ისე, რომ ჰიპოთეტიურ ფაქტორს, „პასიონარობას“, საერთოდ არ ახსენებს: „გარკვეული ბუნებრივი პირობები და გარემოებები თავისთავად არაფერს აკეთებენ, თუ მათ ცნობიერად არ გამოიყენებს ადამიანი“. ამით დაციუკი გვეუბნება, რომ გუმილიოვის იდეის რეალური ლეიტმოტივი ტრივიალურია, რადგან ისტორიული პროცესების ამძრავები ყოველთვის არიან შეგნებულად მომქმედი ადამიანები. ამიტომ, ისტორიული პროცესის, როგორც მზის აქტივობის ცვლილების პროდუქტის, გუმილიოვისეური გაგება მცდარია. რაც შეეხება „ევრაზიულობას“: დაციუკი აქაც კატეგორიულია და ამ მიმდინარეობას მიიჩნევს ნახევრად გეოგრაფიულ, ნახევრად ისტორიულ კონცეფციად, რომელშიც ვითომ ერთიანდება ევროპის აღმოსავლეთი და აზია. ასეთი წარმოდგენა ყველგან და ყველაფერში წითელ ხაზად გასდევდა რუსი ისტორიკოსების: სოლოვიოვის, კლუჩევსკის, დანილევსკის, ტრუბეცკოის და, ბოლოს, გუმილიოვის ნაშრომებს. თუმცა, ეს უკანასკნელი თავისი მრავალრიცხოვანი მაგალითებით ყველაზე უკეთესად ამტკიცებს, რომ რუსეთის სახელმწიფოს საწყისი ოქროს ურდოა. ამით ის განსაკუთრებით მკვეთრად უპირისპირდება ევროპას და ფაქტიურად საფუძველს აცლის „ევრაზიულობის“ თეორიას წინამორბედების გაგებით. თუმცა აშკარაა, რომ ნებისმიერ შემთვვევაში „ევრაზიულობა“ წარმოადგენს იმპერიული ველიკოდერჟავიზმის იდეოლოგიურ გამართლებას. დღეს ამას მსოფლიო თვალნათლივ ხედავს რუსეთის ომში არა მხოლოდ უკრაინის, არამედ თითქმის მთელი ევროპის წინააღმდეგ.

რამდენიმე წლის წინ რუსი ტელეწამყვანის დიმიტრი კისელიოვის გადაცემაში, რომელიც პერიოდულად იმართებოდა კიევში, დაციუკი ევროპულისა და აზიურის შერწყმის საკითხზე შეეჯახა დუგინს, პროხანოვს და ნარიშკინს, აღიარებულ რუს შოვინისტებს. დაციუკმა განაცხადა, რომ ევროპისა და აზიის სიმბიოზი გამორიცხულია, რადგან, სინერგიის პრინციპის თანახმად, გაერთიანებისას მოხდება ენერგიის ანიჰილაცია. რუსებთან კამათს დაციუკმა იმპერატივად მოუძებნა ბრიტანული აზროვნების კლასიკოსის რედიარდ კიპლინგის შესანიშნავი ფრაზა: „დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი აღმოსავლეთი“. საკუთარი სკეპტიციზმის არგუმენტად დაციუკმა მოიშველია თეზა, რომ ევროპა საერთაშორისო ურთიერთობებში ისტორიულად ყოველთვის დომინინანტის პოზიციაზე იდგა, ხოლო აზია ჩვეულებრივ იყენებდა წონასწორობის პრინციპს. ამ დროს შერწყმის ქიმერული იდეით შეიარაღებული „ევრაზიელები“ ქადაგებდნენ ამ ორი, ფუნდამენტალურად განსხვავებული, პრინციპის გაერთიანების შესაძლებლობას. დღესაც, გუმილიოვის თეორიაზე დაყრდნობით, რუსი შოვინისტები ცდილობენ იმის კონსტანტაციას, რომ რუსულ სუპერ ეთნოსში მოხდა დომინირებისა და წონასწორობის ურთიერთ გამომრიცხავი პრინციპების უნიკალური,განსაკუთრებით მდგრადი, სინთეზი. დაციუკის შეხედულებით ასეთი უტოპიური თეორია მარტო მცდარი კი არა, განსაკუთრებით სახიფათოც არის. ევროპის აღმოსავლეთის აზიის ნაწილთან შერწყმა, რაც, „ევრაზიელების“ აზრით, მოხდა რუსეთის იმპერიაში, არ შეიძლება მომავალში დადებითი შედეგის მომტანი იყოს. დღეს ეს კარგად სჩანს რუსეთისა და ჩინეთის

ურთიერთობის პერსპექტივის მაგალითზე. თანამედროვე ეტაპზე რუსების სტრატეგია ამოდის ორპირობის პრინციპიდან: რუსებს მიაჩნიათ რომ ამჟამად ჩინელები მშვიდობიანად ეგუებიან მათ დომინაციას. მიუხედავად ამისა, „შორსმჭვრეტელი“ რუსეთი მომავალში ძლიერის პოზიციიდან აპირებს ჩინეთთან ურთიერთობის გარკვევას. სინამდვილეში, პირიქით ხდება, რადგან ჩინეთი წონასწორული პოზიციიდან წყნარად, თუმცა სულ უფრო სწრაფი ტემპით, შეუქცევადად იმორჩილებს რუსეთს.

მეცნიერის მემკვიდრეობის შეფასების დროს საჭიროა ერთმანეთისაგან განსხვავდეს პრობლემის არსი და მისი გადაწყვეტის მეთოდი. პირველ საკითხში გუმილიოვს უეჭველად გააჩნდა ნამდვილი მეცნიერისათვის აუცილებელი სიახლის ყნოსვის უნარი. მაგრამ, მის ნაშრომებში არც ისე რთულია შეამჩნიო ფაქტიური შეცდომები და საკამათო მომენტები, როგორც ბუნებრივი მოვლენების, ასევე ისტორიული პროცესების, ინტერპრეტაციის დროს. დღეს გუმილიოვის მემკვიდრეობის თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა გამოდის პოლიტიკური ინტერესიდან და ამ პოზიციიდან ცდილობს „ევრაზიულობის“ თეორიის მოდერნიზაციას. ამის საჭიროება რუსული „ველიკოდერჟავიზმის“ იდეით გაჟღენთილმა თანამედროვე პლუტოკრატებმა, პუტინის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისთანავე, კარგად იგრძნეს. მათი პოლიტიკური შეკვეთის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემა რუსული პროპაგანდისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს, უკრაინასთან სისხლიანი კონფლიქტის პირობებში. აღმოჩნდა, რომ წარუმატებელი პლაგიატორის, მედინსკის, მიერ ვითომ თანამედროვედ გადააზრებულმა რუსეთის და ყოფილი საბჭოთა ხალხების გაპრიმიტივებულმა, პუტინისათვის სპეციალურად ადაპტირებულმა, ისტორიამ ვერ გაამართლა. ამიტომ, ისევე, როგორც „პერესტროიკის“ წლებში, მოთხოვნადი გახდა „ევრაზიულობა“ და, განსაკუთრებით, გუმილიოვი, რომელთან თანამედროვე შოვინისტები; დუგინი, პროხანოვი, ტრეტიაკოვი, ზატულინი და კიდევ სხვები ახლოს ვერ მივლენ ნიჭით და საკუთარ იდეებში რუსი ხალხის მასის დარწმუნების უნარით.

ნაწილი მეშვიდე. გეოფიზიკური დამატება

მაგნიტოსფერო. ჰიპოტეზა ცოცხალი უჯრედის გენომის მუტაციაზე მზის აქტივობის გავლენის შესახებ პირველად გამოიყენა რუსმა ექიმმა ალექსანდრე ჩიჟევსკიმ მეოცე საუკუნის დასაწყისში. მისი დასაბუთებისათვის ჩიჟევსკიმ მოიშველია მზის აქტივობის ცვლილების 11 წლიანი პერიოდული ციკლები, როგორც დედამიწის ბიოსფეროში ვირთაგვებისა და კალიების ზვავისებურად გამრავლების (ეპიზოტიები), აგრეთვე ხოლერის, გრიპის და სხვა პანდემიების წარმოქმნის, ბუნებრივი მიზეზი. ამ, პერიოდულად განმეორებად, მოვლენებს აქვთ აფეთქების ხასიათი უმეტესად აზიასა და აფრიკაში. გარდა ამისა, ჩიჟევსკი აღმოჩნდა პირველი მეცნიერი, რომელმაც ადამიანებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიებით გამოწვეული დაავადებების გამწვავება დაუკავშირა გლობალურ გეომაგნიტურ ქარიშხლებს. შემდგომში, კლინიკურმა მონაცემებმა აჩვენეს, რომ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება პირდაპირ კავშირში ყოფილა მზის ელექტრომაგნიტური (რადიაციული) გამოსხივების მოკლევადიან შეშფოთებებთან, ე.წ. მზის აფეთქებებთან (აალება). ამ სტოქასტიკური ბუნების მოვლენას, რომელიც განსაზღვრავს მზის აქტივობის დონეს, გააჩნია როგორც სპორადიული (შემთხვევითი), ასევე

რეკურენტული (რეგულარული) განმეორებადობა. ამიტომ, აალების მომენტის ზუსტი პროგნოზი ფაქტიურად შეუძლებელია. მზის შიგნით უწყვეტად მიმდინარეობს წყალბადიდან ჰელიუმის თერმობირთვული სინთეზის პროცესი, რომელსაც თან ახლავს ელექტრომაგნიტური გამოსხივება (რადიაცია), რომელიც დედამიწის ბიოსფეროს კოსმოსური ენერგიით მომარაგების უმთავრესი წყაროა. მის გარეშე ვერ განვითარდებოდა ორგანული მატერია, რომლის მთავარი ელემენტია ცოცხალი უჯრედი, ხოლო დაგვირგვინებას წარმოადგენს ადამიანი. თუმცა, მზის რადიაცია იმ ინტენსივობით, რომელიც მას გააჩნია საპლანეტათაშორისო სივრცეში, დამღუპველია ორგანული მატერიისათვის. ბიოსფერო წარმოიქმნა მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწას გააჩნია განსაკუთრებული დამცავი გარსი, დიპოლური სტრუქტურის მაგნიტური (გეომაგნიტური) ველი. აღმოჩნდა რომ, მზის ფოტოსფეროდან ამოფრქვეულ მეტად გაიშვიათებულ პროტონულ-ელექტრონულ ნაკადთან (მზის ქარი) ურთიერთქმედების გამო, გეომაგნიტურ ველს გააჩნია სიმეტრიული მაგნიტური დიპოლისაგან განსხვავებული ფორმა, რომელიც ჰგავს ხოჭოს. მისი თავი მიმართულია მზისკენ,ხოლო სხეული გრძელდება მზის საწინააღმდეგო მიმართულებით გიგანტურ მანძილებზე. დედამიწა მოქცეულია ასეთი სპეციფიკური ფორმის საზღვარის მქონე უზარმაზარი მაგნიტური კავერნა, მაგნიტოსფეროს, შიგნით. მისი მთავარი ფუნქცია მდგომარეობს მზის მოჭარბებული რადიაციისაგან ბიოსფეროს ეკრანირებაში. მაგნიტოსფერო შეგვიძლია შევადაროთ დედამიწის დამცავ მაგნიტურ ჯებირს, რომელიც ამცირებს მაღალენერგიული გალაქტიკური კოსმოსური სხივებისა და, მათთან შედარებით დაბალენერგიულ, მზის რადიაციას იმ დონემდე, რომელიც საკმარისია დედამიწაზე ბიოსფეროს არსებობისათვის. ამ თვალსაზრისით დედამიწა უნიკალურია, რადგანაც ორგანული მატერიის განვითარებისათვის საჭირო პირობები სხვა პლანეტებზე არ არსებობს. მაგალითად, მარსი და ვენერა წარმოადგენენ დედამიწის მსგავს პლანეტებს, მაგრამ მათ საკუთარი მაგნიტური ველი არ გააჩნიათ. შესაბამისად, ამ პლანეტებზე სიციცხლის არსებობა გამორიცხულია.

დედამიწის მაგნიტოსფერო მეტად რთული აგებულების მქონე წარმონაქმნია, რომელშიც გააჩნია ფიზიკური მახასიათებლებით განსხვავებული რამდენიმე გიგანტური სტრუქტურა (შრე). ეს სტრუქტურები წარმოადგენენ რეზერვუარებს, რომლებშიც გროვდება მეტად გაიშვიათებული, არაერთგვაროვანი პლაზმა. მას შეადგენენ დამუხტული ელემენტარული ნაწილაკები და სხვადასხვა მსუბუქი ქიმიური ელემენტების იონები. მაგნიტოსფეროს შრეებში პლაზმას გააჩნია განსხვავებული სიმკვრივე და ენერგია. დედამიწისთან ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობს იონოსფერო. ამ პლაზმური შრეს, რომელიც ვრცელდება 90-იდან 600 კილომეტრ სიმაღლემდე, უწოდებენ დედამიწის მთავარ რადიაციულ სარტყელს. იონოსფერული პლაზმა სუსტად იონიზირებულია, რადგანაც წარმოადგენს ნეიტრალური ქიმიური ელემენტების ნარევს გაცილებით უფრო მცირე რაოდენობის იონებთან, აგრეთვე პროტონებთან და ელექტრონებთან.

მზის ქარი. ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან ერთად, მზის ქარი წარმოადგენს იმ საკვანძო კოსმოსურ აგენტს, რომელიც განსაზღვრავს დედამიწაზე რენტგენული და ინფრაწითელი დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების დონეს. მზის რადიაციული სპექტრის ეს ნაწილი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს კლიმატური რეჟიმის თერმოდინამიკურ პარამეტრებზე. ამის მაგალითია ატმოსფერული წნევის ზონალური ცვლილებები გლობალური მაგნიტური ქარიშხალის შემდეგ, რასაც ადგილი აქვს მზის აალებიდან რამდენიმე დღეში. მაგნიტოსფეროს პლაზმური

სტრუქტურები, პირველ რიგში იონოსფერო, ახდენენ კოსმოსური რადიაციის დონის რეგულაციას და დედამიწაზე აყალიბებენ ისეთ გარემო პირობებს, რომლებიც კომფორტული აღმოჩნდნენ ადამიანების არსებობისათვის. ამიტომ, ლოგიკურია, რომ იონოსფერული გარემოს თვისებების ცვლილება მზის აქტივობის საუკუნებრივი ციკლის განმავლობაში გუმილიოვის მიერ გამოყენებული იყო, როგორც ეთნოგენეზის თეორიის ქვაკუთხედი. გუმილიოვს მნიშვნელოვნად დაეხმარა კოსმოფიზიკოს კიმ ივანოვის ჰიპოთეზა საუკუნეებრივი ციკლის დაღმავალ ფაზაში (მინიმუმის მომენტი) მზის აქტივობის შემცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ დროს უნდა ხდებოდეს იონოსფერული დამცავი ეკრანის შესუსტება. ამის მიზეზია მზის რენტგენული გამოსხივების ინტენსივობის შემცირება, რომელიც აღარ არის საკმარისი იონოსფეროში ელექტრონების კონცენტრაციის საჭირო დონეზე შესანარჩუნებლად. იონოსფერული პლაზმის ეს კომპონენტი აყალიბებს იმ ეკრანს, რომელიც შთანთქავს ან აირეკლავს რადიაციულ გამოსხივებას. ამრიგად, ელექტრონული ეკრანის სისქე დამოკიდებულია მზის რადიაციაზე, თუმცა ეს დამოკიდებულება წრფივი არ არის. კერძოდ,შესუსტებული რადიაციის პირობებში, ანუ მზის აქტივობის მინიმუმის დროს, ბიოსფერო შეიძლება აღმოჩნდეს იმაზე უფრო ინტენსიური ელექტრომაგნიტური ფონის ზემოქმედების ქვეშ, ვიდრე მზის აქტივობის მაქსიმუმის მომენტში. ანუ, მიუხედავად მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობის შემცირებისა, რადიაციული გამოსხივების დონე ბიოსფეროში შეიძლება გაიზრდოს იონოსფერული ელექტრონული ეკრანის გათხელების გამო. ამის ბიოლოგიური ეფექტია ცოცხალი უჯრედის გენომის მუტაციის პროცესის გააქტიურება, რაც, გუმილიოვის თანახმად, წარმოადგენს ადამიანების პოპულაციაში „პასიონარული“ ინდივიდების გაჩენის მიზეზს. მუტაციის პროცესის ხელშემწყობი პირობის თვალსაზრისით გუმილიოვი განსაკუთრებულ ფუნქციას ანიჭებდა გრძელვადიან კლიმატურ ცვლილებებს, რომელთა შედეგად ძირეულად იცვლება გეოგრაფიული ლანდშაფტები „პასიონარული“ ბიძგის არეალში. ამიტომ, მისი შეხედულებით, ეთნოგენეზის პროცესი აუცილებლად უნდა იყოს განხილული კოსმოფიზიკის (გეოფიზიკის დარგი) და და კლიმატოლოგიის (გეოგრაფიის დარგი) ჭრილში. გამოდის, რომ ეთნოგენეზი არის ბუნებრივი პროცესი, რომლის პრობლემატიკა წარმოადგენს ისტორიული გეოგრაფიის საგანს.

იონოსფერო. არსებობს მზის აქტივობასთან დაკავშირებული სამი ფიზიკური ფაქტორი, რომელთა მოქმედება სხვადასხვა დოზით აისახება იონოსფეროს დინამიკაზე. პირველია მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის შემადგენელი ნაწილი, რენტგენის გამოსხივება, რომელიც დაახლოებით 8.5 წუთში აღწევს დედამიწას და იწვევს იონოსფეროს პარამეტრების მყისიერ შეშფოთებას. მეორე ფაქტორია მზეზე აქტიური არის წარმოქმნით გამოწვეული პროტონული ნაკადი, რომელსაც გააჩნია მაღალი ენერგია და დედამიწას აღწევს რამდენიმე საათში. ეს ნაკადი ძირითადად შთაინთქმება ე.წ. პოლარულ ქუდებში და, ჩვეულებრივ, მნიშველოვან გავლენას ვერ ახდენს იონოსფეროს მდგომარეობაზე. მესამე ფაქტორია მზის ქარი, რომელიც, მაღალენერგიული პროტონული ნაკადის მსგავსად, კორპუსკულარული ბუნებისაა, თუმცა მიეკუთვნება დაბალენერგიულ, მეტად გაიშვიათებულ პალზმას. მისი სიჩქარე ჩვეულებრივ /400- 1000/ კმ.წმ$^{-1}$ ინტერვალში იცვლება, ანუ მზის ქარი დედამიწას აღწევს 1.5-3 დღის განმავლობაში. ეს მეტად გაიშვიათებული, n=/5-20 / ნაწილაკი სმ$^{-3}$, სიმკვრივის მქონე, პლაზმური სუბსტანცია წარმოადგენს დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხლებისა და პოლარული ნათებების გენერაციის მიზეზს. ჩამოთვლილი

ფაქტორების მკვეთრი თვისობრივ-რაოდენობრივი ცვლილებები ჩვეულებრივ დაკავშირებულია მზეზე აქტიური არეების წარმოქმნასთან, ანუ მზის აფეთქებებთან.

მზეს გააჩნია საკმაოდ ფართო სიხშირული დიაპაზონის რადიაციული სპექტრი, რომლის ინტენსივობა მკვეთრად მატულობს აალების პროცესში, ე.ი. მზის დისკოზე აქტიური არეების წარმოქმნის დროს. მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრი იყოფა სამ ნაწილად: რენტგენის სხივები, ინფრაწითელი სხივები და რადიოტალღები. თითოეულ დიაპაზონს გააჩნია საკუთარი სიხშირული ინტერვალი. რენტგენის სხივები-/10^{20}–10^{16}/ჰც, ინფრაწითელი სხივები-/10^{20}–10^{16}/ ჰც, რადიოტალღები-/10^{10}– 10^{5}/ ჰც. ადამიანისათვის განსაკუთრებით სახიფათოდ ითვლება მზის ინფრაწითელი გამოსხივება, რომლის დიდ ნაწილს შთანქავენ იონოსფერო და მისი ერთერთი ფენა, ე.წ. ოზონური შრე, აგრეთვე, ნაკლები ინტენსივობით, დედამიწის ატმოსფერო. მოჭარბებული ინფრაწითელი გამოსხივება იწვევს ცოცხლი უჯრედის გენეტიკურ მუტაციებს, აგრეთვე სხივურ დაავადებას. თუმცა, ინფრაწითელი რადიაციის მცირე დოზები სასარგებლოა ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის, რაც დადასტურებულია ბიოფიზიკისა და ბიომედიცინის მიერ.

გენეტიკური მუტაცია და „პასიონარობა“. გამოიყენა რა ჩიჟევსკის ჰიპოტეზა, გუმილიოვმა შემოიტანა „პასიონარობის“ ცნება, რომელიც დაუკავშირა მზის აქტივობას. მისი აზრით, სწორედ ინფრაწითელი რადიაციით გამოწვეული გენეტიკური მუტაცია წარმოადგენს „პასიონარობის“ მიზეზს. მაგნიტოსფეროს ყველა სტრუქტურა თავისებურად რეაგირებს მზის აქტივობის ცვლილებებზე, ანუ მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის შეშფოთებაზე, რომელსაც აქვს სხვადასხვა ხანგრძლივობის მქონე პერიოდული ხასიათი. არსებობენ მზის აქტივობის ცვლილების 11 წლიანი, საუკუნეობრივი და კიდევ სხვა პერიოდის მქონე ციკლები, რომლებიც, მაგნიტოსფეროს გარდა, ვლინდებიან აგრეთვე ბიოსფეროს პროცესებშიც. მაგალითად, ბუნებრივი რადიაციული ფონის ცვლილება შეიძლება ცოცხალ უჯრედში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების აქსელერატორი ან, პირიქით, დამამუხრუჭებელი აღმოჩნდეს. ამან, თუ ჩიჟევსკის ჰიპოთეზას გამოვიყენებთ, შეიძლება გამოიწვოს გენომის თვისებების ცვლილება, რაც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმში გენეტიკური მუტაციის წარმოქმნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს რომ, რადიაციული გამოსხივების გარდა, გენეტიკური მუტაცია შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე სხვა მიზეზებით, მაგალითად, სასმელი წყლისა და საკვების ქიმიური შემადგენლობის ცვლილებით.

მზის აქტივობის ციკლები. მზე წარმოადგენს პლაზმურ მდგომარეობაში მყოფ გიგანტურ კოსმოსურ ობიქტს, რომელსაც, მყარი მატერიისაგან შემდგარი დედამიწისაგან განსხვავებით, არ გააჩნია სტაბილური ხანგრძლივობის მქონე ბრუნვის პერიოდი. ამიტომ, მზეს ახასიათებს ე.წ. დიფერენციალური ბრუნვა, რაც ნიშნავს, რომ მისი ბრუნვის პერიოდი საკუთარი ღერძის ირგვლივ ცვლადია. კერძოდ, ეკვატორული არისათვის პერიოდი დაახლოებით შეადგენს დედამიწის 25 დღეღამეს, ხოლო 75^0 განედზე პერიოდი 33 დღეღამის ტოლია. ბრუნვის გამო ადგილი აქვს მზის ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოდულაციას, რომლის მახასიათებელი პერიოდია 27 დღეღამე.

მზის აქტივობის ცვლილება კვაზისტაციონარული ხასიათის პროცესს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ მზეზე მიმდინარე თერმობირთვული გარდაქმნების თანმდევი მოვლენების ფიზიკური მახასიათებლები მეორდებიან გარკვეული ხანგრძლივობის მქონე დროითი ინტერვალების განმავლობაში. ამიტომ, მზის

აქტივობას გააჩნია სხვადასხვა პერიოდული ციკლები. უწყვეტი ინსტრუმენტული დაკვირვება მზის აქტივობაზე მიმდინარეობს სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ ინფორმაციული მასივის საშუალებით, თითქმის ორი საუკუნის წინ, პირველად გამოიყო 11 წლიანი, ანუ ე.წ. შვაბეს, ციკლი. დღემდე ასეთი ხანგრძლივობის მქონე ციკლები მზის აქტივობის ცვლილების ძირითად მახასიათებელად ითვლება, რადგანაც ისინი იონოსფეროს პარამეტრების საშუალო ვადიანი პერიოდული ცვლილებების განსაკუთრებით მოხერხებული ინდიკატორია. აღმოჩნდა, რომ ყველა ცვლილება არ არის ცალსახად დაკავშირებული 11 წლიანი ციკლის ფაზასთან, ანუ მზის აქტივობის ექსტრემუმთან (მინიმუმი, მაქსიმუმი). მონაცემთა მასივის გაფართოებასთან ერთად, 11 წლიანი ციკლის გარდა, მე-19 საუკუნის შუა წლებში დადასტურდა კიდევ ერთი, ხანგრძლივ ვადიანი (საუკუნებრივი), ციკლის არსებობაც. დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდმა, რომელიც წარმოადგენს ფურიე-ანალიზის მეთოდის განვითარებას, გასული საუკუნის 70-იან წლებში წარმოაჩინა, რომ მზის ციკლების რიგი საკმაოდ გრძელია. ხანმოკლე (0.5-5 წელი) ციკლებთან ერთად ის შეიცავს აგრეთვე ძალიან გრძელ, 500 და 1800 წლიანი პერიოდის მქონე, ციკლებსაც. საინტერესოა, რომ მზის ციკლების მახასიათებელი პერიოდები არ წარმოადგენენ დროში უცვლელ სიდიდეს. მაგალითად, 11 წლიანი ციკლების ხანგრძლივობა 18-19 საუკუნეებში ვარირებდა ინტერვალში /7-17/ წელი, ხოლო მე-20 საუკუნეში მათი საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 10.5 წელს. ასევე, საუკუნებრივი ციკლების ხანგრძლივობა /70-100/ წელია. აშკარაა, რომ ციკლების სპექტრი კვაზიპერიოდულია და, მზის აქტივობის მსგავსად, განიცდის სტოქასტიკურ (შემთხვევით) და რეკურენტულ (რეგულარულ) ცვლილებებს. *რატომ დასჭირდა გუმილიოვს პასიონარული ბიძგის საწყისი ეძებნა მზის აქტივობის საუკუნებრივი ცვლილების ციკლში, და არა, მაგალითად, მნიშვნელოვნად უფრო რეგულარული რაოდენობრივი მახასიათებლების მქონე 11 ან 22 წლიანი ციკლების შიგნით? ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 1970-იან წლებში, ე.ი. იმ დროს, როცა გუმილიოვი ეთნოგენეზის თეორიას საბოლოოდ აყალიბებდა, დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდის საშუალებით პრაქტიკულად ცალსახად იყო დადგენილი, რომ მზის აქტივობის ცვლილების სპექტრი თუმცა დისკრეტულია, მაგრამ ძალიან გრძელია და უამრავ საკუთარ სიხშირეს (პერიოდს) შეიცავს. ხანმოკლე ციკლების გარდა, არიან საუკუნეობრივი, 500 და1800 წლიანი, აგრეთვე მათზე უფრო დიდი პერიოდის მქონე ციკლებიც. მოკლე ციკლების, ანუ ექსტრემუმების გრძელი რიგის ანალიზის შემთხვევაში, დროის იმ ინტერვალში, რომელიც ეთნოგენეზის საწყისი აღმავლობის ფაზის მახასიათებელ დროს შეესაბამება, „პასიონარული“ ბიძგის მომენტის ცალსახად განსაზღვრა აზრს მოკლებულია. ამ თეზის დეტერმინირება მარტივად შეიძლება მათემატიკის ენაზე. ცნობილია, რომ მუდმივი სიხშირის პერიოდული პროცესის, მაგალითად, ჰარმონიული რხევის, შესაბამისი დიფერენციალური განტოლების ამოხსნას საწყისი პირობა არ სჭირდება. ჰარმონიული პროცესი დროში კვაზისტაციონარულია, ანუ მისი მათემატიკური მოდელირებისათვის საკმარისია მხოლოდ სასაზღვრო პირობები. მაგალითად, მონოქრომატულ ტალღას, რომელიც ვრცელდება მყარ ამრეკლავ ზედაპირებს შორის, აქვს ორი სასაზღვრო პირობა: ამპლიტუდის სიდიდე საწყის და არეკვლის წერტილებში. ეს პარამეტრი დამოკიდებულია მანძილზე ამრეკლავ ზედაპირებს შორის, ანუ ტალღის ფაზაზე. ცხადია, რომ ეს იცოდა კიმ ივანოვმა და, მაშასადამე, გუმილიოვმაც. მისი თეორიის მოქმედების დროითი ინტერვალია ისტორიული ეპოქა, ანუ დაახლოებით 60*

საუკუნოვანი მონაკვეთი. დროის ამ შუალედში, ცთომილების გათვალისწინებით, არანაკლებ 500 მზის აქტივობის 11 წლიანი ციკლი იყო. იმ დროში, რომელიც გუმილიოვის მიხედვით საჭიროა ეთნოსის ინკუბაციის პერიოდისათვის, რამდენიმე 11 წლიანი ციკლი ეტევა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია საიმედოდ განსაზღვრო, თუ მზის აქტივობის რომელი 11 წლიანი ციკლის ექსტრემუმია „პასიონარული“ ბიძგის რეალური ტრიგერი. თუმცა, ასეთი ვითარებიდან გამოსავალი გუმილიოვისათვის აპრიორი ცნობილი იყო. კერძოდ, მზის აქტივობის ცვლილების სპექტრში არსებობენ ხანგრძლივ ვადიანი შემადგენელები, რადგანაც ადგილი აქვს 11 წლიანი ციკლების მოდულაციას დაახლოებით საუკუნოვანი პერიოდით. შესაბამისად, არსებობს აღმავლობის ფაზის საწყისი მომენტის კონკრეტიზაციის პრობლემიდან თავის დაღწევის საკმაოდ საიმედო საშუალება. საქმე იმაშია, რომ საუკუნებრივ ციკლებს, 11 წლიანი ციკლების მსგავსად, გააჩნიათ საკუთარი ექსტრემუმები. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საუკუნეობრივი ციკლების რიცხვი ისტორიულ ეპოქაში გუმილევის მეთოდიკით განსაზღვრული ეთნოსების რიცხვის თანაზომადი სიდიდე აღმოჩნდა. ამრიგად, ეთნიკური პროცესის „პასიონარული“ ბიძგის მომენტი საკმაოდ მარტივად დაკავშირდა საკუნეობრივი ციკლის ექსტრემუმთან. ამრიგად, მათემატიკურად, 11 წლიანი და მასზე უფრო მოკლე ციკლების კვაზიპერიოდულმა რიგმა შეიძინა განსაკუთრებული საწყისი პირობა. თუმცა, არსებობდა კიდევ ერთი, არანაკლებ პრობლემატური, გარემოება, დაკავშირებული მზის აქტივობის ცვლილების გლობალურ მასშტაბთან. საჭირო იყო ამ ეფექტის შემცირება რეგიონალურ დონემდე, რაშიც გუმილიოვს კვლავ დაეხმარა ივანოვი. მან ეთნოგენეზის თეორიაში ძალიან ეფექტურად ჩართო დედამიწის უახლოესი რადიაციული სარტყელი, იონოსფერო. მაგნიტოსფეროს ამ სტრუქტურის ჩაკეტილ კონფიგურაციას ქმნიან მაგნიტური პოლუსები, რომლებშიც იკრიბება დიპოლური მაგნიტური ველის ძალწირები. ამიტომ, იონოსფერო წარმოადგენს პლაზმის მაგნიტურ „ხაფანგს“, რომლის კონფიგურაცია იცვლება ეკვატორიდან პოლუსისაკენ. მზის აქტივობის ცვლილების პროცესში ადგილი აქვს ასეთ მაგნიტურ „ხაფანგში“ დაჭერილი პლაზმის სიმკვრივის ხანგრძლივ ვადიან შეშფოთებას, რომელიც მოქმედებს იონოსფეროს უნარზე, რომ მოახდინოს მზის რადიაციის ეკრანირება. შესაძლებელია, რომ ეს ეფექტი იონოსფეროში არაერთგვაროვნი იყოს, ანუ ზოგ ადგილას უფრო ძლიერად გამომჟღავნდეს. გამოდის, რომ იონოსფერული დამცავი ეკრანის მოქმედება შეიძლება დამოკიდებული იყოს გეოგრაფიულ კოორდინატებზე. ეს დაშვება, რომელსაც საკმაოდ რეალური ფიზიკური საფუძველი გააჩნია, გუმილიოვის მიერ გამოყენებული იქნა, როგორც ეთნოგენეზის პროცესის ჩამრთველი ბუნებრივი ფაქტორი. შესაბამისად, აიხსნა „პასიონარული“ ბიძგის რეგიონალურ- ლოკალური ხასიათი, აგრეთვე, ეთნოსების ჩამტევი ლანდშაფტების პერიოდული ცვლილებების მიზეზი. ამ შემთხვევაში გუმილიოვი სინქრონში აღმოჩნდა საყოველთაოდ გავრცელებულ თეორიასთან, რომ სწორედ ხანგრძლივ ვადიანმა გვალვებმა შუა აზიის სტეპებში გამოიწვიეს მომთაბარე ტომების რამდენიმე მიგრაციული ტალღა. კერძოდ, ისტორიული გვალვების ხანგრძლივობა „გასაოცარი“ სიზუსტით დაემთხვა დროში რამდენიმე ეთნიკური ბირთვის ჩასახვის მომენტს.

ამრიგად,ქრონოლოგიურად, ყველაზე ადრე აღმოაჩინეს მზის აქტივობის ცვლილების 11 წლიანი ციკლები, რომელთა რაოდენობრივი მახასიათებელია ე.წ. ვოლფის რიცხვები. სინამდვილეში, უფრო კორექტულია ვილაპარაკოთ მზის აქტივობის 22 წლიან ციკლებზე, რომლთათვისაც 11 წლიანი ციკლები წარმოადგენენ ნახევარ ტალღებს. ვოლფის რიცხვის მცნება შემოვიდა მე-18 საუკუნის შუა წლებიდან, მზეზე

აქტიური არეების, ე.წ. მზის ლაქების, ვიზუალური დაკვირვების შედეგად. თუმცა, ჯერ კიდევ გალილეო გალილეი პირველი ტელესკოპით აკვირდებოდა და აფიქსირებდა მზის ლაქების რიცხვის ცვლილებას. ლაქების დაკვირვებას არ სჭირდება განსაკუთრებით ძლიერი ოპტიკური ხელსაწყო და სინათლის სპეციალური ფილტრები. ადამიანები შეუიარაღებელი თვალით მზის ზედაპირზე წარმოქმნილ ლაქებს აკვირდებოდნენ უხსოვარი დროიდან. ლაქები ჩვეულებრივ ჯგუფურად ჩნდებიან მზის ეკვატორული სიბრტყის ორივე მხარეს, როგორც წესი, 5^0-30^0 განედურ ზოლში. არსებობს მოცემული დღისათვის მზის ლაქების რიცხვის (ვოლფის რიცხვი) განმსაზღვრელი ფორმულა

$$R = k(f + 10g),$$

სადაც f -ლაქების საერთო რიცხვია, რომელიც შეამჩნია დამკვირვებელმა, g - შეშფოთებული არეების რაოდენობა (ცალკეული ლაქები ან ლაქების ჯგუფი), k - კოეფიციენტი, რომლის სიდიდე მუდმივია მოცემული ობსერვატორიისათვის და განისაზღვრება აპარატურის მგრძნობიარობით. მაგალითად, ციურიხის ობსერვატორიაში მიღებულია, რომ $k = 1$. სტატისტიკური ანალიზისათვის გამოიყენება ვოლფის რიცხვის საშუალო წლიური მნიშვნელობა. ცალკეულ ციკლებში ლაქების რაოდენობა განსხვავებულია. ამ პარამეტრით ზოგიერთი ციკლი უფრო აქტიურია, ზოგი-ნაკლებად აქტიური. ნახატზე მოცემულია ვოლფის რიცხვების ცვლილების გრაფიკი სამი საუკუნის განმავლობაში, საიდანაც სჩანს, რომ 11 წლიანი ციკლები განიცდიან მოდულაციას საუკუნეობრივი ციკლის პერიოდით. უკანასკნელი ასეთი (ე.წ. „გლაისბერგის“) საუკუნეობრივი ციკლის მაქსიმუმი დაიმზირებოდა მე-20 საუკუნის შუა წლებში. ინსტრუმენტალური დაკვირვების პერიოდის განმავლობაში გაიარა 24-მა 11 წლიანმა ციკლმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიური იყო მე-19 ციკლი, 1954- 64 წლებში. ამ ციკლის დროს მზის ლაქების რიცხვმა 1958 წლის პირველ თვეებში მიაღწია 200. მისი შემდგომი, მე-20, ციკლის დროს ეს რიცხვი 2-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა. შესაბამისად, პირველი ციკლის ინტენსივობა, მეორესთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალი იყო. თუმცა, 1954 და 1964 წლებში, როდესაც ახალი ციკლები იწყებოდა, მზის ლაქების რიცხვი 20-ს არ აღემატებოდა, რაც არ წარმოადგენს აბსოლუტურ მინიმუმს. დაფიქსირებულია ისეთი მინიმუმებიც, როცა მზის ლაქების რაოდენობა წელიწადში 10-ზე ნაკლებია. დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდის თანახმად, ნებისმიერი ხანგრძლივ ვადიანი ციკლი უამრავ ექსტრემუმს შეიცავს, რომელთა აბსოლუტური სიდიდე სულაც არ არის დამოკიდებული ციკლის სიგრძეზე. მაგალითად, არსებობენ ხანმოკლე კვაზიპერიოდული ვარიაციები 11 წლიანი ციკლის შიგნით. ამ ვარიაციებს შორის განსაკუთრებით კარგად იკვეთება 13 თვიანი ვარიაციები, რაც დაახლოებით მზის ბრუნვის 15 პერიოდის ტოლია. ყველაზე ხანმოკლე ციკლში, ერთი მაქსიმუმის გარდა, აუცილებლად არსებობს აგრეთვე მინიმუმიც, რაც პერიოდული პროცესის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს.



ორდინატა-მზის ლაქების საშუალო წლიური რაოდენობა 11 წლიან ციკლებში.
აბსისა-დრო

ცალკეულ მზის ლაქებს და ლაქების ჯგუფებს შეუძლიათ იარსებონ რამდენიმე თვის განმავლობაში და პერიოდულად გამოჩნდნენ მზის ბრუნვის გამო. აღმოჩნდა,რომ ლაქების რიცხვი ამჟღავნებს ძლიერ დამოკიდებულებას მზის ბრუნვის პერიოდზე, ანუ ამ სიდიდეს ახასიათებს 27 დღიანი ვარიაციები. ჩვეულებრივ, როცა განიხილება მზის აქტივობის გრძელპერიოდიანი ვარიაციების ეფექტი, მოკლეპერიოდიანი ვარიაციები მხედველობაში არ მიიღება. მზის აალება (აფეთქება) დაიკვირვება როგორც თეთრ სინათლეში, ასევე მის სპექტრში, სინათლის ფილტრების საშუალებით. აალება წარმოადგენს მზის სიკაშკაშის უეცარი ზრდის მოვლენას ფოტოსფეროს რომელიღაც ლოკალურ არეში და გრძელდება რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათის განმავლობაში. აალების კლასიფიკაცია ხდება სპეციალური სკალით, /1-4/ ქულის ინტერვალში, იმის მიხედვით, თუ რა ზომის არის კაშკაშა არე იმ ფილტრში, რომელიც ატარებს ატომარული გამოსხივების ხაზს: $H_\alpha\left(6562\overset{0}{A}\right)$, სადაც $\overset{0}{A}$ - ანქსტრემია. ძალიან სუსტი აფეთქებები, რომლებსაც სუბაფეთქებებს უწოდებენ, აღინიშნებიან სპეციალური ინდექსით S. მზის აფეთქებებს ახასიათებთ ტენდენცია გაჩნდნენ ლაქების ახლოს, ე.წ. ფლოკულურ ზონაში, რომელის ინდიკატორია კაშკაშა არე კალციუმის, კალიუმისა და წყალბადის სპექტრალურ ხაზებში. აფეთქებების სიხშირე დაკავშირებულია მზის ლაქების რიცხვთან შემდეგი ფორმულით

$$N_f = \alpha\left(\overline{R} - 10\right),$$

სადაც N_f - აფეთქებების რიცხვია მზის ერთი ბრუნის (დედამიწის 27 დღე-ღამე) განმავლობაში, $\overline{R}$ -მზის ლაქების საშუალო რიცხვი, α - მუდმივა, რომლის მნიშვნელობა იცვლება ინტერვალში 1,5-2. მზის ლაქების რიცხვი და აალებების რიცხვი წარმოადგენენ მზის აქტივობის ინდექსებს. მაქსიმალური ენერგია, რომელიც გამოიყოფა აალების დროს, აღწევს გიგანტურ სიდიდეს 10^{27} ჯოულს, რომელიც მზის მიერ ერთ წამში გამოყოფილი ენერგიის დაახლოებით 1/8 ნაწილია. აალებას ხშირად თან ახლავს კორპუსკულარული მასის გამოყოფა მზის გვირგვინიდან, რომელიც წარმოადგენს მზის მაგნიტური ველის ძალწირებით „მოქსოვილ“ ხაფანგში ჩაჭერილ პლაზმას. ამ დროს ფოტოსფეროში წარმოიქმნება 100000 კილომეტრამდე სიგრძის (სიმაღლის) ელასტიური მაგნიტური ჟგუტები, რომელთა შიგნით პლაზმის ტემპერატურა 10 მილიონ გრადუსს აღწევს. ჟგუტების გასკდომის შემდეგ მატულობს ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობა მზის რადიაციული სპექტრის ყველა უბანში. აგრეთვე, საპლანეტათაშორისო სივრცეში ვრცელდება პროტონულ-

ელექტრონული ნაკადი. შესაბამისად, მზის აალებებთან დაკავშირებულია მზის ქარის მიერ მაგნიტოსფეროს გარსდენის მსხვილმასშტაბოვანი მაგნიტოჰიდროდინამიკური სურათის ცვლილებები, აგრეთვე პლაზმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესების ინტენსიფიკაცია, რასაც ჩვეულებრივ ვლინდება იონოსფერული გარემოს შეშფოთებაში.

ლიტერატურა

1.Л.Н.Гумилев. Этногенез и биосфера Земли.Санкт-Петербург, «Азбука-классика», 2002,608 с

2.Л.Н.Гумилев. Ритмы Евразии. Москва, «Прогресс»,1993, 576 с.

3.Л.Н.Гумилев.Этносфера. История людей и история природы. Москва, «Прогресс»,1993, 544 с.

4.Н.И.Костомаров.Руская история в жизнеописаниях ее главнейших деятелей. XV.Московский государь великий князь Василий Иванович. Москва,»Мысль», 1991, 618 с.

5.С.М.Соловьев.История России с древнейших времен,т.Х. Москва,»Социально-экономическая литература»,1963,781 с.

6.ილია ფერაძე.საქართველოს მოკლე ისტორია. ქუთაისი, გამ.“მთავრიშვილი და ამხანაგობა“,1918, 359 გვ.

7.Дж.К.Харгривс. Верхняя атмосфера и солнечно-земные связи. Ленинград, «Гидрометиздат», 1982, 351 с. (перевод с английского).

8.С.И.Акасофу, С.Чепмен. Солнечно-земная физика,ч.2. Москва,»Мир».1975, 512 с. (перевод с английского).



Рис. 3.4

ეთნოგენეზის პროცესის გრაფიკული ორიგინალი გუმილიოვის სადისერტაციო ნაშრომიდან „ეთნოგენეზი და დედამიწის ბიოსფერო“. ორდინატა შეესაბამება „პასიონარი“ ინდივიდების რიცხვს ეთნიკური განვითარების სხვადასხვა ფაზაში, აბსისა შეესაბამება ეთნოსის არსებობის დროს.